

K 75081  
3

მ. გვირგვაშვილი



მოძღვანელი  
აღმიანის ბენაშვილის მესახებ  
ცარალი ველობი

მთელი დროისა მათოთხელი საკუთრივი

\*

თბილისი — 1957

612 + 61 (G.922) (0)

03. გიარება გვ. 04

1957 წლის 10 მაისი  
საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ განცხადების მიზანით

გ რ ძ ლ ვ რ ე ბ ა  
აღამიანის გუნების შესახებ  
საქართველოს მინისტრის  
მიერ განცხადები

ავტო დოკუმენტი მეთოთხმეტე საუკუნეები

K 45.081  
3

სპეც-2000  
შემოწმებულია

სრული და სახელმისამართის  
თბილისის სახელმისამართის  
თავმჯდომარეობის უნივერსიტეტის  
გამოცემა 1957 წლის 10 მაისი



1957

## ს ა რ ჩ ე ბ ი

წინასიტყვაობა . . . . .	1
1. შეხავალი . . . . .	3
2. ცნობები ადამიანის ბუნების შესახებ უმცელესი ღროვა წარმართულ ქვეყნებში . . . . .	6
3. მეცნიერებლი ცნობები ადამიანის ბუნების შესახებ ანტა- კურ საბერძნებოში . . . . .	11
4. მეცნიერებლი ცნობები ადამიანის ბუნების შესახებ რო- მისა და ბიზანტიის იმპერიიგბი . . . . .	23
5. მეცნიერებლი ცნობები ადამიანის ბუნების შესახებ იბე- რია-კოლხებოში მეოთხე საუკუნიდან მერვე საუკუნემდის .	32
6. წარმოდგენები ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ IV—VIII საუკუნეების საქართველოში . . . . .	67
7. როგორ ითვისებდნენ ქართველი მკითხველები მოძღვრე- ბას ადამიანის ბუნების შესახებ და როგორ ავითარებდნენ.	79
8. მეცნიერებლი ცოდნა ადამიანის ბუნების შესახებ საქარ- თველოში გრიგოლ ნოსელისა და ნემესიოს ემესელის თხზულებათა ქართველი თარგმნების შიხედვით . . . . .	91
9. ნემესიონის მოძღვრება ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ. 112	
10. მეცნიერებლი ცოდნის გავრცელება ადამიანის ბუნების შესახებ მწერლობის საშუალებით IX—XIII საუკუნეების საქართველოში . . . . .	113
11. მეცნიერებლი ცოდნის გავრცელება ადამიანის ბუნების შესახებ ქართველთა შორის სწავლა-განათლების მიღ- ბით ბიზანტიაში . . . . .	122
12. მეცნიერებლი ცოდნის გავრცელება ადამიანის ბუნების შესახებ ქართველთა შორის საქართველოს სკოლების საშუალებით . . . . .	128
13. X—XIII საუკუნეების საქართველოს საექიმო წიგნების დახასიათება . . . . .	141
14. „ესწორო კარაბადინის“ ცნობები ადამიანის ბუნების შესახებ . . . . .	151
15. მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ „წიგნი საქი- მოდა“-ს შიხედვით . . . . .	159

16. ცნება ქარების შესახებ ძველ ქართულ საექიმო მწერლობაში . . . . .	174
17. მოძღვრება ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ XI—XIII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ ნაწარ- მოებთა შინედვით . . . . .	180
18. მოძღვრება ადამიანის ბიოლოგიური ბუნების შესახებ XI—XIII საუკუნეების ქართულ პოეტურ ნაწარმოებებში . . . . .	197
19. მოძღვრება ადამ..ანის სოციალური ბუნების შესახებ XI—XIII საუკუნეების ქართულ პოეტურ ნაწარმოებებში . . . . .	211
20. მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ XI—XIII საუ- კუნეების ქართულ პროზაულ ლიტერატურაში . . . . .	231
ბოლოსიტევაობა . . . . .	243

---

## ნინას ი 8 ყ 3 ა რ ბ ა

ისტორიული მიმოხილვა მოძღვრებისა ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, მეცნიერებული დროიდან მოეოლებით, ჩემ მიერ დაწეებული იქთ 1949—1950 წწ., როდესაც უნივერსიტეტების ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის პროგრამაში მეტანილ იქნა საკითხი ფიზიოლოგის განვითარებისა, საზოგადოდ, მცენარის დროიდან ევროპასა და სხვა ქვეყნებში და, კერძოდ, საბჭოთა კავშირში. ამან წიგაიძულა საფუძვლიანად გავცნობოდით ფიზიოლოგიის განვითარების ისტორიას მცენარ საბერძნეთში, მემდებ რომის იმპერიასა და ბიზანტიაში და, ბოლოს, ევროპასა და რუსეთში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ წინ დაისვა საკითხი აგრეთვე საქართველოს მესახებაც, თუ როგორი იქთ მცენარ ქართველთა წარმოდგენები ადამიანის ბუნების შესახებ, რა გზით და რა სოციალურ პირობებში მუშავდებოდნენ ისინი მომღევნო საუკუნეთა მანძილზე.

ეს ჩემთვის უჩვეულო ისტორიული კვლევა-მიება მიზანს კერ მაღალწევდა, რომ ამ საქმეში არ დამხმარებოდნენ თავიანთი გამოქვეყნებული მრომებითა და პირადი რჩევა-დარიგებით ისინი, ვინც დღეს ჩვენი წარსული კულტურის მესწავლაზე უმუალოდ მუშაობენ. მეტადრე დიდი დახმარება გამიწიეს ამ მხრივ პროფესიონებმა პ. კეცელიძემ, ილ. აბულაძემ და სიმ. გაუხსიმვილმა. დიდი სარგებლობა მომიტანეს მრავალი საკითხის გარკვევაში აგრეთვე პროფესიონების ალ. ბარაშიძისა და პ. ნუცებიძის მრომებმა.

საქართველოს კულტურის ისტორიის თითქმის უცილა საკითხი საუცხოოდ აქც განხილული განსკვნებულ იგ. ჯავახიძი და მარაგაძეს. გასაკება, რომ ამ დიდი ისტორიკოსის მრომებით დაგალებული გარ მეტისმეტად მრავალი საკითხის გარკვევაში.

აგრეთვე მოსახსენებელია ს. ჯანაძის მრომები, რომელთაც მე გუმაღლი სხვადასხვა საკითხის დამაჯერებელ გარემოას.

ეს ჩემი ისტორიული ნარკევი მირითადად 1950—1953 წლებში იწერებოდა. უკანასენელ წლებში მე მხოლოდ ცოტა რამ დაუმატე ჩემს ნამუშევარს ახალი ისტორიული გამოკვლევების მიხედვით.

რასაკირულია, მე არ ვფიქრობ, რომ ეს ისტორიული ნარკევი სრულუოფილია, რომ მასში ამომწურავად არის განხილული უცვლა არსებული ლიტერატურული წეარო, რომ სწორად არის გამოვლინებული უცვლა არსებული მასალა ჩემი ამოცანის გადასაწევებად. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვგრძნობ დიდ სიამოვნებას ამ ნამუშევრით და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთსავე სიამოვნებას იკრძნობს უოველი ქართველი მკითხველი, რომელსაც აინტერესებს ქართველი ერის წარსული, მისი კულტურული განვითარება.

აკად. ივ. ბერიძეპილი

17/VII 1955 წ.

სუსტი.

## 1. შ ა ს ა ვ ა ლ ი

ადამიანის ბუნების შესწავლა მკელი ღროიდანვე თუ მიზანის ისახავდა: პირველი იუთ ადამიანის სხეულის სასიცოცხლო მოვლენათა გაგება, რაც, უპირველეს ეოვლისა, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესით წარმოებდა; მეორე კი—ადამიანის საზოგადოებრივი მოქმედების გაგება, რაც აგრეთვე თავიდანვე წარმოებდა და მიხნად ისახავდა ადამიანის,—როგორც საზოგადოების წევრის,—ეოფა-ცხოვრების შეგნებულად წინასწარ განსაზღვრას. კვლევის პირველი მიმართულებით ირკვეოდა ადამიანის სხეულის აღნაგობა და ფიზიოლოგიური ფუნქციები, მეორე მიმართულებით კი—ადამიანის საზოგადოებრივი მოქმედების ხასიათი და მისი განმსაზღვრელი ძალები.

ჩვენს გამოკვლევაში, რომელიც შეეხება მომღვრებას ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, ჩვენ გვაინტერესებდა ადამიანის ბუნების ორივე სახის—ბიოლოგიურისა და სოციალურის—ღალის. ორივე სახე ადამიანის ბუნებისა ერთმანეთთან იმდენად შეიძლოდ არის დაკავშირებული, რომ შეუძლებელი იყო დაკავშირებულება მარტო მისი ერთი სახით, მხოლოდ ბიოლოგიური ბუნების გამოკვლევით, როგორც ეს განხრასული იყო თავდაპირებულად.

კიდრე ადამიანის სხეულის ფიზიოლოგიური მოვლენების მეცნიერელი კვლევა-ძიება დაიწეუბოდა, რაც არსებითად მე-18 საუკუნეში მოხდა, ამ მოვლენათა თეორიული გაგება სხეულაციურ სახიათს აუკრებდა, სახელდობრ, იგი ექვანებოდა სხვადასხვა მოსაზრებას, რომლებიც მეტწილად არსებული მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა ადამიანთა საზოგადოებრივი მოქმედების ძესახებ. თვით ეს მსოფლმხედველობა კი მუმაკდებოდა საზოგადოდ არსებული საზოგადოებრივი წესწეობილების თავისებურებათა საფუძველზე. ამიტომ აუცილებელი გახდა გვეწარმოებინა ის-

ტორიული განხილვა მოძღვრებისა ადამიანის ბიოლოგიური ბუნების შესახებ ადამიანის სოციალურ ბუნებასთან ერთად.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებას განიცდიდა. ისტორიულად ჯერ თემური საზოგადოებები არსებობდა საზოგადოებრივი საკუთრებით, მერმე მონათმდლობელური საზოგადოებები შეიქმნა კერძო საკუთრებით, მემდებ—ბატონებური ანუ ფეოდალური, კიდევ შემდებ—ბურეუაზიული და, ბოლოს, ჩვენს დროში, წარმოშეა ახალი ტიპის სოციალისტური საზოგადოება.

ადამიანის ბიოლოგიური ბუნება უძველესი დროიდან, რასაკვირველია, არსებითად არ იცვლებოდა, მაგრამ მისი თეორიული გაგება დროდადრო ცვალებადობას განიცდიდა. რაც არსებითად დამოკიდებული იყო ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. ადამიანის სოციალური ბუნება კი თავიდანვე ცვალებადობდა. ამიტომ ადამიანის წარმოდგენები მისი სოციალური ბუნების შესახებ, დამოკიდებული საზოგადოებრივი წევბის თავისებურებაზე, დროდადრო არსებითად იცვლებოდა ამ წევბის დროდადრო არსებითი ცვლილებების გამო.

ადამიანის ბიოლოგიური ბუნების განხილვისას ჩვენ მხედველობაში გვექნება ადამიანის სხვადასხვა ორგანოთა აღნაგობა; ფიზიოლოგიური ფუნქციებიდან—საჭმლის მონელება, სენტვა, სისხლის მიმოქცევა, მოძრაობა, ნერვული რეგულაცია ანუ ტვინის მონაწილეობა ეველა ამ ფუნქციების და, ბოლოს, უკელა ამ ფუნქციის თეორიული გაგება.

ადამიანის სოციალური ბუნების გარკვევისას ჩვენ შევეხებით უმთავრესად ღმრთის, სელისა და მატერიის საკითხებს ადამიანის მიმართ უძველესი დროიდან, სახელდობრ, ჩვენ განვიხილავთ გავრცელებულ წარმოდგენებს მათი ბუნებისა და ურთიერთობის შესახებ და აქედან გამომდინარე დასკვნებს ადამიანის საზოგადოებრივი მოქმედების შესახებ. ჩვენ მისანს შეადგენს იმის დაგენა, თუ როგორი იყო ქართველთა წარმოდგენა ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ ქართველი ტომების ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

საქართველოს მწერლობისა და ისტორიის ძეგლადის საფუ-  
შველზე ჩვენ განვიხილავთ გამოგვირკვია ქართველთა მეცნიერებუ-  
ლი ცნობები აღამიანის ბენების შესახებ საქართველოს ისტორიუ-  
ლი განვითარების სამი დამასახიათებელი პერიოდის მიხედვით.  
პირველი პერიოდი ხანა ქრისტიანული სარწმუნოების მიღები-  
დან ქართველ ტომთა ერთ სამეფოდ გაერთიანების დაწებამდე.  
ამ პერიოდიდან ქართულ ენაზე მწერლობის სახით სულ მცირე  
რამ მოგვიპოვება ისეთი, რომელიც მეცნიერებულად დამუშავებულ  
ანატომიურსა და ფიზიოლოგიურ ცნობებს იძლეოდეს. ასე იუ  
მეოთხე საუკუნიდან მერვე საუკუნემდე. ამ პერიოდი ანატომიური  
და ფიზიოლოგიური ცნობების გავრცელება საქართველოში უმ-  
თავრესად ბერძნებული, სირიული და სომხერი წიგნებისა და სკო-  
ლების საშეალებით წარმოებდა. მეოთხე პერიოდი ხანა საქართვე-  
ლოს გაერთიანებისა და მისი სახელმწიფო ობრივისა და კულტუ-  
რული აღმაღლობისა, ე. ი. IX—XIII საუკუნეები. ამ პერიოდი  
გადმოითარებმა მრავალი ბერძნებულ ფილოსოფიური მრომა ქარ-  
თულ ენაზე და დაარსდა უმაღლესი სკოლები მეცნიერებათა გა-  
ვრცელებისა და განვითარების მიზნით. მესამე პერიოდს მივაკეთ-  
ვნებთ თამარ მეფის ძეგლი მედგროვ ხანას, რომელიც იწევბა საქართვე-  
ლოს აოსრებით მონგოლთა ურდოების მრავალგზის ძემოსკვის  
ძელებად და გრძელდება საქართველოს რესეტთან ძეერთებამდის,  
ე. ი. მეცნიამეტე საუკუნემდე. კერკერობით ჩვენ აღნიშნული სა-  
კითხი დაწერილებით ძეგისწავლეთ მეოთხე საუკუნიდან მეთოთხ-  
ძეტე საუკუნემდე. ამდენად ეს მრომაც ეხება აღამიანის ბენების  
საკითხს საქართველოში მეოთხე საუკუნიდან მეთოთხძეტე საუკუ-  
ნემდე, ე. ი. პირველ ორ პერიოდს.

რაღაც ანატომიური და ფიზიოლოგიური მეცნიერებული  
ცნობები პირველად დამუშავებული იუ ანტიკურ საბერძნეთში  
და აქედან მემოვიდა როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში,  
ამიტომ საჭიროდ მივიჩნივ წინამდებარე ნაძრომისათვის წარმედ-  
ვანებინა მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ როგორ განვითარდნენ  
ანატომია და ფიზიოლოგია, როგორც მეცნიერებანი, საბერძ-  
ნეთში და რა სარისხს მიაღწიეს მათ საბოლოოდ, რა სახითაც

შეეძლოთ მათ ჩვენში შემოსელა და გაფრცელება. მოკლედ განკინილავთ აგრეთვე რომის მიღწევებს ანატომია-ფიზიოლოგიის დარგი გაღენის მრომების მიხედვით, აგრეთვე ალექსანდრიისა და სირიელ ექიმთა სკოლების მიღწევებს, ვინაიდან უველა ამათ უაღრესად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მეცნიერული ცნობების დასახურგავად ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში.

მოძღვრება სოციალური ბუნების შესახებ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებამდე საქართველოში ისეთი იქ, როგორიც შეეფერებოდა თემურსა და მონათმფლობელურ წარმართულ სახოგადოებებს. ქრისტიანული სარწმუნოების გაფრცელებასთან ერთად საქართველოში ვრცელდებოდა როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობა (მეფარდებული მონათმფლობელურ წესწყობილებასთან), ისევე წარმართული ანტიკური საბერძნების მსოფლმხედველობა, დამუხავებული პლატონის, არისტოტელისა და ნეოპლატონიკოსების მიერ. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნდა, ვიღრე შევეღებოდეთ ქართველთა ძეხედულებების ისტორიულ მიმოხილვას ადამიანის სოციალურ ბუნებაზე, მოქლედ წარმოგადგინოთ პლატონისა და არისტოტელის ფილოსოფიური ძეხედულებანი ადამიანის ამ ბუნებაზე.

რადგან უველა უძველეს ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, ქრისტიანული მოძღვრება ადამიანის შესახებ ემარჯონდა წარმართული ღროის ძეხედულებებს, ამიტომ საჭიროდ ვცანით ძეგლების მიმოხილვას სულ მოკლედ აგრეთვე ამ უძველეს წარმართულ ხანასაც.

## 2. ცნობები ადამიანის განების შესახებ ეპველის 1600ს

### ნაგარის ეპეფები

მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ, მისი, როგორც ცხოველური ორგანიზმის, აღნაგობისა და ფუნქციათა შესწავლა, ექიმების მიერ ვითარდებოდა უძველესი ღროიდან უმუალოდ მათ პრაქტიკასთან დაკავშირებით, ვინაიდან აგადმეოფობისგან განსაკურნავად საჭირო იქ როგორც ორგანიზმის აღნაგობისა, ისე მისი ფუნქციების ცოდნა. ექიმობა, ისე როგორც ხელოვნება და რე-

ლიგია, ჩაისახა პირველეოფილი საზოგადოების წარმოქმნასთან ერთად. თავდაპირველად ქქიმობა რელიგიასთან იქო დაკავშირებული. იგი მოგვებისა და ქურუმების მოვალეობად ითვლებოდა. ასე იქო უძველესი დროის ინდოეთისა და ჩინეთის, ასე იქო ებ-გიატრესა და საბერძნეთშიც; ასევე უნდა უფლიდიერ მცირე აზიის ხეთა-ცუბარების ქვეუანაძი და ძემდგომ მათ ტერიტორიაზე წარმომობილ უძველეს კოლხეთსა და იბერიაში.

გიღრე ქქიმობა რელიგიის მსახურთა ხელში იქო, სწორი ანატომიური ცნობების დაგროვება ადამიანის სხეულის შესახებ, და, მაძასადამე, მეცნიერელი მედიცინის საფუძლების შექმნა, მეტისმეტად გამნელებული იქო. ამის უმთავრესი მიზეზი ის იქო, რომ რელიგია გამის გაკვეთას კრძალავდა, მიცვალებული უნდა დასაფლავებულიერ ან დამწევარიერ. შინი განკვეთა ცნობისმოუკარებისა თუ მისი აღნაგობის ძეწავლის მიზნით სრულდად შეუძლებელი იქო. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მრავალი ათასი წლის განმავლობაში ამ უძველეს ქვეუნები მაღალ ბუნდოვანი ანატომიური ცნობები იქო გაბატონებული, ხოლო სწორი ფიზიოლოგიური მონაცემები ამ ქვეუნებში სრულდად არ მოიპოვებოდა. თუ კი რამე წარმოდგენა არსებობდა სხეულის ორგანოთა მოქმედების შესახებ, იგი უსათვაოდ სპეციალისტი, ე. ი. სინამდვილესთან შეუსაბამო გონებაჭვრეტილი მოსაზრება იქო.

შევლი დროიდან შემთხახელი წერილობითი წეაროები სხეულის წარმოქმნაში უდიდეს როლს მიაწერს პაერს, ნაღველსა და ლორწოს, ხოლო სხეულის მირითად ელემენტურ ნივთიერებად თვლის ქილუსს, სისხლს, ხორცს, უკრედისს, ძვალს, ტვინსა და თესლს. ინდოელთა წარმოდგენით ეს ელემენტები ერთიმეორისაგან წარმოიშვება: ქილუსისაგან სისხლი, სისხლისაგან ხორცი, ხორცისაგან უკრედისი, უკრედისისაგან მჯალი, ძვლისაგან ტვინი, ხოლო ტვინისაგან თესლი. მათი აზრით, უკვლა ამ გარდაქმნას, ქილუსისაგან რომ საბოლოოდ თესლი წარმოიშვას, ერთი თვე უნდება.

არც ჩინეთის მედიცინაში, რომელიც ინდოეთის მედიცინასთან ერთად უძველესად უნდა ჩაითვალოს მსოფლიო ისტორიაში,

არ მოიპოვება სწორი ფიზიოლოგიური ცნობები; სწორი ანატომიური მონაცემებიც კი მასში ძალიან მცირედ მოიპოვება. სხვა-ლის ელექტრებად მიჩნეულია ჰაერი, წეალი, „მეტალი“ და „ხე“. ფიზიოლოგიური მოვლენები უკავშირდება სისხლსა და „სასი-ცოცხლო სულებს“ და მათ მიმდინარეობას სისხლის ძარღვებში. ამასთან, ამ წარმოდგენის თანახმად, გონებრივი სული (გონებრი-ვი მოქმედების წარმომძობრი) ბინადრობს ღვიძლში, ხოლო სასი-ცოცხლო სული—გულ-მკერდის შიგნით.

უძველესი ღროიდან ეგვიპტელებიც შეისწავლიდნენ აგა-მეოთობას და ეს საქმიანობა ქურუმთა ერთ-ერთი კატეტის ხელში იყო. მათს მედიცინაშიც სწორ ფიზიოლოგიურ მონაცემებს ვერ ვხედავთ. მათი წარმოდგენითაც სხეული ოთხი ელემენტისაგან შედგება და სხეულის ნაწილების მოქმედებას სულები—დემონები—განაცემებნ.

ასეთივე პრიმიტიული ცნობები ადამიანის ბუნების შესახებ და, მამასადამე, მედიცინის საფუძვლების შესახებაც, უნდა ეოფი-ლიურ გაკრელებული უძველეს ხეთა-სუბარელებს ძორის, რო-მელთაც დიდი ტერიტორია ექვათ მცირე აზიაში (მესოპოტამიი-დან მოუთლებული კავკასიონამდე), მემდეგ მათ მემკვიდრეთა ძო-რის ურარტეს ქვეყანაში და, ბოლოს, ამ სახულმწიფოს ტერიტო-რიაშე წარმომობილს კოლხებისა და იძერების სამეფოებში<sup>1</sup>.

ეგვიპტე ამ ქვეყანაში, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითა-რების პირველ ეტაპზე, ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნო-ბები მუშავდებოდა ერველდღიური დაკვირვებების საშუალებით ადამიანის ბუნებაზე საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობის ღროს.

მოძღვრება ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ კარგად ჩამოუალიბებული სახით პირველად მემუშავდა მონათმფლობელურ საზოგადოებაში, როდესაც ეს უკანასკნელი საბოლოოდ დაპყვიდრდა. მოკლედ ეს მოძღვრება შემდეგში მდგომარეობს.

მთელი ხილული სამეარო და კურმოდ ადამიანი ერთ ღროს

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, სა-ქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1944 წ.

წარმოიძგა უკვდავი, სამარადისო არამატერიალური მაღის მიერ. რომელსაც ღმერთის უწოდებდნენ. მთელი სამეცნიერო მოძრაობა და აგრეთვე ადამიანის ერველი ერთა-ქეცევა დამოკიდებულია ამ ღვთა-ებრივ მალაზე, რომელიც ადამიანი არსებობს სულის სახით. სული ქმნის სიცოცხლეს. სულის ადგილსამეოფელოდ მიიჩნევდნენ გულს, ზოგჯერ აგრეთვე ღვიძლს, სისხლსა და ტვინს. რო-დესაც სული ძორდება სხეულს, სხეული კვდება. თვით ღააგადებას სულს მაწერდნენ — ძოროტ სულს, ღემონებს (ჩვენძი მათ უწო-დებდნენ ბატონებს, ავ სულებს). ღვთაება წინასწარ განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამ სუ-ლის საშუალებით. ამიტომ ამბობდნენ, რომ ადამიანის ბედნიერება და უბედურება ღმერთზეა დამოკიდებული, ანუ ღვთის განგებაზე.

აქედან წარმოიძგა ცნება ბეჭის შესახებ. ვის როგორ დაუწე-რა ღმერთმა წინასწარ ცხოვრების აკ-კარგი, იმაზეა დამოკიდე-ბული მათი ბეღ-იღბალიო. ადამიანს არა აქვს არავითარი შესაძლებლობა ბანგების მიერ მიუწენებული ბეღ-იღბალი შეცვალოს. ამ მოძღვრებას ამჟმავებდნენ და ავრცელებდნენ ხალხის მასები მონათმფლობელობის ხანის ქურუმები, მოგვები, მღვდელმთავრები, მეფები, აწაურები, კველა მონათმფლობელი, ე. ი. გაბა-ტონებული კლასის წარმომაზენდენდები. ამ რწმენაში ზუსტად გამოიხატებოდა მონათმფლობელობის წესწეობილების გაბატონე-ბული კლასის ეკონომიკური ინტერესები: მონას უნდა ეწმენა, რომ მისი მფლობელი და ბატონი ღვთის მიერ არის მოვლინე-ბული, რომ მისი გაჭირვებული ცხოვრება დედამიწაზე ღვთის მიერ არის განხრასახელი. ეს რწმენა უკარგავდა საფუძველს მათ მისწრაფებას ცხოვრების უკეთესი პირობებისაკენ. ამ რწმენის თანახმად მონა ვალდებული იყო უსიტუოდ, უბრძოლოდ აეტანა თვითი უმწეო მდგომარეობა, სამართლიანად მიეჩნია გაბატონე-ბული კლასის უპირატესობა, მათი კმავოფილი ცხოვრება მო-ნათავან მიღებული მოსავლის ხარჯზე.

მაშასადამე, ამ უმცველესი ღროის მონათმფლობელური სახო-გადოების ადამიანთა წარმოდგენით, ადამიანის სოციალური ბუ-ნება წარიმართება მთლიანად ღვთის განგებით, უზენაესი ღვთა-

ებრივი მალით, რომელიც ადამიანის გონიერისათვის მოუწვდომელია. ადამიანი მას უნდა დაემორჩილოს. უოველი ბრძოლა უპე-  
ტესი ცხოვრებისათვის დგთის სახელით დამონებული ადამიანისა-  
თვის დანაშაულად ითვლებოდა როგორც დვთის წინაშე, ისე მე-  
ფისა თუ პატრიოტის წინაშე და ამიტომ ადამიანი ასეთი ბრძო-  
ლისათვის სასტიკად ისჯებოდა.

ზესტი მეცნიერული ცნობების დამუშავება ანატომია-ფიზიო-  
ლოგიაში მონათმფლობელობის საზოგადოების უკვე კარგად გან-  
ვითარებულ ეტაპზე იწყება, როდესაც საწარმოო იარაღებისა და  
საწარმოო ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით წარ-  
მოიშვა ზესტი ცოდნის საჭიროება ადამიანისა და, საზოგადოდ,  
ცხოველური ბუნების შესახებ. საზოგადოებრივი ცხოვრების გან-  
ვითარების ამ ეტაპზე ანატომია-ფიზიოლოგიის შესწავლა რელი-  
გიის შესურთა ხელიდან გადავიდა საერთ პირების — ფილოსო-  
ფისების — ხელში, რომელიც საზოგადოდ გარესამუაროს უოველ-  
მსრივ გამოვლინებას შეისწავლიდნენ. ასე მოხდა თავდაპირველად  
საბერძნეთში. მექენიკ-მეხუთე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდის  
ანატომია-ფიზიოლოგიას უკვე ფილოსოფისები შეისწავლიდნენ.  
შემდეგ, ბერძნული ფილოსოფიის გავლენით, საქმარისად მოგვია-  
ნებით, ჩვენი წელთაღრიცხვის I—III საუკუნეების განმავლობაში  
ჩაებნენ ამ მეცნიერულ საქმიანობაში რომაელები.

ანტიკურ ბერძენთა მონაპოვარი ანატომიასა და ფიზიოლო-  
გიაში თანდათან კრცელდებოდა სხვა ქვეუნებშიც, როგორც ეპიო-  
ნაში, ისე მცირეაზიანა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ქვეუნებში.  
ბერძნულ მონაპოვართა საფუძველზე ანატომია და ფიზიოლოგია,  
როგორც მეცნიერება, ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა კვე-  
ბრიოლებებისა და სელექციდების სახელმწიფოში, ეპვიპტესა და  
სირიაში, შემდეგ კი, მეორე—მეხუთე საუკუნიდან. მეზობელ ქვეუ-  
ნებში — სომხეთსა და საქართველოში; უფრო მოგვიანებით ის ვი-  
თარდება მცირე აზიის დამპურობელთა შორის, პირველ რიგში  
არაბების სახელმწიფოში, ხოლო კიდევ უფრო გვიან — ეპროპის  
ქვეუნებში.

### 3. მასივასური ცნობები აღამიანის განვითარების შესახებ ანტიკურ საბერძნეთში

როგორც უპყვ ადგნიძნეთ, ქვიმობამ პირებელად უმკელეს საბერძნებიში დაღწია თავი ქურუმებს და გადავიდა საერო პირებისა და ფილოსოფონების სელმი. სწორედ ამ პერიოდში ქვიმითა ცნობანი სსეულის აგებულებისა და მოქმედების შესახებ სინამდვილეს დაუპლოვდა, რადგან ეს ცნობები შესვენდა მექანიზმების მისაღვით უაღიანებოდა. ანატომიას უშუალოდ ცხოველებზე შეისწავლიდნენ, რადგან აღამიანის გვამის გაკვეთა რელიგიური ცრუმორწმუნების გამო საბერძნებიშიც აკრძალული იქთ. ფიზიოლოგიურ მოვლენებს ეს ექიმები განმარტავდნენ იმ ნივთიერებათა და ძალების საშუალებით, რომლებითანაც მათ ეოველდღიურად საქმე ჰქონდათ. ბერძნენ ექიმთა აზრით აღამიანისა და აგრეთვე ეოველი ცოცხალი არსების სსეული თოხი ძირითადი ნივთიერებისგან შედგება: ძირის, წელის, ჰაერისა და ცეცხლისაგან. მათი აზრით, ამ ელემენტთა ერთმანეთში შერევა იძლევა სსეულის მთავარ სითხეებს: სისხლს, ლორწოს, უკითხლსა და ძაგ ნაღველს. უკითხლი ნაღველი დკიმდლი წარმოიშვება, ხოლო მავი—ელექტონი. როდესაც ამ ნივთიერებათა ნარევი ერთგარი წონასწორობაა და სსეულის ძიგნით მოქმედ ძალა შორის ჰარმონია სულექს, მაშინ სსეული კანმრთელია. როგორც იძღროინდელი უდიდესი ექიმი, ფილოსოფონი ჰიპოკრატე (მექუთე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე), გამოიტქამდა, რომ სსეული, ისე რთბორც წრეს; თავი და ბოლო არა აქვს; თვითეული მისი ნაწილი უკელა დანარჩენ ნაწილთან შეიძრო კავშირია. სსეულის მაცოცხლებელი პრინციპი მასში ჩანერგილ სითბომი მდგომარეობს. ამ სითბოს დაცვა წარმოებს ჰაერითა და მასში არსებული მაცოცხლებელი სულით, რაც სუნთქვის მთავარ ამოცანას შეადგენს. ამ შემთხვევაში სული გამოვევანილია ფანგბადის როლში. ასეთი იუო ზოგადი ფილოსოფიური წარმოდგენა აღამიანის არსის შესახებ.

ჰიპოკრატეს დროს უპყვ ჰქონდათ ზოგიერთი ისეთი

წარმოდგენა, რომელიც სწორად განმარტავდა ზოგიერთი ორგანოს ფუნქციას, მაგრამ ასეთი ცნობები მეტად მცირე იქნ.

მაგალითად, მამინ იცოდნენ, რომ ტკინი წარმოდგენს მთავარ ორგანოს, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანის უველა სუბიექტური განცდა და გონებრივი მოქმედება; რომ შეგრძნების ორგანოები ტკინს მოქმედებენ; რომ ტკინი მოქმედებს კუნთებსა და სხვა ორგანოებზე; რომ მონელება კუჭა და ნაწლავებში ხდება; რომ მონელებული საჭმელი აქვთან სისხლი გადადის და ძემდებ უკრთდება დკიძლსა და გულს, საიდანაც მთელ ორგანიზმი ვრცელდება; რომ სისხლის მოძრაობა დამოკიდებულია ბეჭის ცემაზე; რომ თირკმელები „მიირაცებენ“ სითხეს მარღვებიდან; რომ სისხლი, რომელიც მზადდება საჭმლისაგან და რომელსაც ჰაერი ერევა, სიცოცხლის მარარებელია, რომ მასზე დამოკიდებული კვება, მოძრაობა და შეგრძნება, ე. ი. ორგანიზმის მთავარი ფუნქციები და სხვა.

სხეულის დავადებას საბერძნებოში ჰიპოკრატეს დროს შევე უბრალოდ როდი განმარტავდნენ, როგორც დემონებისა და ბოროტი სულის სხეული ჩასახლების ძედებად წარმომოძილის. ჰიპოკრატე თვითონ არაბუნებრივ მაღებს ან ღვთავებას არ უკავშირებდა ავადმეოფობის განვითარებას. იგი ამის საწინააღმდეგოდ გადაჭრით გამოიყენდა: „ღვთავებრივია ესეც და ისიც, მაგრამ ეგველაფერი წარმოებს მსოლოდ ბენების ძესაფერისად“. ავადმეოფობის მიზნებად იგი ასახელებდა თვითონ ადამიანის მიერ საწარმოებ დაზიანებებს, დიეტას, საჭმლისა და სასმელის გავლენას, თვითონ ადამიანის ბუნებას ძემკიდრეობის სახით და ადამიანის გარემოს, კლიმატსა და წელიწადის დროს, მეტადრე ეპიდემიურ გავლენებს. გარეგანი გავლენები, ჰიპოკრატეს მისედევით, იმიტომ იწვევს სხეულის დავადებას, რომ ისინი ძესაფელიან სისხლისა, ლორწონა და ეკითხლსა და მავ ნაღველს ძორის არსებულ ნორმალურ ურთიერთობას. მეიძლება ითქვას, რომ ჰიპოკრატეს უამრავ საწარმოები გატარებულია მირითადად მართებული მოსაზრებები, როგორც ადამიანის სხეულის ფიზიოლოგიურ ფუნქციათა, ისე სხვადასხვა ავადმეოფობათა წარმომისა და მკურნალობის ძესახებ.

ჰი ჰ თ კ რ ა ტ ე ს ა და, საზოგადოდ, იმდროინდელ ექვმ-ფიზიკური დოსტოვოსთა ფიზიოლოგიური ექვლა მოსახრება მეტისმეტად ზოგადი ხასიათისა იყო. ისინი წარმოადგენენ ემპირიული და-კვირვების, ღრმა მოფიქრებისა და ლოგიკური მსჯელობის მე-დეგს. ცხოველთა და ადამიანთა ორგანიზმის ფუნქციათა ზესტი კონკრეტული ცოდნა ძეგამლებელი გახდა მსოლოდ ექსპერიმენტუ-ბის სამუალებით, რაც უპყე ძემდეგ წარმოიმვა რომაელთა ბატო-ნობის ღროს. მანამდე კი ზესტი ანატომიური ცნობების ძეგლე-ბაც ძეგლებელი იყო. გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ჰ ი- ჰ თ კ რ ა ტ ე, მაგ., კერ არჩევდა ნერვს სისხლის ძარღვისა და მუქის ძაფებისაგან, რომ მას არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა გუ-ლის მარკვენასა და მარცხენა პარკუსის დანიშნულებაზე, რომ მას არავითარი ცოდნა არ გააჩნდა ნერვული სისტემის მოქმედების ძესახებ, ვინაიდან ექსპერიმენტულის გარეშე ეჯვლა ამის გარემო-მიუწდომელი იყო<sup>1</sup>.

ჰ ი ჰ თ კ რ ა ტ ე ს ძემდეგ ანატომიასა და ფიზიოლოგიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ძეიტანეს დიდმა ბერძენმა ფილო-სოფოსმა არ ისტორიულებ (384—321 წ. ჩვენ წელთაღრიც-ხამდის), ქ. ალექსანდრიის მეცნიერმა ექიმებმა ერაზისტორიუ-მებ, ჰეროფილემა და სხვებმა. არ ისტორიელე ამ ცნობებს უმთავრესად იძლევა თავის ძროში „ცხოველთა ისტორია“ და „ცხოველთა ნაწილების ძესახებ“. მან ძეგრიბა სხვა მეცნიერთა დაკვირვებები და აგრეთვე საკუთარიც, რომელთაც იგი ცხოვე-ლებზე აწარმოებდა ვიგისექციის სამუალებით. იგი იმეორებდა უპყე ცნობილ აზრს, რომ ჰირკველეოფილი ელემენტისაგან—ეთე-რისაგან—წარმოიძება ორი აქტიური ნივთიერება—ცეცხლი და ჰერი, და ორიც პასიური—წეალი და მიწა. იგი გამოთქვადა აგრეთვე, რომ არსებობს ოთხი ელემენტური მალა: სითბო, სი-ბრილე, სინესტე და სიმშრალე. ამ ელემენტების ძესავებით ან

<sup>1</sup> ჰიპოკრატეს მოძღვრება ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის შესახებ გადმოცემულია ჰიპოკრატეს შრომათა კრებულიდან: Гипократ, Избранные книги. Редакция, вступительные статьи и примечания проф. В. П. Карапова. Госиздат, 1936.

მათი ერთმანეთში უბრალო თანაბარი შერევით წარმოიშვება ცხოველთა სხეულის მთავარი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა სისხლი, ძრატი, ტვინი, ხორცი (კუნთი), რძე, კანი, ძარღვები, ძვალი, ხრტილი, თმა, რქა, ფრჩხილი, სეკრეტები და ექსკრეტები. ამ ნაწილთა შეერთება კი ჰქმნის სხეულის რთულ შემადგენელ ნაწილებს, როგორიცაა ხელი, თავი, თვალი და სხვა. ამ ნაწილთა აღნაგობისა და ფუნქციათა შესახებ იგი იმეორებს ჰიპოკრატეს მოსაზრებებს, მაგრამ თავის საკუთარსაც გამოთქმას. მაგალითად, არ ისტორიელე ჰირველად იძლევა სეკრეტისა და ექსკრეტის ცნებას. უფრო სრულეოფილია მისი წარმოდგენა საჭმლის მომნელებელი სისტემის შესახებ; დასახელებულია ეველ მისი ნაწილი, თვითონ საჭმლის მონელება წარმოდგენილია როგორც უსარგებლო ნივთიერებებისაგან სასარგებლოს გამოცალებებია, რომლისაგანაც წარმოიშვება არასრულეოფილი სისხლი ქილუსის სახით. უსარგებლო ნივთიერებათა გამოდგვნა ხდება სწორი ნაწილაკითა და თირკმლებით. თირკმლები ძარდის გამოყოფა სისხლის ძარღვებიდან ხდება და ძარდი ძარდსაწვეთით ძარდის ბეშტრი გადადის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არის ტორტელე საკუთარი და გვირკებანი ცხოველთა წარმომბანა და ემბრიონის განვითარებაზე. მან ჰირველმა აღნიშნა, რომ ქათმის კვერცხის ემბრიონში ჰირველ ერვლისა გელი ვითარდება, რომელიც დაბარების შესამე ღღეს უკშვ. ჟულსაციას იძლევა.

მაგრამ ამასთან ერთად არის ტორტელე მაგრება მეტის-მეტად ტლანტი შეცდომა „ჩანერგილი სითბოსა“ და „მემგრმნებელი სელის“ რაობისა და ადგილმდებარეობის შესახებ. გული მას წარმოდგენილი ჰქონდა ორგანიზმის მთავარ ცენტრალურ თრგანოდ, სადაც სისხლი და მასთან ერთად სითბო წარმოიშვებათ. მას ეგონა, რომ გელიდან სისხლი კვნებით გადადის სხეულის ეველა სხვა ნაწილები და აპირობებს მათ ძოქმედებასა და ფორმირებას. ძემდებ, წინააღმდეგ ჰიპოკრატესი: მან თავის ტვინი კი არა, არამედ გელი მიიჩნა იმ ადგილად, სადაც თითქოს სელი წარმოიშვება, სადაც ვითომც სელი ბინადრობს. გულის

სითბოთი „გაცოცხლებული“ და პნევმით (ჰაერით, სულით) „გასულიერებული“ სისხლი მფეთქავი მარღვებით გადადის სხეულის კელა ნაწილში და აპირობებს მათ ცხოველმეოფელობას. ამასთან დაკავშირებით, არისტოტელეს აზრით, ძეგრძნება, მომრაობა, აზროვნება თავის ტვინის მთავარ ფუნქციას კი არ შეადგენს, არამედ გულისას. თავის ტვინი მას მისწეული პქონდა როგორც ეგრძნობელი სითხე, მსგავსად სისხლისა, ნაღვლისა და სხვათა. თავის ტვინს იგი მიაწერდა ლორწოს განგითარებას. აგრეთვე არსებით მნიშვნელობას გულის გაცივებაში, ვინაიდან, მისი აზრით, ტვინი თავისი ბუნებით გრძლი ნაწილია; გრძნობათა ორგანოები დებულობს ფუნქციურ თავისებურებას მათში გამავალი გასულიერებული სისხლისაგან. აი, ცხოველთა ორგანოებისათვის ასეთი ტლანქი უარეოფა თავის ტვინის მნიშვნელობისა და, პირიქით, მისი ფუნქციების მიერთვნება სხვადასხვა ორგანოსათვის მათი გასულიერების სახით, რომელსაც ვათომდა სისხლი აწარმოებს, ჰიპოტონიური მოძღვრებასთან შედარებით მნიშვნელოვან უკან დახვას. წარმოადგენდა ფიზიოლოგიური აზროვნების განვითარებაში<sup>1</sup>.

ანატომია-ფიზიოლოგიაშ შემდგომი განვითარება ქ. ალექსანდრიაში განიცადა. ეს ქალაქი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა ეპგიატემი, მალე გადაიქცა ალექსანდრე დიდის მიერ დატერობილი ქვეყნების ედიდეს კულტურულ ცენტრად. აქ, ამ ქალაქში, პტოლომეოს ლაგუზ (321 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე) შექმნა ისტორიული მნიშვნელობის დაწესებულება, რომელსაც მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის უნდა ემსახურა. ამ დაწესებულებაში აღიზარდნენ, სხვათა ძორის, ედიდესი ექიმები, რომელთაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ანატომია-ფიზიოლოგიის შემდგომ განვითარებაში. უწინარეს კოვლისა, მათი შეოსებით მაღალი წინ წაიწია ადამიანის ანატომიაშ, სწო-

<sup>1</sup> არისტოტელეს მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ მოცემულია არისტოტელეს შრომების მიხდვით: არისტოტელъ, „О частях животных“, Ветупительная статья В. П. Карпова, 1937; „О возникновении животных“, Ветупительная статья В. П. Карпова, 1940.

რედ იმის გამო, რომ ებგიაზე იუო პირველი ქვეანა, სადაც ადამიანის გვამებს აბალზამირებდნენ და ისე ინახავდნენ. ამ ექიმთა წრეს ეკუთვნიან ქიმები ერაზისტრატე და ჰეროფილე ე. მათი წარმოდგენით, სიცოცხლეს თხით მაღა განაცებს: მასაზრდოებელი, გამათბობელი, მოაზროვნე და შემცრმნები. ამ მაღაბის ორგანოებად მიიჩნევდნენ ღვიძლს, თავის ტვინსა და ნერვებს. თავის ტვინის აღნაგობა, ოთხივე პარკეტისა და ქერქის ხვეულების აღნიშვნით, მათ დაწვრილებით აღწერეს. ნერვებს ზუსტად განასხვავდენ მუქებისაგან, არტერიების—ვენებისაგან. მათ პირველად აღწერეს ლიმფური ჯირკვლები და გუბი, სადაც საჭმლის მომნელებელი მიღიდან ქილუსი შედის. სწორად აღწერეს გული, სარქვლები, ბრონქიალური არტერიები და სხვა. მათ ფიზიოლოგიაშიც ბევრი ახალი სწორი ცნობა აქვთ მოცემული. ისინი არჩევდნენ მგრძნობიარება და მამოძრავებელ ნერვებს, აღნიშნავდნენ ჟულსის ცვლილებას ახაკისა და ღავადების მიხედვით, ჰაერის (ჰევმის) შესვლას სხეულის როგორც ფილტვების, ისე კანის საშუალებით, გულის მარჯვენა პარკეტიდან სისხლის გადასვლას ფილტვებში, თავის ტვინის სხეულების მნიშვნელობას ფირქიური მოქმედებისათვის და სხვას.

ანტიკურ საბერძნეთში სხვა ფილოსოფოსებიც ექიმობდნენ და წერდნენ წიგნებს ადამიანის ბუნებისა და მკურნალობის შესახებ, მაგრამ მათ ბევრი რამ ახალი და ღილსშესანიშნავი ფაქტი ას თეორიული დებულება არ მოუციათ. ამიტომ მათზე არ შევჩერდებით.

ადამიანის სიციალური ბუნების შესახებ უდიდესი მნიშვნელობის მოსაზრებანი გამოთქმული იუო ანტიკური საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსების პლატონისა და არისტოტელეს მიერ. მათმა აზრებმა არსებითი გავლენა იქნიეს საქართველოს ფილოსოფიური მოძღვრების განვითარებაზე ადამიანის ბუნების შესახებ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ აზრების მოკლედ მოუვანა.

პლატონის თხსელებებში ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებაზე არსებითად სულ ცოტა რამ არის თქმული; რაც არის, ისიც

უკვე ცნობილი იქთ ჰიპოკრა ტემდიას. ამიტომ ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით. სამაგიეროდ, ძლიერ მნიშვნელოვანია მისი წარმოდგენა ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ, რომელიც შემდგომ მრავალი საუკუნის განმავლობაში იღეალისტური მსოფლიმენველობის ქავეთხედად გადაიქცა. ჰლატონის მოძღვრებით, არსებობს ორი სამეარო: იდეებისა და ნივთების ანუ მატერიალის. იდეები მცნებების სახით თავისითვად არსებობენ როგორც საგნების ჯერფებისათვის, მთელი სახისა ანდა გვარისათვის, ისე თვითეული კონკრეტული საგნისათვის. ამ იდეებს წარმოშობა „სამარადისო გონება“ და მერე ისინი არსებობენ, რეალურად ცხოვრობენ ადამიანის გარეშე მუდმივად და უცვლელად. იდეები შეაგენენ რეალურ კოფიცირებას. ისინი არსებობდნენ გრძნობადი სამეაროს წარმოშობამდის.

ჰლატონის აზრით, გრძნობადი სამეარო შედგება ნივთებისა და მოვლენებისაგან. ეს ნივთები წარმოადგენენ ამ იდეების სამეაროს პროდუქტს, მათ ანარეკლს მატერიალი. ნივთები ამ იდეებსა და მატერიას მორის შექმარეობენთ. თვით მატერიას რეალურ არსებად არ თვლიდა, მატერიას არაუთიფირად აცხადებდა. ნივთებს ჩვენ შევიცნობთ იმიტომ, რომ მათი მიზეზები, ე. ი. იდეები, ჩვენში არსებობენთ. ნამდვილი, ჟუმარიტი ცოდნა სამეაროსი ამ იდეათა ჰკრეტით მიიღწევათ, რაღაც ნივთების ანუ საგნებისა და მოვლენების შეგრძნებით ჩვენ მხოლოდ შევიძენთ განცალკევებულ ნაწევებ-ნაწევებ წარმოდგენებს ამ საგნებისა და მოვლენების შესახებო. თვითეული „იდეის“ ერთობლიობა პოლუობს თავის განსახიერებას შეგრძნებადი ნივთიერების სიმრავლეშით.

იდეათა სათავეში დგას სიკეთის იღეა—დმტრთი. მისგან არის შექმნილი მთელი სამეარო: ციური მნათობები, სული და სსეული ადამიანისა. იდეები გამოვლინდებიან ადამიანში სულის სამეალებით, რომლის უმაღლეს ნაწილს გონება შეადგენს. ეს სულიც უკვდავია. იგი სიცოცხლის წეარო. სული ამ ერთად არსებობს და შედის ადამიანში თესლის სამეალებით. რაღ გან ქვეენიერებაზე ადგილი აქვს ბოროტებას, უწესობას, ამიტომ 2. ივ. ბერიტაშვილი.



პლატონის მიაჩნია აგრეთვე სათანადო იდეებისა და ბოროტი სულის არსებობა. ეს ბოროტი სულიც ადამიანში მედისო როგორც კეთილი სული. ადამიანში სულის გონების მეოსებით ემლევა სამუალება იდეების ჰერეტისა, იდეათა სამუაროს შესახებ ჟემმარიტი ცოდნის მეძნისა. გახსენების სამუალებით ადამიანის უკვდავი სული განსტერების ამ იდეათა სამუაროს. ამას ადამიანი მაიაწევს მხოლოდ იმ მემთხვევაში, თუ იგი მემლებს განთავისეუფლდეს ტრმნობის სამუალებით მიღებული წარმოდგენებისაგან. სხეული კედება, როდესაც მას სული ამოხდის. ამის მემდებ სული განაგრძობს თავის უკვდავ ცხოვრებას.

პლატონის ეს მოძღვრება თავიდან ბოლომდე მისტიკურია, მოკლებული რაიმე რეალურ საფუძველს. იგი იდეალისტურია, ვინაიდან მისი შეხედულებით მოელი სამუარო ღმრთის ქმნილებაა და მისი მომრაობა და ცხალებადობა სულზე დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, პლატონის აზრით, ადამიანი უნდა ხელმძღვანელობდეს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში ამ იდეებით. ადამიანთა საზოგადოება უნდა მოწეროს ამ იდეათა საფუძველზე. მაგრამ ამ იდეათა შეგრძნობა-შეცნობა, მეტადრე, რაც მთავარია, სიკეთის იდეის შეცნობა უკვლას არ შეუძლია. ამიტომ სწორი ცოდნის მოცემას ადამიანის უოფა-ქცევის შესახებ უკვლა კერ მთახერხებს. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებისა და, კერძოდ, თვითეული ადამიანის მოქმედების ნორმებს უნდა ადგენდეს და განაცემდეს ისეთი წარჩინებული პიროვნება, ფილოსოფოსი, რომელიც შეძლებს განთავისეუფლდეს გარემოს გავლენისაგან და გამოიჩენს უნარს ზესთა ბუნებრივ იდეათა ჰერეტისას. ამ იდეალურ საზოგადოებაში, ცხადია, მოსახლეობის უმრავლესობას ევალება მონური დამორჩილება, ბრძანებათა უსიტყვოდ შესრულება გაბატონებულ ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობისათვის.

პლატონი ი იუ მეფის მთამომაცლობისა, ათენელი არისტოკრატის წარმომადგენელი. იგი ცხოვრობდა (427—347 წწ. ჩვენ წელთაღრიცხვებამდის) ათენში იმ დროს, როდესაც მასში გამწვავებული ბრძოლა წარმოებდა არისტოკრატისა და დემოკრატის მორის. პლატონი ეკუთვნოდა არისტოკრატიულ პარ-

ტიას. იგი ამტკიცებდა, რომ დემოკრატიას არ შეუძლია განაგოს სახელმწიფო სამართლიანად, ვინაიდან ადამიანთა უმრავლესობა მოკლებულია სიკეთქს, სამართლიანობას, ვაჟეაცობას; მხოლოდ წარჩინებულ ფილოსოფოსს შეუძლია აწარმოოს სამართლიანი მართვა-გამგებლობა.

უნდა აღინიძენოს, რომ პლატონის დროს ათენში მონათმფლობელური წესწეობილება იყო. დემოკრატიას მონები არ ეპუთვნოდნენ. მათ არავითარი მოქალაქეობრივი უფლებები არ ჰქონდათ. მონათა მრომის პროდუქტით სარგებლობდნენ როგორც არისტოკრატები, ისე დემოკრატები, რომელთაც ეპუთვნოდა ათენის მკვიდრი მოსახლეობა სელოსნების, ვაჭრებისა და მიწამოქმედთა — გლეხების ძემადგენლობით. ცხადია, თუ, პლატონის მოძღვრების თანახმად, დემოკრატები — ათენის მოქალაქენი — მოკლებული იუვნენ უნარს სამართლიანი საზოგადოებრივი მოქმედებისას, მით უფრო მონები უნდა ეოფილიყვნენ მოკლებული ამ უნარს. ესენი არც იუვნენ მიღებული შედევლობაში, როგორც არასრულეოფილი ადამიანები. მათ მოვალეობად ითვლებოდა იმისა და იმდენის უსიტყვოდ კეთება, რასაც პატრიონები უბრძანებდნენ. მათი როლი ათენელი საზოგადოების ცხოვრებაში დახლოებით ისეთივე იყო, როგორც მინაური ცხოველისა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მონათმფლობელურმა წესწეობილებამ და მუდმივმა დაუნდობელმა ბრძოლამ არისტოკრატებსა და დემოკრატებს მორის. რაც მეტისმეტად შეამავა უმრავლესობის ინდივიდუალურ ცხოვრებას, აიმულა პლატონი უარევო რეალური საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი უამრავი ნაკლებებით, რომელთა წეალობით მოსახლეობის უმრავლესობა მეტისმეტად გაჭირვებულ ცხოვრებას განიცდიდა. მან ამჯობინა საზოგადოებრივი ცხოვრების ფანტასტიკური იდეალის დამუშავება თანახმად იმ იდეებისა, რომელთაც იგი ეუფლებოდა თავისუფალი აზროვნების საშალებით. მის მიერ ამ გზით აღწერილ იდეალურ სახელმწიფოში ადამიანთა სოციალური ბუნება ისე იქ წარმოდგნილი, როგორც ეს შეფერებოდა გაბატონებული კლასის —

არისტოკრატის — ეკონომიკურ ინტერესების, იმ კლასისას, რომელსაც თვით პლატონი ეკუთვნოდა<sup>1</sup>.

არისტოტელეს მოძღვრება ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ მნიშვნელოვნად განსხვავდება პლატონის მოძღვრებისაგან. არისტოტელეს აზრით, თვითეული არის შედგება ფორმისა და მატერიასაგან, რომლებიც ერთმანეთთან მშედრო კავშირში იმუოფებიან: თვითეული ფორმა მოითხოვს განსაზღვრულ მატერიას და პირუე — თვითეული მატერია მოითხოვს განსაზღვრულ ფორმას. როდესაც სხეული იძლება, მისი ფორმა ქრება, მასთან ერთად ქრება მისი მატერიაც. ამ დაძლის დროს სხეული დებულობს სხვა ფორმის სახეს და განაგრძობს არსებობას ახალი ნივთის სახით. ასეთი დაძლის შედეგად მიიღება ბუნების ელემენტარული ნაწილები: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. მაგრამ ამ ელემენტებსაც აქვთ თავისი ფორმა. ფორმა მატერიას აქტივობის საწეისია, მისთვის კონკრეტული სახის მიმებია.

არისტოტელეს აზრით, ცოცხალი სხეულების გამაქტივებელ ფორმას სული ძეადგენს. ამ სულის ადგილსამეოფელი გულია. აქედან წარმოიშობა და იყვებება სხეულის „მაცოცხლებელი სული“. სული წარმოადგენს სხეულის ენერგიას, რომელსაც ჩვეულებრივ ენტელექტუას უწოდებდა. ამ ტერმინით აღინიშნება სხეულის მირითადი მინაგანი პროცესების ის კომპლექსი, რომელზედაც დამოკიდებულია სხეულის ცვალებადობა და მომრაობა. მაგრამ, თუ რომ მატერია ცვალებადობდა ასე თუ ისე, იგი პირობადებული იქო აგრეთვე მატერიის თვისებით, მასში არსებული პოტენციით, მისი უნარიანობით, მისი შესაძლებლობით განასხორციელოს ფორმის მიერ ნაკარნასევი ცვლილებები და მომრაობა.

არისტოტელე უარეთვს პლატონური იდეებისა და სულის დამოუკიდებელ არსებობას, მათ მარადიულობას, უკვდავებასა და უცვლელობას. იგი უარეთვს აგრეთვე სამეაროს გასულიერე-

<sup>1</sup> История философии, т. I, 1940, стр. 152—181.

პას. სული ეპუთვნის სხეულის, იგი იმუოფება სხეულში, სული არ შეუძლია იარსებოს უსეულოდ. როდესაც სხეული იძლება, სული ქრება, ანდა, როდესაც სული სცილდება სხეული, უპანასკნელი იძლება და იხრწნება. ამნაირად, არის ტოტელე უარეოფედა ინდივიდუალური სულის უკლავებას. მაგრამ ამასთან ერთად არის ტოტელე ამბობდა, რომ გონება არსებობს საერთოდ ბუნებაში. იგი გარედან შედის ადამიანიდ და თამაშობს თავის როლს ადამიანის შემცნებასა და აზროვნებაში ამით იგი იზარებდა ორი სამეაროს არსებობას. მისი აზრით, ერთი მათგანის დანიმულებას შეადგენდა არა მარტო ადამიანის აქტიური მოქმედება, არამედ ციურ მნათობთა და, საზოგადოდ, სამეაროს ამომრავებაც. ამ აზრით არის ტოტელე ჰლატონს უახლოვდება, და ამდენად ეს აზრი იდეალისტურია. მაგრამ სხვა ადგილას არის ტოტელე გამოთქვამდა, რომ უმეტეს წილად სული არაფერს განიცდის და არ მოქმედებს დამოუკიდებლად, ე. ი. სხეულის გარეშე; თუმცა ადამიანის სული ეკელაზე უფრო მეტად აზროვნება ახასიათებს, ეს აზროვნება სხეულიდან შემდგები მიმღვრობით წარმოსდგებათ: სხეული→გარეგანი გადიშანება→შეგრძება→წარმოსდგენა (წარმოსახვა)→აზროვნება. ამ მომრაობის არც ერთი საფეხური არ შეიძლება შეცნობილ იქნეს, თუ წინასწარმა საფეხურმა არ იმოქმედა. ამნაირად, აზროვნება არ შეიძლება წარმოებდეს უსხეულოდ, ეს არის უკვე მატერიალისტური აზრი. ამიტომ, ამბობდა ლენინი, რომ სულის საკითხში არის ტოტელე მერყეობდა იდეალიზმისა და მატერიალიზმის მორისო.

არის ტოტელე ეს აზრით, სული მცნარესაც აქვს, მხოლოდ დაბალი ხარისხისაა; იგი მცნარის კედებას, ზრდასა და გამრავლებას აწარმოებს. ეს არის „მასაზრდოებელი სული“. ცხოველთა სული უფრო მაღალია: იგი აწარმოებს ცხოველთა გრძნობასა და მომრაობას, იგი გრძნობადი სულია. ადამიანის სული კიდევ უფრო მაღალია, მთ ადამიანი აზროვნებს. იგი გონიერი სულია. არის ტოტელე აღნიმნავდა, რომ ბუნების არსებანი განეწყობას საფეხურებრივ: მინერალები—მცნარეები—ცხოველები. მათ მორის არსებობს გარდამავალი საფეხურებიც. თვი-

თევლი საფეხურის ფორმა პირობამდებულია მომდევნოსი, უფრო სრულეოფილი საფეხურის ფორმისა. ამას იგი სინიღა ტელეოლოგიურად, როგორც უმაღლესი ფორმისადმი ლტოლვილებით.

ტელეოლოგიური განმარტება ბუნების მოკლენათა და მოძრაობისა ახასიათებდა არ ის ტოტელე ს ფილოსოფიას: სხეული არსებობს სულისათვის, სხეულის ნაწილები—მუძაობისათვის; ამ ნაწილთა თავისებურება დამოკიდებულია მუძაობის ხასიათზე და სხვა.

არ ის ტოტელე განიხილავს ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ ცხოველს, რომელსაც ახასიათებს ბუნებრივი ლტოლვილება საზოგადოებრივისა და მოქალაქეობრივი მოქმედებისადმი. ამ მოქმედების ქვეშ იგი გულისხმობდა ადამიანის თეორიულ მოქმედებას, რომელიც მიმართულია მშენიერების, საზოგადისა და დგთაებრივი მიზნის მეცნობისაკენ. ძრომას, ფიზიკური მუძაობის სახით, მოქალაქეობრივ მოქმედებას არ მიაკუთვნებდა. ამიტომ ოჯახში პირველობას მამაკაცს მიაკუთხნებდა, დედაკაცი უნდა ემორჩილებოდეს მას; საზოგადოებაში მონები უნდა ემორჩილებოდნენ მონათმფლობელებს, მსოფლიოში— უკელა სხვა ხალხი, ბარბაროსები—ბერძნებს.

თანახმად ამ მეხედულებისა არ ის ტოტელე ს იდეალურ სახელმწიფოში არა მარტო მუშებს, არამედ ხელოსნებისაც არ უნდა ჰქონოდათ მოქალაქეობრივი უფლებები. მეუძღვებულია, რომ ადამიანმა, რომელიც ხელოსნობას ან დღიურ მუძაობას ეწევა, ე. ი. ფიზიკურად ძრომობს, დაკმაყოფილოს ის მოთხოვნილებები, რომელთაც საზოგადა უკუნებსო. თვით მონების არსებობა საზოგადოებაში მას მიაჩნდა ისეთივე ბუნებრივ მოვლენად, როგორც შინაური ცხოველებისა. მონების საზოგადა არ ის ტოტელე ს წარმოდგენით, გამოისატება მორჩილებასა და პატრონისათვის საჭირო სამსახურის მესრულებაში.

მდიდარ არისტოკრატიასა და გაჭრებს, არ ის ტოტელე ს აზრით, აგრეთვე არ ახასიათებს სრული სათხო ცხოვრება, რადგან ისინი ისწრაფიან პირადი გამდიდრების, გამორჩენისა და ფუფუნებისაკენ.

არ ის ტოტელე ამტკიცებდა, რომ სახოგადოების შეაფენები, ის შეძლებული მოქალაქენი, რომელიც კმაჟოფილდებან იმდენი მემოსაგლით, რაც მათ მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველეოფს, წარმოადგენენ ეველაზე უფრო სათხო ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ შექმნან სრულეოფილი ან ნეტარი ცხოვრებათ. ამიტომ მათ სოვლიდა ის ღირსეულ ადამიანებად სახელმწიფო მართვა-გამგებლობისათვის.

ცხადია, რომ არ ის ტოტელე ს აღნიშნული მსოფლმხედველობა ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ ზესტად შესატევისებოდა მაშინდელ გაბატონებულ მონათმფლობელთა კლასის ეკონომიკურ ინტერესების<sup>1</sup>.

#### 4. მუსიკასთა ცეკვები ადამიანის განვითარების შესახებ არმისა და ბიზანტიის იმპერიაში

რომის იმპერიამ უკანასკნელ საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდის და აგრეთვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეების თანხათან შემთიერთა როგორც ევროპის, ისე მცირე აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვადასხვა ქვეყნები.

ამის შედეგად მოხდა, რომ მალე აზია-აფრიკიდან და მკელი საბერძნეთიდან პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი რომი გადავიდა. ამის გამო ანატომია-ფიზიოლოგიის შემდგომი განვითარება უმთავრესად რომი წარმოებს. უმეტეს წილად ეს ხდება ბერძენ ექიმთა შემწეობით. ამ ექიმთა ძორის პირველი ადგილი უპავია ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნის ექიმ-ფილოსოფოსს პლატონს გალენს (131—201). ბერძენი იუთ უდიდესი ექიმი, დიდად განსწავლული ფილოსოფოსი და მასთან პირველი ექსპერიმენტორი-ფიზიოლოგი. მის მრავალ ნაწარმოებში შეკრებილია ეკვლა ღირსებასანიმნავი ცნობა ანატომიიდანა და ფიზიოლოგიდან, რაც კი იმდროინდელ ბერძნულ შეკრლობაში მოიპოვებოდა და რაც მას პირადად მოესმინა იმდროინდელი გამოჩენილი ექიმებისაგან როგორც საბერძნეთში, ისე დამორებულ

<sup>1</sup> Г. Александров, Аристотель. Москва, 1940.

ქვეუნებში: სირიაში, ჰალესტინაში, ეგვიპტეში. ამანთან ერთად იგი იძლევა მრავალ ახალ ცნობას, რაც მან თვითონ მოიპოვა ცხოველთა სხეულის გაკეთითა და მესწავლით, მეტადრე მაიმუნებსა და აგრეთვე ადამიანებზე დაკვირვებით — გლადიატორთა მკურნალობის დროს. საგულისხმოა, რომ რომის იმდროინდელ მედიცინაში ემპირიული მიმართულება იქ გაბატონებული, რომელიც უარესოფდა ანატომიისა და ფიზიოლოგიის მნიშვნელობას პრაქტიკული მედიცინისათვის. გალენი კი, პირიქით, ამტკიცებდა, რომ მედიცინა უნდა ემუარებოდეს სხეულის აღნაგობისა და მოქმედების ზესტ ცოდნას.

გალენმა მეიტანა ბევრი რამ ახალი როგორც ანატომიაში, ისე ფიზიოლოგიაში. გალენი ემუარებოდა უმთავრესად ცხოველებზე ნაწარმოებ დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებს. მერმე აქ მიღებული მედიცინი ადამიანზე გადაპქონდა; ამით, რასაკვირველია, არა ერთი მეცნიმა დაუშვა, მაგრამ მაინც ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიაში ბევრი რამ დირსექსანიმნავი ცნობა მეიტანა. მან, მაგ., მრავალი სწორი დეტალით გამდიდრა ცოდნა პერიოდების, ტენიის გარსების, ღრტილების, იოგების, სახსრების, ხერხემდის აღნაგობის შესახებ; აგრეთვე კუნთების შესახებ იგი სწორად აღნიმნავდა, რომ კუნთი ხორცისაგან და მეუსებისაგან შედგებათ და სწორად აღწერდა სხვადასხვა კუნთის მდებარეობასა და აღნიმნულებას.

გალენი სწორად აღნიმნავდა აგრეთვე ფილტების ერთ-ერთ ფუნქციას, სახელდობრ იმას, რომ აქ ამოსუნთქვის დროს წარმოებს სისხლის გასუფთავება მოუხმარებელი შემადგენელი ნაწილაკებისგან, ანუ, მისი გამოოქმით. „შევარტლისაგან“. ამასთან, იგი სწორად აღნიმნავდა, რომ სისხლი ფილტები შედის ფილტების არტერიით მარჯვნა ჰარესტიდან, სოლო შესუნთქვის ღროს ფილტები შედის არმოსფერული ჰაერი და მერე ჰაერიდან ფილტების კვნის საშალებით მარცხენა ჰარესტი გადადის პნევმა — სულიერი ძალის შემოქმედი. შემდგომი ზესტი გამოკვლეულებით ცნობილი გახდა, რომ ამ „შევარტლს“ ნახმირორეგანგი წარმოადგენს, რომელიც ნივთიერებათა ცვლის მთავარ პროცესს

ეპუთვნის, ხოლო პნევმას — ქან გბადი, რომელზედაც წვის პროცესია დამოკიდებული და რომელიც, მართლაც, სიცოცხლის შთავარი ფაქტორია. პნევმის ასეთი გაგებით, ცხადია, გალენის ძეხედელება სისხლის ფუნქციაზე სრულიად რეალისტურია და მათთან მატერიალისტური. საინტერესოა, რომ თვით ძესნითვას მექანიკა გალენის სწორად ჰქონდა გაგებული, როგორც ძეგლი გულმჭრდის გაგანიერებისა, რომელიც ბულმჭრდის კუნთებისა და ზიაფრაგმის ძეგლმშვის გამო იწვევა.

სისხლის მოძრაობას გალენი არტერიების პულსაციას მასეუთვნებდა. იგი ვერ მიხვდა გელის მოტორულ დანიშნულებასა და სისხლის მოძრაობის წრისებრ ხასიათს. მისი აზრით, მარჯვენა პარკეტიდან სისხლი გადადის მარცხენა პარკეტი ფილტვის საშუალებით კი არა, არამედ პარკეტებს შეა არსებული ბგიღიდის საშუალებით, სადაც ვითომ არსებობს სათანადო ნაპრალები. ძემდებ იგი არასწორად გამოთქვამდა, რომ გელი საბერეველივით მოქმედებს: იგი გაგანიერების დროს ძეისრუტავს სისხლს ღრუვენიდან, ხოლო ჰაერს ფილტვიდან; ძეგლმშვის დროს კი სისხლს მირევავს ფილტრის არტერიაში, აორტაში კი გადაჰქვავს სისხლი ჰაერთან (სულთან) ერთად, ე. ი. გასულიერებული სისხლი.

მრავალი ახალი ცნობა მოგვცა გალენმა ნერვული სისტემის ძესახებ. მნ განკვეთილ ცხოველებზე ღაწვრილებით გამოიკვლია თავის ტვინის, ზურგის ტვინისა და ნერვების აღნაგობა და დანიშნულება. ნერვებს იგი სამ ჯგუფად ჰქონდა. მისი აზრით, ერთი ჯგუფი გრძნობის თრგანოებიდან იწევდა და ძეგრძნებათა მიმღებლობას განაცებს. მეორე ჯგუფი მაღლწევს კუნთებს და ორგანიზმის ნებით მოძრაობას განაცებს (აქ იგულისხმება მამოძრავებელი ნერვები), ხოლო მესამე ჯგუფი თავდება სხვა დანარჩენ ორგანოებში და მათ კეთილდღეობას ემსახურება (აქ იგულისხმება ვებერტაუიური ნერვული სისტემა). ნერვებს მორის გალენი იგანასხვავებდა რბილსა და მაგარს. რბილი ნერვებით ძეგრძნება წარმოებს; ეს ნერვები თავის ტვინიდან გამოდიანო. მაგარი ნერვებით მოძრაობა გამოიწვევა. ეს ნერვები ზურგის ტვინიდან გა-

მოდიან. არის აგრეთვე შერეული ნერვები. ასეთია მოგრძო ტკინის ნერვები. იგი ასანელებს და აღწერს თავის ტკინის ნერვებს.

ზურგის ტკინი, გალენის ახრით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს: მისი ნერვები ტანს ემსახურება. ამ ნერვების დანიძნულებას იგი არ კვევდა ნერვებისა და ზურგის ტკინის გადაჭრით ცხოველებზე. თავის ტკინის ფუნქციებს შეისწავლიდა ცხოველებზე ტკინის ფენობრივი გადაჭრით.

ჩვენ არ შევეხებით გალენის მიერ მოცემულ ცნობებს სამართ, სასქესო, გრძნობათა ორგანოების მესახებ, რომლებიც აგრეთვე ცხოველებზე დაკვირვებასა და ზოგიერთ ექსპერიმენტებს ეძეარებოდა.

გალენის ფილოსოფიური შესერულება ადამიანის ბუნებაზე.

გალენის ახრით, საზოგადოდ, ადამიანისა და აგრეთვე უკელა მისი ორგანოს მოქმედება წარმოებს თვითურელ მომენტით თანახმად განსაზღვრული გეგმისა, რომლის განსორციელება მიმდინარეობს განსაზღვრული მისანძეწონილი საშუალებებით. ცხადია, ასეთი ტელეოლოგიური მსოფლმსედველობა გალენს ხელს უძლიდა გაეგო სწორად ორგანოთა ფუნქციები ექსპერიმენტის წარმოებით. მაგალითად, ავადმეოფობათა წარმოშობის შესახებ მან შეიმუშავა შემდეგი ტელეოლოგიური კონცეფცია. გალენის ახრით, ჯანმრთელობა და ავადმეოფობა არის ბუნების შესაფერისისა და ბუნების საწინააღმდეგო მომრაობების ზოგადი ფორმა. რომელიც გარეგანი სამეცნიერო ზეგავლენით გამოიწვევა. ბუნების საწინააღმდეგო მოძრაობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც გარეგანი დამასიანებელი მოქმედება ავადმეოფერ განლაგებას იძლევა სხეულში, მაგ., სისხლის შემადგენელ ნაწილებში. ეს, რასაკვირველია, წარმოადგენდა პათოლოგიურ მოვლენათა ტელეოლოგიურ გაებას და არა ნამდვილ მიზეზთა გამორკვევას.

მსგავსად ფილოსოფოს პლატონისა, გალენიც იმ ახრისა იყო, რომ არსებობს რაღაც მაცოცხლებელი სული, რომელსაც გალენმა საბრძანებელი თავის ტკინის გვერდითს პარეგულები გამოუნასა. ეს სული აქ მდებარე სისხლის მარღვთა სლართი მსადღება პნევმისაგან და ნერველი სისტემის მოქმედების

მისებს წარმოადგენსო. აქედან სული გადადის მეოთხე პარაგვა და მერმე ნერვების სამუალებით სხეული კრცელდება საჭიროებისადა მისედგითო. ამ ტვინძი წარმომობილ სულჩეა დამოკიდებული მეგრმნებანი და ნებითი მომრაობები. სულს გალენი უწოდებდა ფისქიურ პნევმას. ჟეორჟ მხრით, იგი პნევმას ათავსებდა გულში. ამას უწოდებდა ცხოველურ პნევმას, რაზედაც დამოკიდებულია სხეულის უკელა გაბატატიური ფუნქცია. სულის განვითარების სხვადასხვა საფეხური ქმნის, მისი აზრით, ცხოველურ არსებათა აღნაგობისა და ფუნქციურობის მრავალსახეობას. ამასთან, მათი აღნაგობა ზესტაზ ძევფარდება ფუნქციურ მოქმედებას. თვითუელი ორგანოს მოქმედებას იგი მაწერდა მასში არსებული სულიერი ძალის გარეგან გამოვლინებას. ამნაირად, გალენის მსოფლმხედველობა ზესტაზ იჯეალისტური იყო.

გალენის ასეთი ფილოსოფიური მეცნიერებაც, რასაკეთი კულა, ხელს უძლიდა ფიზიოლოგიურ მოვლენათა ბუნების მეცნიერებულ გამორკვევას.

მიუხედავად მრავალი ნაკლისა გალენის ანატომია და ფიზიოლოგია წარმოადგენდა იმ დროს განვითარების უმაღლეს საფეხურს და, რაც საგულისხმოა, გალენის მემდეგ მრავალი საუკუნის განმავლობაში ანატომია და ფიზიოლოგია მემდგომ განვითარებას არ განიცდიდა<sup>1</sup>.

როდესაც რომის იმპერიის დასავლეთმა ნაწილმა მრავალკური დანგრევა განიცადა ჩრდილოეთიდან მემოსეული სხვადასხვა სალხის მიერ, რომიდან პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ამ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში — ბიზანტიაში გადავიდა. ამის გამო რომში და, საზოგადოდ, დასავლეთ ქვეყნებში ღროებით ჟეწედა ანატომია-ფიზიოლოგიის არამც თუ განვითარება, არამედ არსებულ ცოდნათა მეთვისება და გავრცელებაც კი. მეოთხე-მეექვნე საუკუნეებში მეცნიერებათა გავრცელებასა და განვითარებაში

<sup>1</sup> გალენის მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ მოცემულია შემდეგ თხზულებათა შიზედვით: H. Haeser, Lehrbuch d. Geschichte d. Medicin etc' Bd. I, Jena, 1875; С. Ковнер. Очерки истории медицины, вып. III, Касп., 1898.

პირველობა ისევ საბერძნეთს დაუბრუნდა და აღმავლობა განიცა-  
და უმთავრესად ბიზანტიის მცირეაზიურ პროვინციებში, პირ-  
ველ უფლისა სირიაში, რომელიც ამ დროს კიონომიურ აუგავე-  
ბას განიცდიდა, ვინაიდან მის მიწა-წელს მრავალი საგაჭრო გზა  
გადიოდა და მის სანაპიროებზე შეა ზღვასა და წითელ ზღვაში  
მრავალი ნავსადგური მოიპოვებოდა. სირიელებმა უპა წარსულ  
თვისი მოგალეობა სხეულის სრულეოფისათვის, მაგრამ თვითონ  
ამ ცოცხალი ბუნების ზრდა და მოქმედება მასში ჩანერგილი სუ-  
ლის შეოხებით წარმოებს და მასთან თანახმად ამ სულიერი ბუ-  
ნების კანონებისა.

ჩვენ აღვნიმნეთ, როგორ უნდა გავიკოთ გრიგოლ ნო-  
სე ელის თხულების დედა-აზრი ადამიანის მოქმედების ძესახებ.  
მართალია, აღნიმნული თხულება მთლიანად გაედგნთილია ქრის-  
ტიანული, ღვთისმეტესებური ფრასებით, მაგრამ ანატომიურ-  
ფიზიოლოგიურ მონაცემებს მეტილად გადმოგვცემს დიდი ბერ-  
ძენი ფილოსოფოსების თხულებათა ძესაბამისად. იგი თითქმის  
ხედმიწევნით მიხდევს ორიგინალებს, ღებულობს აქედან როგორც  
ფაქტიურ მასალას, ისე თეორიებს. აი ეს გარემოება მაფიქტები-  
ნებს, რომ ძეიმლება მართალი იუოს პროფ. ლ. ოჭანესიანი,  
რომელიც ამტკიცებს, რომ ეს მრომა გრიგოლის ძმას ბას ა-  
ღი კესარი ელს, ანუ ბასილი დიდი ეკუთხნისო. სომხურ  
ენაზე ძემონახულია ამ თხულების ისეთი ეგზემპლარებიც. რომ-  
ლებმიც თხულების აკტორად ბასილი დიდია მიჩნეული<sup>1</sup>.  
როგორც ცნობილია, ბასილი დიდმა. რომელმაც ათენაში  
ერგოლმერივი ანტიგური განათლება მიიღო და, სხვათა მორის,  
ძედიცინაც ძეისწავლა, გაქრისტიანების ძემდებ კერ დამზო საბო-  
ლოოდ ბერმუდული ფილოსოფიის თავისუფალი აზროვნება. მისი  
მასწავლებელი სოფისტი ლიბანიოს სწერდა ბასილი  
დიდს ძემდებს: „იმ წიგნების ფეხვები, რომლებიც მუდამ ჩვენ-  
ში დარჩება და რომლებიც ოდენდაც ძენიც იუო, ცხოვრობენ კი-  
დევ ძენში და კიდევაც იცხოვრებენ, მანამ ძენ თვითონ იცოცხ-  
დებ. კერავითარი დრო კერ ჩაკლავს მათ, რაგინდ ძენწად არა  
რწყვდე“<sup>2</sup>.

ასეთი თანამედროვე ფიზიოლოგიური და ანატომიური ცნო-  
ბებით, ასეთი რეალისტური მსოფლმხედველობით ადამიანის ბუ-

<sup>1</sup> Л. Оганесян, История медицины в Армении, т. I, 1946.

<sup>2</sup> В. Луикевич, От Гераклата до Дарвина, т. I, Биомедгиз, 1936.

ნებაზე იკვებებოდნენ ჩვენი წინაპრები უკვე მერკე-მეცხრე საუკუნეებმდი და მის ძებლები. ეს ცნობები იურ იმდენად დირსებულია ნავი, რომ ისინი მეობლება დასდებოდნენ საფუძვლად არა მარტო მერნალობას, არამედ აგრეთვე სახოგადოდ რეალისტური მსოფლმხედველობის მემუმავებას ადამიანის ბუნების მესახებ.

### 8. ნახასიოსის მოძღვახაბა ადამიანის სოციალური ბანების შესახებ

როგორც ესვე აღნიშნეთ, ნემე იოს ი წარმოადგინს სულის, როგორც უსხეულოსა და თვითმიზანდასახულობის ქონე სუბსტანციას. იგი მომხრეა სულის წინაარსებობისა და უპრდავებისა. პლატონის მსგავსად სულის ახარისხებს გონიერადა და უპონოდ.

უპონო სულის მოქმედებას მიაკუთვნებს აფექტებისა და სურვილების. სული თვით სიცოცხლეა. იგი ქმნის სხეულის სიცოცხლეს. მაგრამ იგი არ ერთვის, არ ერწემის სხეულს.

ნეოპლატონიკური მოძღვრების თანახმად გარემოს მთლიანი აღქმა, მიუხედავ გრძნობათა მრავალი ორგანოების მონაწილეობისა, დამოკიდებულია სულის ერთიანობაზე, რომელიც მეცნობის გრძნობის ორგანოთა მიერ მიღებულ მთაბეჭდილებებს. იგი აგრეთვე იხიარებს პლატონის აზრს, ზესთაბუნებრივი იდეათა მემენების მესამლებლობას, მაგ., ღვთისა და ანგელოზებისა. ნების თავისუფლება მას წარმოდგენილი აქეს მსგავსად ქრისტიანულისა და პლატონური გაგებისა, როგორც არადეტერმინირებული გარემოთი.

ნემე იოს ის მსოფლმხედველობა ადამიანის მესახებ არსებითად იდეალისტურია. იგი, მართალია, იმ აზრს ადგას, რომ ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესები მეინტავლება ცდების საშუალებით, მაგრამ, ამავე დროს, ამ პროცესებს უქვემდებარებს სულის, ფიზიურს. იგი გამოთქვას, რომ ადამიანის ქცევა წარმოადგენს ფიზიკურისა და ფიზიურის სლართს, რომ ასეთია ადამიანის კველა რეაქცია. ფიზიოლოგიურ მოვლენათა თეორიულად განმარტების დროს იგი იხიარებს აგრეთვე ბალენის ტელეოლოგიურ მსოფლმხედველობასაც.

ადამიანის, ნემესიონის სიტყვით, უკავია სამუალო და გარება, ერთი მხრით, უსწეველოსა და გონიერ არსებათა, ე. ი. ან-ბილოზთა და, მეორე მხრით, სწეველიანისა და უგონო ცხოველების ძორის. ადამიანი არის როგორც გონიერი, ისე ცხოველერი არსება. მაგრამ ცხოველური არსება გონიერს ემორჩილებათ, თუმცა ხმირად ცხოველური მოთხოვნილებანი გონებას იმონებენ. ცხოველები, სხვათა ძორის, იმით განირჩევიან ადამიანისაგან, რომ სიკვდილის შემდეგ უკანასკნელი აღდგება და უკვდავ მდგომარეობაში გადავაო.

ნემესიონის მსოფლმხედველობა ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ შეიტანეს უკვლა იმას, რაც ახასიათებს მონათმფლობელურს ან ბატონებურ საზოგადოებას. ღმერთი ადამიანის სულს განაგებს. ადამიანის სულს ემორჩილება სწეველის უკვლა ბუნებრივი მოთხოვნილება. ამიტომ ადამიანის ქცევა არაა დეტერმინებული გარემო პირობებით. ადამიანის სულიერი სიცოცხლე სწეველის სიკვდილის შედეგად გრძელდება. ეს მსოფლმხედველობა გაბატონებული კლასისაა, ისე როგორც ჰლატო ნიკა, რომელსაც ნემესიონი მიჰმამავს. იგი შევსატევისება აგრეთვე მონარქიულ წესწეობილებას, რომელიც უკვლა ადამიანი, უკვლა საზოგადოების წევრი ერთ ადამიანს — მეფეს, ხელმწიფეს, რომელსაც „დგომისა სწორი“ ტიტულიც კი ჰქონდა, უსიტყვიდ ემორჩილება.

## 9. მასნიერები ცოდნის გავასერება აღამიანის განების შესახებ მთარღობის საჭარებით IX—XIII საუკუნეების საუკათველოში

საკითხავია ახლა, რა სამუალებით ვრცელდებოდა ცნობები ადამიანის ბუნების შესახებ მკედ საქართველოში? რასაკვირველია, პირველ ერველისა ეს ხდებოდა თარგმნილ თხზულებათა გადაწერითა და გავრცელებით. უქეტეს წილად მათი თარგმნა და გავრცელება მონასტრების სამუალებით წარმოებდა. ცნობილია დღეს, რომ მრავალ მონასტრებში, — როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე საზღვარგარეთ ქართველთა მიერ დაარსებულ მონასტრებში, —

8. ივ. ბერიტაშვილი.

უცხოერ თხზულებათა თარგმა ქართულ ენაზე და თარგმნილთა  
გადაწერა-გამრავლება ბერ-მონაზონთა მუსაბის თითქმის მთავარ  
ამოცანას შეადგენდა. ასეთი იუო საქართველოში, VIII—XII საუ-  
ბრენებმი, ხანძთისა და ჰატერდის მონასტრები კლარჯეთში, ოძ-  
ვის მონასტერი თორთუმის ხეობაში, პარსლისა—დაზისტანში.  
გელათისა—ქუთაისის მახლობლად და სხვ... საზღვარგარეთ იუო  
აგრეთვე მრავალი ქართული მონასტერი: ჰავმთაზე, ანტიოქიის  
მახლობლად, სირიაში; სინას მთაზე—ჰალესტინის მახლობლად;  
ათონის მთაზე—ბიზანტიაში; ჰერიტონის მონასტერში—ბულგა-  
რეთში. ამ მონასტრებში შესრულებული მრავალი ხელნაწერი ძე-  
მონასტერა დღევანდლამდის<sup>1</sup>. სხვათა მორის, საზღვარგარეთ, ათო-  
ნის მთაზე იუო გადმოთარგმნილი გიორგი მთაწმიდელის  
მიერ გრიგოლ ნოსევლის თხზულებების „გაცისა შესაქმისათვას“.

ცხადია, ხათარგმნთა გადმოწერა წარმოებდა როგორც სახუ-  
ლიერო, ისე საერთ პირების მიერ თითქმის მეცხრამეტე საუკე-  
ნებდის. ნებულის ითხოვის თხზულებების ერთი შემონასტერი ხელ-  
ნაწერი, მაგ., მეოცრამეტე საუკუნეში იუო შესრულებული.

ნებულის ითხოვისა და გრიგოლ ნოსევლის თხზულებათა  
თარგმანი არსებობდა აგრეთვე სომხერ ენაზე VIII—XI საუკენე-  
ებში. სოსხერ ენაზე არსებობდა აგრეთვე სხვა თხზულებებიც,  
რომლებიც ახატითერია და ფიზიოლოგიურ ცნობებს შეიცავდ-  
ნენ, მაგ., არის ტოტევლენისა და გალენის მრომები. სომხერ  
ენაზე იუო აგრეთვე ადამიანის აგებულების შესახებ მოკლე თხზუ-  
ლება, გადმოკეთებული უცნობი ავტორის მიერ გრიგოლ ნო-  
სევლის თხზულებიდან. ეს წიგნი ძლიერ იუო გავრცელებული  
სომებთა მორის. იმ დროსაა აგრეთვე ჩვენ მიერ აღნიშნულ სო-  
მებს ავტორთა ორიგინალური მრომები ეზნიგისა და ელიმე-  
სი, რომელთაც ბერძნებული განათლება პეონდათ მიღებული და  
სარგებლობდნენ ბერძნებული ლიტერატურით. მხედველობაში უნდა  
მივიღოთ აგრეთვე, რომ ქართველთა ეპლესის გამოყოფის ძებ-  
ლებაც ორ მეზობელსა და მომშე ქრისტიანულ სალხთა მორის

<sup>1</sup> პ. კოდვლიძე. ტელი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 69—  
97, 1951.

პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა არ ძეწვეტილა. ამას მოწმობს მთელი რიგი ისტორიული ამბებისა, რომელთაც მეცნიერება და მეათე საუკუნები ჰქონდა აღიილი: აფხაზეთის, მაკ-შეთ-კლარჯეთის, ქართლისა და სომხეთის მეფეთა და ძოლობელთა ურთიერთ-დახმარება და ბრძოლა ხან ქართლის ტერიტორიაზე გაბატონებისათვის, ხან კი არაბთა განდევნისათვის; არაბთა და ძემდებ სელუს თურქთა ბატონობის დროს სომხეთა ლტოლვილების; მოხვლა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მთლიან საზღვრებში, ე. ი. მავშეთ-კლარჯეთში; აგრეთვე ცნობილი ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა ჩაასახლა სომხები ახლად ამენებულ ჭ. გორძი.

კერ კიდევ სომხეთის განთავისუფლების დასაწებისმი არაბებისაგან, დავით კუროპალატის დროს, ერთი მისი ნაწილი საქართველოს ძოარგველობის ქვემ მოქაცა; ძემდებ ეს ნაწილი კიდევ უფრო გაიზარდა დავით აღმაშენებლის დროს და ბოლოს თამარ მეფის დროს თითქმის მთელი სომხეთი საქართველოს მთავრობის გამგებლობაში იყო. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის მამა გიორგი II, სწავათა შორის, სომხეთის მეფედ იწოდებოდა. ქართველი მეფები იბრძოდნენ სომხეთა სატახტო ქალაქების ანისისა და დვინის განთავისუფლებისათვის არაბთა, სპარსთა და თურქთა ბატონობისაგან, რადგან ისინი საქართველოს ტერიტორიას ეკუთხნოდნენ<sup>1</sup>.

ამასვე აღნიშნავენ სომხეთი ისტორიკოსები: „მეფე დავითი სომხეთი მიმართ მეცნობრულ პოლიტიკას მისდევდა. მის დროს იყო აღდგენილი თურქ-სელუსეპთა ძემოსევის დროს დანგრეული ციხესახასლები, მონასტრები და საედრები, ქალაქები და სოფლები, იყო მეცნობებული და სელასლად გაუქანილი გზები. ამავე დროს დავითი ხელს უწეობდა ლიტერატურისა და სელოგნების განვითარებას. ასეთი საუთფიური კულტურული მოღვაწეობისათვის დავითს უწოდეს აღმაშენებელი. დავითის ასეთი პოლიტიკის გამო საქართველოს შეიძროდ დაუკავშირდნენ სომხები და ძეერთებული

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1948.

მალებით ებრძოდნენ ემირატებს (საამიროებს). სომხეთის სხვადა-  
სხვა ადგილებიდან და ემირატების სამფლობელოებიდან სომხები  
მასობრივ გადმოსახლდნენ ჩრდილოეთ სომხეთსა და საქართვე-  
ლოში<sup>1</sup>.

ამავე ისტორიულსების აღნიშვნით, სომხთა და ქართველთა ძრორის მეგობრული კავშირი უფრო მჭიდროვდება ძემდებმი ქართველი მეფების ღრის, კიდოვ სომხეთი და საქართველო არ იქმნება დაპურობილი მონარქთა მიერ.

ეკულა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო შეიძლება დაგა-  
კვნათ, რომ ეკულესის გაუთფის შემდეგაც ქართველთა და სომხე-  
თა შორის ჰქონილი ურთიერთობა არ უნდა შეწყვდარის,  
რომ ქართველი განათლებული საზოგადოება სომხერი ბუნების-  
შეტყველური წიგნებითაც სარგებლობდა. ეს მით უფრო პასა გვ-  
ბი უნდა იქოს, რომ ეკულესითა განცალკევების შემდეგაც სომხე-  
თის ეკულესიაში დიოფიზიტური მიმართვულება მოლიანად არ  
მოსპობდა. სომხეთს შეეჭნე საუკუნის შეორე ნახევრამდის ქალ-  
კედონიტი კათოლიკოსებიც ჰყოლათ. რაც შეეხება საქართველოს  
ნაწილის, ტაო-კლარჯეთის სომხებს, ისინი სამუდამოდ დიოფი-  
ზიტები დარჩენილან და შემდეგ კიდევაც გაქართველებულან. —

სწორედ ეს გაქართველება უნდა იქოს იმის მიზეზი, რომ  
ტაო-კლარჯეთის ცნობილ ტაძრებში: იშხანბი, ოძები და სხვ.  
სულ მცირედ მოიპოვება სომხური წარწერები და სომხური წმი-  
დანების სერათი<sup>2</sup>. აკრეთვე გაქართველება უნდა ეთყიდღიერ მთა-  
ვარი მიზეზი სომხური აგიოგრაფიული დიტერატურის თარგმ-  
ნისა ქართველ ენაზე. ითარგმნებოდა სომქითა და სხვა ტომთა  
წმიდანების ცხოვრება მათვის გასაგებ ქართველ ენაზე, რომე-  
ლიც მანამდე შეოლოდ შძობლიურ სომხურ ენაზე არსებობდა.  
მაგრამ ითარგმნებოდა სომხურიდან აკრეთვე ისეთი ძეგლებიც,  
რომელთაც საზოგადოდ ქართველ მწიგნობართა ინტერესები მო-

<sup>1</sup> История армянского народа, ч. I, стр. 172—175, 1944.

<sup>2</sup> Е. Такайшвили, Археол. экспед. в южных провинциях Грузии, 1952.

ითხოვდა. ასეთ თხზულებათა მთარგმნელებს ძორის იუ, სხვათა შორის, დაჩი, რომელმაც მე-10 საუკუნეში სომხურიდან თარგმნა ეპიფანე კვიპრ ელის დავითის კომენტარიები და გრიგოლ ოძევლი, რომელმაც თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტეველის საღვთისმეტეველო თხზულება არიანული და ეპნუმიანული მწვალებლობის შილების შესახებ<sup>1</sup>.

ცნობილია აგრეთვე, რომ მე-9—10 საუკუნეებში ქართველი მწიგნობრები, მწერლები სარგებლობდნენ სომხური წეაროვნით. ასეთი იუ მეცხრე საუკუნის მოღვაწე არსენ დიდი საფარე და, რომელმაც დაწერა ისტორია სომხეთისა და ქართლის ეპლენიების გათიძის ძესახებ; მათით სარგებლობდა აგრეთვე ლეონტი მრთველი, რომელმაც XI საუკუნეში ძეადგინა მეფეთა ცხოვრება, ნინოსაგან ქართლის მოქცევა და მეფე არჩილის წამება.

ამავე დროს ქართულიდანაც ითარგმნებოდა სომხურად მრავალი მრომა. ცნობილია, სომებმა დიოფიზიტიმა სკიმეონმა (1248 წ.) გადათარგმნა ქართულიდან პროკლე დიოდოსის მრომა „კავშირნი ღვთისმეტეველებითნი“ და ამ მრომის განმარტებანი ითან პეტრიწის მიერ ძეხრელებულნი, აგრეთვე ითან დამასკელის მრომა „წეაროვ ცოდნისად“ და სხვ.<sup>2</sup>

სომხური ენის ცოდნას ქართველ მწიგნობართა მიერ ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, როგორც ნ. მარი აღნიშნავს, ითან ე პეტრიწის ქართულ თარგმანები მოიპოვება სომხური სიტყვები—ტერმინები, როგორც ჰბუნის (მკიდრობს), წირ-ი (წრე), ეირ-ი (მმლავრი).<sup>3</sup>

მაგრამ, რაც უფრო საბეჭდისხმოა ამ მხრივ, მე-11—12 საუკუნის საერთო ნაწარმოებებში უამრავი ისეთი სიტყვა იხმარება, რომლებიც ქართულსა და სომხურ ენაზე თანაბრად გამოითქმება

<sup>1</sup> ი. აბულაძე, ქართული და სომხური დიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნ., 1944, თბილისი, გვ. 046—062.

<sup>2</sup> ქ. კველიძე, ძველი ქართლ მწერლ. ისტორია, ტ. I, 1951, თბილისი, გვ. 119—212.

<sup>3</sup> Н. Марр, Иоани Петрицкий, груз. неоплатоник XI—XII века, Записки вост. отд. имп. русск. Археолог. общества, т. XIX, стр. 53, 1909.

და თანაბარ ცნებას აღნიშნავს. ნ. მარის მიერ მოცემულ ლექ-  
სიკონში, რომელიც მაკონის „აბდელ-მექიასა“ და ჩახრეხაძის  
„თამარიანს“ ეხება, მოვანილია შემდეგი საერთო სიტემები: აბ-  
ზანი, ახოვანი, ასპარეზი, არაკი, ბანაკი, ბასრობა, ბევრი (10000),  
ბილწი, ბიწი, ბუნება, ბუნდი, ბუნდრუკი, დასი, ღრომა, ღრიგონ-  
გა, განი, სავანე, ზარი (თავზარი), ზეთი, კაზმი (მორთულობა),  
კამარა, კიდობანი და მრავალი სხვა. ნ. მარის აზრით, ეს სი-  
ტემები გაჩნდნენ ქართულ ენაში სომხურიდან ქართულად სასუ-  
ლიერო ლიტერატურის გადმოთარების შედეგად<sup>1</sup>.

ამ საერთო ხმარების სომხურ-ქართული ტერმინლოგიის  
წარმომაბას მეისწავლიდა იღ. აბულაძე მე-9—10 საუკუნ. მი-  
მართ მრავალი საერთო ხმარების სიტემა ირანული წარმომობი-  
სა აღმოჩნდა. ასეთია, სხვათა შორის, ნ. მარის მიერ დასახელე-  
ბული სიტემებიდან; ასპარეზი, ავანი, ბევრი, ბუნება, ბუნდი,  
განი, სავანე და სხვები. ამ საერთო ლექსიკონში არის აგრეთვე  
სიტემები ბერმუჯლიდან (ბარბაროსი, ეფლენია, ეპისკოპოსი, ლამ-  
პარი, კანონი, მარგალიტი და მრავალი სხვა), სემიტერიდან  
(ბასრობა, გეჰენია, შაბათი, შრომასი, ქალაქი და სხვა). არის აგ-  
რეთვე, რასავეირველია, სომხურიდანაც (მართალი, მგელი, ჰას-  
კი, ხარკი, ფონი, სასტიკი და სხვა). არის ისეთი მრავალი სა-  
ერთო ხმარების სიტემებიც, რომელთა მომდინარეობა. უცნობია  
(ანგაპრება, ახოვანი, ავაზაკი, ბანაკი, დასი, ჰამბავი, ჰემმარიტი,  
ძფოთი, გამობრწეინება, ჰატიე, სენაკი, კელური, ბილწი და  
სხვა)<sup>2</sup>.

მე კფიქრობ, მთავარი მიზეზი ამ უამრავი საერთო სიტემებისა უნდა იქოს სომხისა და ქართველი ერის ერთად ცხოვრება  
მრავალი საუკუნის განმავლობაში; მერეული მოხასლეობა, ერთ-  
ხანს საერთო საექლესიო გამგებლობა, საერთო კონიფიური და  
პოლიტიკური მდგრადრეობა, ერთნაირი კუცოური ლიტერატურით-

<sup>1</sup> Н. Марр. Древнегрузинские одопиесцы (XII в.). Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. IV, стр. 17. СПБ, 1902.

<sup>2</sup> ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9—10 საუკუნის, თბილისი, 1944, გვ. 081—111.

სარგებლობა, ერთნაირ მეზობელ და დამპურობელ ხალხთა ქნების; გაცნობა. ეს სიტკები მუძავდებოდა და ითვისებოდა ერთად ორი-ვე ერთს მიერ და კრცელებოდა როგორც მწერლობით, ისე სიტკიერი ურთიერთობით. მაგრამ უნდა ვითქმიქოთ, რომ ქართველ-სომეხთა მრავალი საერთო სიტკა, რომელთა წარმო-მობა, იღ. აბულაძის სიტკით, ჯერჯერობით გაუჩინებელია, მო-მდინარეობს ალბათ ურარტეს სახელმწიფო ენიდან. ცნობილია, რომ ურარტეს სამეფოს დამსკნის შემდეგ მის ტერიტორიაზე მე-7—6 საუკუნები ძვ. წ. სამხრეთით გაბატონდნენ სიმხები, სოლო ჩრდილოეთით ქართველი ტომები, მათ შეითვისეს ურარტეს კულ-ტურა და ამასთან ერთად, რასაკვირველია, უნდა შეეთვისებინათ მრავალი სიტკაც ამ სამეფოს სახელმწიფო ენიდან<sup>1</sup>.

საგულისხმოა, სხვათა ძროს, ას ისტორიული ფაქტი, რომ  
დავით აღმაშენებელმა სომებთა ქალაქის ანისის განთავისუფლების;  
შემდეგ მოიწვა საქართველოსა და სომხეთის უმაღლეს სახელი-  
რო პირთა და შეიძინობართა საერთო კრება სველის საკითხებზე  
პაქტორიბისათვის<sup>2</sup>. ცხადია, ამ კრებაზე მსჯელობა კვლასათვის  
საკმარისად გასაგებ ქართველსა და სომხერ ქაზე უნდა წარმოე-  
ბულიყო.

ეველა ზემთაღნიშნული. ფაქტის საფუძველზე შეიძლება და-  
კასკვნათ, რომ XII საუკუნეებიც ქართველთა მოწინავე სახო-  
გადოება, ჩვენი იძღროინდელი მწიგნობრები, საულიერო და  
საყრო, სომხური მწერლობითაც სარგებლობდნენ. ამ გზით მათ  
შეეძლოთ გაცნობოდნენ ისეთ ბერძნეულ ფილოსოფიურსა და ან-  
თროპოლოგიურ ძროშებსაც, რომელთა თარგმანები ქართველ ენა-  
ზე არ მოიპოვებოდა.

6. მარის აზრით, ელინისტური ფილოსოფიური მწერლობის სომხური თარგმანები იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქარ-

<sup>1</sup> Ա. Բ. ՃյշտեցնաՇցուլոս, Ռ. ՀայասիՇցուլոս և Ա. ՀաճաՇոյաս սահմանագրությունը օսմանական, Երևան, 1946; Իстория армянского народа, т. I, Ереван, 1944.

“ପ୍ରାଚୀନତଳିରେ ପ୍ରସମ୍ପର୍ଯ୍ୟବା” ଦାଖଲ୍ୟମିଳିଲା ପ୍ରକ୍ଷେପିତୁ ଶ. ପାଞ୍ଚବିଂଶୀଶଙ୍କିତ ମିଶ୍ର.

თველ მკითხველთათვის, რომ ერთგვარი როლი უნდა ეთამაშა ამ დღიტერატერას ქართველ მწერალთა შორის ნეოპლატონიკური მიმართულების დამკვიდრებისათვის საქართველოში X—XI საუკუნეების განმავლობაში რენესანსის წარმომობის სახით<sup>1</sup>.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითი, თანადროული ბერძნული ფილოსოფიის მეტვისებისა საქართველოში არსებული მწერლობის საშუალებით, კარგად ჩანს გიორგი მერჩელის თხზულებიდან: „ცხოვრებად გრიგოლ ხანმთელისადა“. როგორც ამ ცხოვრებიდან ჩანს, გრიგოლ ხანმთელის მეასწავლეს VIII საუკუნეში „მწიგნობრობად მრავალთა ენათად“ და „სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა კეთილად“, ე. ი. მას მეუსწავლია უცხო ენები და ფილოსოფია და, რაც საკულისხმოა, მას ეს ფილოსოფია მეუსწავლია ანტიკური ფილოსოფიური თხზულებიდან, კინადან, როგორც გრიგოლ ხანმთელის ცხოვრების ავტორი აღნიშნავს, ამ ფილოსოფიური თხზულებიდან „რომელი პოვის სიტემაზ კეთილი, მეიწენარის, ხოლო ჯერებული განაგდის; ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ (განკიცხავდა) სიტემაებრ მოციქულისა“... ე. ი. გრიგოლ ხანმთელი ქრისტიანული თვეოლოგიის თვალსაზრისით საერთ ფილოსოფიიდან ზოგ მეხედულებას ღებულობდა, ზოგს არა, ხოლო ზოგიერთს სასტიგად ჰქიცხავდა. თვითონ გიორგი მერჩელე მეათე საუკუნის მოღვაწე და, როგორც მის მიერ დწერილი გრიგოლ ხანმთელის ცხოვრებიდან ჩანს, ისიც კარგად უნდა ეთვილიერ გაცნობილი ანტიკურ საერთ ფილოსოფიას, არის სტორედესა და პლატონის თხზულების, საიდანაც მას უნდა მიეღო მეცნიერებლი ცნობები ადამიანის ბუნების მესხებ<sup>2</sup>.

უნდა ადინიმონოს, რომ მეცნიერებათე საუკუნეში უმაღლესი

<sup>1</sup> Н. Марр, Иоани Петропавловский, груз. неоплатоник XI—XII века, Записки вост. Отдел. Русск. Археол. Общества, т. XIX, стр. 53, 1909.

<sup>2</sup> ს. ბიჭაშვილი, გიორგი მერჩელის მსოფლმხდელობა ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფილოსოფ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, გვ. 273, 1951.

ფილოსოფიური განათლებით აღტერვილი იუგნენ არა მარტო სა-  
ხულიერო პირი, მდგრელმთავრები და მონასტრების წინამდვ-  
რები, ოთვორიც იუო გრიგოლ ხანძთელი, არამედ კოფილან აგ-  
რეთვე ერისკაცნი, ომელნიც, გიორგი მერჩელის გადმოცემით,  
„რჩელის (რჯულის) მოძღვრად“ (მასწავლებლებად) ითვლებოდნენ.  
ეს ერისკაცნი იუგნენ „წიგნთა საღმრთოდა მეცნიერი და ენათა  
წურთილი“, ომელთაც უმოგზაურიათ ბიზანტიამი, პალესტინა-  
ში და „საჩინოთა საბერძნეოსა ადგილთა“. მათ ჰქონდათ უნარი  
და მესამღებლობა ამ ქვეენებიდან ახალი კეთილი წესის მეთვი-  
სების, რასაც მემდებ საქართველოში „თავით თვისით ერსა და  
ესწავლელსა ასწავებდეს“. ამ ერისკაცთა მოღვაწეობა იუო მსჯე-  
ლობის საგნად ერთ-ერთ საკულტო კრებაზე, ომელიც შეიკრი-  
ბა ჯაგხეთში 845—851 წლებში გვრამ მამთლის მოწვევით,  
სადაც დაგმობილ იუო ეს მოღვაწეობა ამ კრების ხელმძღვანელი  
წრეების მიერ იმ მოსახრებით, ომ საქართველოში არსებული  
წესები „ფრიად კეთილ არს“. მამასადამე. არ საჭიროებს რამე  
სხვა წესებს<sup>1</sup>.

ჩვენ მოვიუგანეთ ანთროპოლოგიური მეცნიერები ცნობები  
საქართველოში ნემესიოს ემესელისა და გრიგოლ ნო-  
სე ელის ქართულად თარგმნილი მრომებისა და მემდებ სომხეუ  
ანთროპოლოგიურ თხზულებათა სახით, ომელთა გაუცელება  
ქართველთა მორის მესამღებელი უნდა კოფილიერ სომხერი ენის  
ცოდნის გამო. მაგრამ უეპელია, ამასთან ერთად არსებობდნენ  
ქართული ორიგინალური მრომებიც, ომლებიც აგრეთვე იძლე-  
ოდნენ მეცნიერებლ ცოდნას ადამიანის ბუნების მესახებ. ასეთი  
იუო ზემოთ განხილული მარტვილი ქართველი ეს მრომა  
„ნინანულისათვეს და სიმდაბლისა“, ომელიც დაწერილი იუო  
პეძვიდე საუკუნები და, უეპელია, IX—X საუკუნებიც ქართველ  
შიგნობართა უერადღების ცენტრში უნდა კოფილიერ. ასეთი  
იუო აგრეთვე ქარაბადინები და საჯეიმო წიგნები, ომელთა ერთი

<sup>1</sup>. გ. მერი სული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროვას  
ვამოცემა, 1949, გვ. 94—95.

ნიმუში წარმომობილი უნდა იქნას მეთე-მეთერთმეტე საუკუნეები; კ. წ. „ესწორო კარაბადინი“. ოთვორც მემდებ დაწვრილებით განვიხილავთ, ეს კარაბადინი ქართულად არის მედგენილი და იძლევა მეცნიერულ ცნობებს ადამიანის ბიოლოგიური ბუნების მესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ X—XIII საუკუნეებში არსებობდა უსათუოდ სხვა ანთროპოლოგიური მრომებიც, რომელთაც ჩვენამდის არ მოუღწევდა ანდა კერ ისევ საღმე ბამოუგლინებელი ინსექტი. თვით ის ფაქტი, რომ ანთროპოლოგიური მრომებისათვის საჭირო სიტეგარი და ტერმინები ქართულ ენაზე არსებობს შემდეგ მე-9 საუკუნეები, რომ ასეთი მრომების თარგმნის მოთხოვნილება აგრეთვე უკვე ამ საუკუნეებში დაიბადა, იმაზე ძიგვითითებს, რომ განათლებული ქართველობა დაინტერესებული კოფილა ასეთი მრომებით, რომ აგრ არა მარტო კითხულობდა მათ, არამედ აგრეთვე მეცნიერლიდა და იუვნებდა მათ თავის ორიგინალურ ნაწარმოებებსა და პრაქტიკაშიც.

#### 10. მაცნიერებლის გავრცელება აღმიანის განების შესახებ ეართვებთა მოსის სხავება-განატლების მიღებით მიზანიერი

მეცნიერული მოძღვრების შეთვისებისა და გაგრცელებისათვის ადამიანის ბუნების მესახებ სხვა მნიშვნელოვანი სამუალებაც არსებობდა. ეს იუო ახალგაზრდების ბიზანტიაში გამგზავრება სწავლა-განათლების მისაღებად. ცხადია, რამდენადც საქართველო მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა, შეიძრო კავშირში იმეორებოდა ბიზანტიასთან. გარდა ამისა, ბიზანტია მმღლელი მოსაზღვრე სახელმწიფო იუო და საქართველოს დასავლეთი ნაწილი დიდი ხნის განმავლობაში ბიზანტიის უმუალო გავლენას განიცდიდა. ცხადია, ამის გამო, საქართველო ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში იმუოფებოდა ბიზანტიასთან. მეტადრე ეს ურთიერთობა გამლიერდა არაბების განდევნის შემდეგ, როდესაც საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო წარმოიშვა, რომელმც გაერთიანდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქართველი ტომები და მედეგად დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისა მოელი-

საქართველო კეონომიური აუგავების გზას დადგა. პოლიტიკური ერთიერთობის საუკეთესო გამომსატელი იქ, სხვათა ძორის, ის გარემოება, რომ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში მრავალი ქართველი მსახურობდა ბიზანტიის სამეფო ქარჩე და სამხედრო ნაწილები და; საზოგადოდ, ბიზანტიის იმპერიის დაცვასა და მართვა-გამგებლობაში მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობდა<sup>1</sup>.

საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკურია და კონიმიურ ერთიერთობას მოჰევა აგრეთვე კულტურული ურთიერთობა, რაც გამოისატებოდა, სხვათა ძორის, ქართველთა მიერ საუკუნი მონასტრების დარსებამი საბერძნებოს. ამ ქართველებმა თავის უმთავრეს ამოცანად დაისახეს ბიზანტიური განათლების მიღება და სასულიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა. ამის გამო, თუ მეცნევ-მეათე საუკუნეში დის ქართველობა სწავლა-განათლებას უმთავრესად მცირე აზიის ბიზანტიური პროვინციებიდან ღებულობდა (მაგ., კილიკიიდან, სირიიდან), მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ქართველობა აონის, პეტროვნისა და სხვა ქართულ მონასტერთა მეოხებით ძეიჭრა პირდაპირ ბიზანტიის კულტურის ცენტრში. ამ მონასტერებმა აონით ქართველი ბერ-მონასტონი ცხოვრობდა. მათ თავისი თვალით ნახეს უოველივე ის, რაც ქრისტიან ქართველობას ბიზანტიამი აინტერესებდა, და მათ ძორის მიხი სკოლებიცა და სააგადმულოებიც.

ამ მონასტერებმა აღიაზარდნენ უტერესად მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ქართველი მოდგაწენი, საქართველოს თავდაცებული ბანმანათლებელნი. ახეთი იურ, სხვათა ძორის, იოანე მიაწმი დედე, მისი მკილა ექვთიმე, აგრეთვე ეფრემ მცირე, რომელთაც გადმოთარებმნეს მრავალი იტულება: ძემგზი იოორგი მთაწმი დედე ი (გარდაიცვალა 1065 წ.), რომელიც მეტისმეტად ნაუოფიერად ეწეოდა ამ მემაობას და ბოლოს თავისი მოდგაწეობა უშავდოდ საქართველოში გადმოიტანა სამშობლობი დაბრუნებით. ამ უკანასკნელის ინიციატივას უნდა მიგაწეროთ,

<sup>1</sup> 6. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ტ. I, 1946.

რომ მეთერთმეტე საუკუნის შემდეგი გაიგზავნა ბიზანტიაში განათლების მისაღებად 80 ემაწვილი, რომელიც თვით გიორგი მთაწმიდე და მა თან წაიყვანა და მერმე 40 ემაწვილი იურ გაგზავნილი დავით აღმაშენებლის დროს<sup>1</sup>.

საზღვარგარეთის მონასტერთა ძროის ეაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის ივერიის მონასტერის, რომელიც მე-10 საშენები იურ დაარსებულია. დ. ჩუბინაძე ის სიტყვით, აქთიმესა და გიორგი მთაწმიდელების შემდეგ თურქთაგან კონსტანტინოპოლის აღებამდე, ე. ი. 1453 წლამდე, მარტო ათონის ივერიის მონასტრები 500-ზე მეტი ქართველი მღვდელ-მონაზონი იმეოფებოდა. მამასადამე, ათონის ივერიის საგანმანათლებლო ცენტრში გამოიხარდა ხეთასხე მეტი სწავლული მონაზონი, რომლებიც, უკვევლია, მონაწილეობდნენ ქართული შექრლობის განვითარებაში და მასთან არა მარტო საეკლესიოსა, არამედ აგრეთვე საეროსაძირც<sup>2</sup>.

მეოთე-მეთერთმეტე საუკუნეები იურ სწორედ ის ხანა, როდესაც ბიზანტიაში ძლიერმა ქალტურულ-საგანმანათლებლო მუძაობამ ითვეთქა. ამ დროს კონსტანტინე მონომახემა განახლდა უმაღლესი სკოლა მანგანის მონასტერში, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ჯერ მიქაელ პეტერ თხილი და მერმე მისი მოწაფე იოანე იტალთხილი — ნეოპლატონიკოსები თავისი ფილოსოფიური ძენებულებით. ისინი ცდილობდნენ მეცნიერები ბერძნული ფილოსოფიის გაღვივებასა და შეთანხმებას ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. ამის გამო ეს სკოლა-აკადემია ბერძნებთა რენესანსის კერად გადაიქცა. ამ აკადემიაში არა ერთმა ქართველმა მიიღო განათლება და შეითვისა მეცნიერები ბერძნული ფილოსოფია ქრისტიანულ ღვთისმეტეულებასთან ერთად. აյ სწავლობდნენ, სხვათა ძროის, არ ს ე ნ ი ე ა ლ თ ო ე ლ ი და იოანე პეტერი წირი, დავით აღმაშენებლის დროის უდიდესი მოღვაწენი. ამათგან იოანე პეტერ

<sup>1</sup> ი. ჯავარიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 168—192, 1948; კ. კეკელიძე, მეცნიერების ქართული მეცნიერების ისტორია, ტ. I, 1951.

<sup>2</sup> გ. თავარიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისთვის საქართველოში, თბილისი, 1938.

რიწი ცნობილია როგორც ნეოპლატონიკოს ითანე იტა-  
ლოსის თავდადებული მოწაფე. როდესაც ითანე იტალოსი  
თავისი რწმენისათვის გასამართლებულ და ძეგლენებულ იქნა საკ-  
ლესიო ტრიბუნალის მიერ, მაშინ მის მოწაფეთაც დაუწეს დეპ-  
ნა. მათ შორის ითანე ჰეტრიწიც იქო დეკნილი როგორც  
ბიზანტიელი, ისე საქართველოს ღოგმატიურად მოაზროვნე სა-  
მღვდელოებისაგან. მაგრამ თავისუფლად მოაზროვნე დავით აღ-  
მაშენებულმა ამ გარემოებას ეურადღება არ მიაქცია, ითანე  
ჰეტრიწი დაიახლოვა და ძემლება მისცა მას თავისუფლად  
ემოდგაწნა საქართველოში.

ითანე ჰეტრიწი უკლაჩე უფრო მეტი სამსახური მი-  
უძღვის ნეოპლატონიზმის დანერგვასა და განვითარებაში ქართ-  
ველთა შორის, პირველად ერთობისა იმით, რომ მან გადმოთარ-  
გშინა ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსის ჸროკლე და იადოს  
ს ძრომა „ყავშირნი ღვთისმეტეუკლებითნი“, და მას თავისი  
ვრცელი განმარტებანი დაურთო. ეს იქო საერო ნეოპლატონი-  
ზმის ძრომა, რომელიც დაედგა საფუძლად მიქაელ ჸელო-  
სისა და ითანე იტალოსის სახელიერო ნეოპლატონიზმს<sup>1</sup>.

ამავე ნეოპლატონიზმს უსათუოდ ემსახურებოდა ჰეტრიწის  
მიერვე თარგმნილი ნემესიონის თხზულება „ბუნებისათვა-  
კაცისა“. ეფრემ ცცირეც იმეოფებოდა ნეოპლატონიზმის გავ-  
ლენის ქვემ. იგი ამგარად თანაუგრძნობდა აგრეთვე არისტოტე-  
ლიზმს. ეს გამოიხატებოდა იმამი, რომ მან თარგმნა ნეოპლატო-  
ნიკოსის ფსევდოდიონისე არეთა ბეჭის ანუ ჸეტრე  
იბერის თხზულებანი, ითანე დაშასკელი ის „დიალექტიკა“,  
ბასილი დიდი ის თხზულება ელინური მითოლოგიური შინა-  
არსისა<sup>2</sup>.

ეკვლა ამ ფილოსოფიური თხზულების საფუძველზე, რასაკვირ-  
ველია, ძექმნებოდათ რეალისტური წარმოდგენა ადამიანის ბუნე-  
ბის შესახებ არა მარტო იმ ქართველებს, რომელნიც ბიზანტიის

<sup>1</sup> ითანე პეტრიაშვის შრომები, ტ. II. განმარტება პროექტების დიალექტო-  
სისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოცლება  
დაუტოვს შ. ნუცუბაძემ. და ს. კაუბი შიდვილ მა, თბილისი, 1937.

<sup>2</sup> ქ. კიკელიძე, ტელი ქართული მწერლობის ისტ., ტ. I, გვ. 230, 1951.

მონასტრებში მოღვაწეობდნენ, არამედ აგრეთვე საქართველოს განათლებულ სასულიეროსა და საერთ საზოგადოებასაც დასახელდებულ თხზულებათა თარგმანების საქართველოში ქემოტანისას, კინაიდან მე-10—12 საუკუნეებში საქართველოში არსებობდა სწორედ ისეთი ჰკონომიური პირობები და საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორიც ბიზანტიაში, სახელდობრ: სელოსანთა საზოგადოებრივი და ეკონომიური მნიშვნელობის აღმატება, გაჭართა ხვერითა წონის ძლიერი ზრდა, საერთ მოხელეთა ღემოკრატიის ღამეარება ფეოდალური არისტოკრატიის სამაგიეროდ და სხვ... ჰელა ამან საქართველოში განაპირობა სასულიერო ნეოპლატონიზმის გადაივება და რენესანსი, როგორც საზოგადოებრივი შომრიობა საეპისკოპოსა და საერთ ღოგმატიკური აზროვნებისაგან განთავისუფლებისათვის.

კოსტანტინებოლის აკადემია არ იყო ერთადერთი სელია, სადაც XI—XII საუკ. ქართველობა იდებდა სწავლა-განათლებას. ქართველობა დებულობდა განათლებას აგრეთვე პეტრიწონის მონასტრთან არსებულ სემინარიაში. ეს მონასტრი და სასწავლებელი სპეციალურად ქართველთათვის დაარსა ბიზანტიის ქართველი მხედართმთავარმა გრიგოლ ბაკურიანის მე 1083 წ. პეტრიწონის სასწავლებლის სელმძღვანელი და მთავარი მასწავლებელი თითქმის ოცი წლის განმავლობაში ითანე პეტრიწი იყო. მისი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო ხანა პეტრიწონის მონასტრთან არის დაკავშირებული. ამიტომ არის, რომ ითანეს მეტ სახელად პეტრიწი უწოდეს. უკავლია, ქართველი ახალგაზრდები აქ ეცნობოდნენ არა მარტო ღვთისმეტეგელებას, არამედ აგრეთვე ბერძნელ ფილოსოფიას და ამათან ერთად ბენებისმეტეგელებისა და მედიცინის საფუძვლებაც, პირველ რიგში არისტოტელები, ნემესითები, გრიგოლ ნოსელისა და სხვების თხზულებათა სამუალებით.

პეტრიწონის სასწავლებელი არსებობას განაცრმობდა XIV საუკუნეშიც, როდესაც წინამძღვრადა და მასწავლებლად იქ ტაოელი ქართველი ათანასი ეოფილა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, რემინი-ბულგარეთში მოგზაურობიდან, 1949.

ბინანტიის უმაღლეს ხეოლებით მედიცინა აგრეთვე ისწავლებოდა როგორც სპეციალური დისციპლინა. აქ ასწავლიდნენ პლატონისა და არისტოტელის ფილოსოფიას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას, რიტორიკას, მუსიკას და აგრეთვე მედიცინას—მკურნალობას. ასე იუთ ალექსანდრიასა და კონსტანტინეპოლისი. სამედიცინო საკუკნეებით მედიცინას ძეისტავლიდნენ აკადემიუმებზე. ამისათვის უმაღლეს ხეოლასთან აარჩებდნენ საავადმეოფოს, ქსენონს, რომლის კიმიები ისმენდნენ ლუქსიებს ავადმეოფიათ და მკურნალობის ძესახებ<sup>1</sup>. ცხადია, მკურნალობის მესწავლისას ეცნობოდნენ აგრეთვე ადამიანის ორგანოთა აღნატობას და ნორმულ მოქმედებას, ჰირველ რიგში გაღენის თხევლებისათვის მისედვით.

ცნობილა, რომ საშუალო საუკუნეების ბიზანტიური ფილო-სოფოსები, ისე როგორც ანტიკური საბერძნეთისა, მეისწავლიდნენ კველა დარგის მეცნიერების. მათი ფილოსოფიური განათლება უნივერსალური იყო. კოველ მემთხვევაში ცნობილა, რომ მიიქავდ პეტრი ი. გამოჩენილი ფილოსოფობი კონსტანტინეპოლის აკადემიისა, ასწავლიდა თავის ლექციებში აგრეთვე ბუნებრივების და იმღეოდა ცნობებს აკადემიურობათა გამოცნიბისა და მკურნალობის მესახებ. მის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოთა ძროის მედიცინის სახელმძღვანელოც იყო. კუჭველა, ასევე უნდა მოქმედიყო ითანე იტალისა, ამავე აკადემიის ლექციორი, რომელიც პეტრი ი. გამოისახავდა და რომელსაც ითანე პეტრი იყო უსმებდა<sup>2</sup>. აქედან მეიმლება დავასკვნათ, რომ უმაღლეს სკოლებში — აკადემიებში — და, მეიმლება სამეცნიერო სკოლებშიც — სკოლინარიებში — ასწავლიდნენ ანატომიასა და ფიზიოლოგიას, როგორც მოძღვრებას აღამიანის ბუნების მესახებ.

Նյութական գամոմքանարյութե, ըստ մերավառության վարդապետական,

<sup>1</sup> Friedrich Fuchs, Die höheren Schulen von Konstantinopel im Mittelalter. 1926.

<sup>2</sup> Ф. Успенский, Византийская образованность, СПБ, 1891, стр. 160. Н. В. Бузобразов, Византийский писатель и государственный деятель Михаил Псель, ч. I. Москва, 1890.

ბიზანტიაში განათლება-მიდებული, კარგად იცნობდა მიქაელ-გელოსისა და ოთანე იტალითის მრომებს, იცნობდნენ აგრეთვე ბერძენ ფილოსოფოსთა თხზულებებს და, მასასადამც, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიასაც; აგრეთვე ადამიანის სოციალური ბუნების იმდროინდელ პროგრესულ განვითაც.

კათალიკოს ანტონ I მოჰევს ათამდე ქართველი მოღვაწე, რომელთაც XI—XII საუკუნეებში თავი უსახელებიათ ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით, რიტორიკის, ლოგიკისა და დალგეტიკის კარგი ცოდნით. მათ მორის იგი ასახელებს ოთანე პეტრიწის, არსენ იეალთოელისა და ეფრემ მცირის გარდა, მამა თეოფილეს (XI ს.), ილარიონ თეალელის, რომელმაც გიორგი მთაწმიდელი აღზარდა (გარდაიცვალა 1041 წ.), მამა სიტანიონს (გარდაიცვალა 1069 წ.), არსენ მთაწმიდელს (გარდაიცვალა 1082 წ.), იოანე ტარიჭისძეს — „დალგეტიკის“ მთარგმენტს (1089—1130), ზაქარია მირდატისძეს (ცხოვრობდა 1008—1014 წწ.). და სხვებს<sup>1</sup>. ეკვლა ამ პირს სწავლა-განათლება ჰქონდა მიდებული ბიზანტიაში და ფილოსოფიასთან ერთად უნდა ჰქონებოდა მეთვისებული. ცოტად თუ ბევრად, ელინისტურ მეცნიერებლი ცოდნაც ადამიანის ბუნების შესახებ.

## 11. მაცნიერებლი ცოდნის გავრცელება ერამიანის განვითარების შესახებ რაოდენობა მოგის საქართველოს საოცენის სამუაღისტო

მეცნიერებლი ცნობების გავრცელება საქართველოში ადამიანის ბუნების შესახებ უნდა წარმოებულიერ ზირველ უფლისა თვითონ საქართველოს მონასტრებთან არსებული სკოლების სამუაღისტო.

რომ მართლაც ქართველ მონასტრებთან არსებულ სკოლებში საღვთოსკელისა და საეკლესიო წესების გარდა ასწავლიდნენ აგრეთვე მოძღვრებას ადამიანის ბუნების შესახებ, ეს მძღვნივრად დასტურდება ე. წ. მატებერდული კრებულიდან, რომელიც მეთუ

<sup>1</sup> კათალიკოსი ანტონი, „წყობალაიტებაობა“, თბილისი, პლ. იოსელიანის გამოცემა, 1853 წ.

საუკუნები იუთ ძეგლენილი იოგანე ბერაის მიერ. ეს კრებული სხვა თხზულებათა შორის ძეგლავს აგრეთვე ირიგოლი ნოს ელის თხზულებას: „კაცისა შესაქმისათვის“. ეს კრებული ქსათუოდ განკუთვნილი იუთ მოხწავლეთათვის როგორც სახელმძღვანელო წიგნი, ვინაიდან იგი ძეგლავდა ამ ანთროპოლოგიურ თხზულებასთან ერთად აგრეთვე რამდენიმე სულ სხვადასხვა ძინარისის მრომებს: „ქართლის მოქცევას“, ბასილი დიდის „ფიზიოლოგის“, რომელიც ცხოველთა ქვეჯების ეხებოდა, იპოლიტი რომა ელის განმარტებების ძველისა და ახალი აღმოჩენის საღმრთო წერილის ძეგანები, სახწავლო წიგნია, რომელიც იძლევოდა სხვადასხვა მოკლე ცნობებს ძველი აღმოჩენის წიგნთა ძეგანები, ებრაულთა და ბერმუდ ანბანებ; ეპიფანე კვიპრელის ნაწარმოები; თორმეტი ძვირფასი თველის ძეგანები, და ჩის თარგმანი — განმარტებას დავთის ფსალმუნებისა და, ბოლოს, ისტორიულ ძრომას — ქრონილოგიურ ცნობებს გამოსხილ ებრაულთა, სპარსია, რომელთა და ბიზანტიულ მეფეთა ძეგანები<sup>1</sup>.

მატებერდის კრებულში ძემავალი ე. წ. სახწავლო წიგნია, სიმ. ეაუ ხი მკილის აზრით, დასრულებულ კომპილაციურ ძრომას წარმოადგენს, რომელიც უნდა იყოს ძეგლენილი ქართველი აგრეთვის მიერ<sup>2</sup>.

ამაირად, მატებერდის კრებული უნდა ეოფილიერ იმ დროისათვის გარგად ძეფარდებული უნივერსალური სახელმძღვანელო წიგნი. თვითონ ამ კრებულის ძეგლენელი, გადამწერი იოვანე ბერა ასეთ ძრომებზე უნდა ეოფილიერ აღზრდილი. ამ კრებულის მექვეობით მოხწავლეთათვის ძეგანლებული უნდა ეოფილიერ იმ დროისათვის ძეგანლებული სამუალო განათლების მიღება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამნაირი სახელმძღვანელო წიგნები სხვა მონაცემებიც არსებობდა ახალგაზრდების სწავლა-განათლებისათვის და,

<sup>1</sup> Е. Т а к а й ш в и լ и, Описание рукоп. Общ. распростран. грамотности среди грузинского населения, т. II. вып. 4, стр. 632, Тифлис, 1906—1912.

<sup>2</sup> ს. ყ ა უ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, შატებერდის სასწავლო წიგნი «ტფილისის უნივერს. მოაშენ», ტ. 3, გვ. 178, 1923.

9. ივ. ბერიტაშვილი.

მამასადამე, ისინი იმდროინდელი მეცნიერებლ-ანთროპოლოგიური ცნობების გაფრცელებასაც ემსახურებოდნენ. საგულისხმოა, რომ ტაო-კლარჯეთის დიდ მონასტრებთან არსებობდა სპეციალური შენობა სკოლისა და ბიბლიოთეკისათვის. ე. თავა იმ გილი აგვი-წერს ოძიისა და ოთხთა-ეკლესიის მონასტრებთან დიდ ოთხეუთხიან სასწავლო დარბაზს ( $20 \times 10$  კმ. მეტ.), რომელიც ოძიი უერთდებოდა პატარა მრგვალ გუმბათიან საბიბლიოთეკით თათხს. ე. თავა იმ გილი მოგვითხრობს, რომ ასეთივე სასემინარიო დარბაზები იყო მატებერდში, ოპიხაში, ხანძთაში, ბერთაში<sup>1</sup>. ეს ტამრები ამნებულია ან ადგენილია ამ მხარის არაბთა მიერ დანგრევის მემ-დებ, მე-9—10 საუკუნეში. მამასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეპენ ამ საუკუნეებში მონასტრებთან არსებული სკოლები იძლეოდნენ სემინარიულ სასულიერო განათლებას. მაგრამ, როგორც ბასილი ზარზე მე-დებით მოგვითხრობს, უკვე მეექენე საუკუნეში პარეხის სა-ვანები ეოფილა სკოლა, რომელიც ძირი მდგვიმელის მოწაფეს მი-ექლს დაუარსებდა. ბასილი ზარზე მე-დებით ცნობით, მიქვლს „მრავალნი აქენდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწეინგალენი სათ-ნოებითა“<sup>2</sup>.

ცხადია, მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონებოდა ამ მხრივ სა-ქართველოს უმაღლეს სკოლებს, აკადემიებს, რომლებიც დაგით აღმაშენებლის დროს მე-11—12 საუკუნეში გელათისა და ივალ-იომი იყო დაარსებული. გელათის აკადემიას დაგით აღმაშენე-ბელმა მიუჩინა ითანე პეტრიწი როგორც წინამძღვართა წი-ნამძღვარი. ბიზანტიაში წინამძღვართა წინამძღვარს (მიმართ მართლაც მისამართი არ იყო) უწოდებდნენ უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელს. არის საბუთი იმისა, რომ იყალთოს უმაღლესი სკოლა არ სენ იკალი თოვლი მა დაარსა. სხვათა ძორის, დავით აღმაშენებლის ის-ტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტრები „მემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და

<sup>1</sup> Е. Тахайшвили, Археол. экспед. 1917 г. в южных провинциях Грузии, стр. 55, 1952.

<sup>2</sup> 3. ინგორიშვა, გიორგი მერჩულე, გვ. 326.

ძეგულნი კოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ღდენ ხამეფორა  
ძინა პოვნილნი, არამედ ქვეენისა კიდეთათ, სადათცა ესმა ვიცემე  
სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და კორციელითა სათ-  
ნოებითა აღსაგნეობა, იძინა (მოძებნა) და გეთილად გამოიძინა  
(გამოძებნა), მოიკანა და დამკვდრნა მას ძინა "... და უზრუ-  
კელი ტრანზიტი განუჩინა" <sup>1</sup>. მაძასადამე, დავით აღმაშენებელი  
გელათი ძემოუკრებია საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან,  
საუკეთესოდ განათლებული მოდვაწენი, სასულიერო და საერო,  
და უკეგანია ეგელანი სამეფოს კმაყოფაზე. ძემდებ „ქართლის ცხოვ-  
რებაში“ სწერია, რომ გელათი „აწ წინამდებარე არს კოვლისა  
აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ კოვლისა კეთი-  
ლისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უად-  
რეს მისია საღმრთოთა ძინა წესთა“ <sup>2</sup>. ამნაირად, ჩვენი მემატიანე  
სიამაჟით აცხადებს, რომ გელათის მონასტერი გადაიცა სწავლა-  
ბანათლების ცენტრად, მსგავსად იერუსალიმისა და ელინური  
ათინისა, და კიდევ უფრო მათზე ძეტიც გახდა.

ასეთივე აზრი გელათის ძესახებ გამოთქმულია „აბდულ-მე-  
სია“-ში. იგი იხსენიება როგორც ფილოსოფიური განათლების  
ცენტრი, მსგავსად კლასისა და ახალი რომისა, ე. ი. კონსტან-  
ტინეპოლისა.

„ახალი რომი,  
შენიერი თვევს, რომი  
უფროს იქმნესო  
მყოფთა ყოველთა“.

„ფატრი ელადსა,  
თვით მას გელათისა,  
სად რომ დაკურძალებენ  
წმიდათ სხეულთა“ <sup>3</sup>.

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგრილია ს. ყაუნჩიშვილის მიერ,  
ტ. I, გვ. 330, 1955.

<sup>2</sup> იქვ, გვ. 331.

<sup>3</sup> Н. Марр. Древнегрузинские одописцы: „აბდულ-მესია“ § 105.  
Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. IV, СПБ,  
1902.

„აბდელ-მესიას“ ზოგიერთ სტროფში გამოხატულია, წერ-პლატონიქერი მსოფლმხედველობის ნიშნები. ამიტომ შეიძლება ვთიქროთ, რომ მისმა აკტორმა, შავთელმა მიიღო უმაღლესი განათლება ბელათის აკადემიაში.

ასევე უნდა ითქვას ჩახრეხაში და რუსთაველის მესახებ, რომლებიც თამარ მეფის დროს მოღვაწეობდნენ. ამათაც განათლება ბელათში უნდა მიეღოთ. ამას მოწმობს მათი კარგი ცოდნა თანამედროვე ნეოპლატონიკური ფილოსოფიასა და ამასთან ისეთი გაბებით, როგორც ეს მოცემულია ნეოპლატონიკობის ითანე პეტრიწის განმარტებაში პროკლე დიონისე-პეტრე იბერის მრომები, რომელთა სწავლება ბელათის აკადემიაში აუცილებლად უნდა ეწარმოებინათ.

სხვათა მორის აღვნიშვნაც, რომ როგორც ბელათის, ისე იყალთოს აკადემიას თავისი საკუთარი ძენობა ჰქონდა. ამ ძენობების ნაწილები დღესაც არსებობს და ცნობილია ხალხში როგორც აკადემია. როგორც ბელათის, ისე იყალთოს აკადემიას ძენობა ძეიცავდა ერთ დიდ საუდიტორო დარბაზსაც, რომლის სიგრძე 20—25 მტ. ედრიდა<sup>1</sup>.

ასწავლიდნენ თუ არა ამ აკადემიებში ბუნებისმეტეველებას და, კერძოდ მოძღვრებას ადამიანის ბუნების ძესახებ? უსათეოდ ასწავლიდნენ, ვინაიდან აქ ფილოსოფიას ასწავლიდნენ და ამასთან არისტოტელელექტებერს. ცნობილია, თუ რაოდენ მაღლა აკანებდა ითანე პეტრიწი არისტოტელელექტერს. ფილოსოფიას. პროკლე დიონისე ითანე „პეტრიწი არისტოტელელექტერს“ კომენტარიებში იგი გამოთქვამდა თავის გელისურომას იმის გამო, რომ ქართველები ბერძნენთა მსგავსად სასტიკად სდევნიდნენ მას, (იგულისხმება, როგორც ითანე იტალთისის მიმდევარს). იმის ნაცვლად, რომ ქართველთ ეამაგათ მისით, როგორც ფილოსოფიასა და სელოვნებაში უაღრესად განსწავლული თანმემამულით, რომელსაც

<sup>1</sup> ს. ფაუჩი შვილი, გელათის აკადემია, ტფილისი, 1948 წ. გ. ჩებანიაშვილი, საქართველოს საერო ბურომოძღვრების რამდენიმე ნიმუში, «ტფილისის უნივერს. მოამბე», ტ. III, გვ. 107, 1923.

ძეგლთ ფილოსოფიაში მისებრ განსწავლელი მეტყვიდრის შომხადება. მემდებ ამისა დასძენს (ციტატი მომქავს ღლევანდელი ქართულით): „ამიტომ ჩემთვის რომ სიუკარული და ძეწვენა ადმოკინათ, მე ბევრზე აკუკლიდი (ავიტანდი) ღვთის განგებას და, მევფიცავ თეორიებისამდი ლტოლებილობას, რომ გავაწეობდი. (ქართულ) ენას მსგავსად (ზერმნული) ენისა და ფილოსოფიურ თეორიულ განვითარებას მევიმუშავებდი მსგავსად არისტოტელესა და ღვთისმეტეველებას წარმოვადგენდი მატერიასაგან მეეხებელს (ნივთისაგან მოუხებელი წარმომეუენა)<sup>1</sup>. ცხადა, არის ტორტე ლეს მოძღვრებით გამსჭვალელი ითანე პეტრიწი არ გამოსტოვებდა ფილოსოფიის სასწავლო პროგრამიდან არისტოტელეს ბიოლოგიურ თხზულებებს აღამიანის ბუნების მესახებ, როგორიც იქმ „ცხოველთა ისტორია“, „ცხოველთა ნაწილების მესახებ“, „სულის მესახებ“, და „ცხოველთა აღმოცენების მესახებ“.

ასწავლიდნენ თუ არა გეოლოგის აკადემიაში მკურნალობას?

ბ. თავზე იმგვალის ახრით, საერთოდ საქართველოს აკადემიუმი მედიცინასაც ახწავლიდნენ სხვა მრავალ მეცნიერებასთან ერთად ისე, როგორც ეს იუთ იმ დროს ბაღდადის არაბულ უმაღლეს სკოლაშით<sup>2</sup>. მაგრამ არის თუ არა რამე საბუთი, რომ ბეჭათის აკადემიაში ამას ახწავლიდნენ?

ს. ე-ესნიძვილი დაბებითად უპასუხებს ამ საკითხს, პირველად ეოვლისა იმ მოსაზრებით, რომ გელათის აკადემიის პირველი მოძღვარი-მოძღვარი, ე. ი. რექტორი, იოანე ჯეტრიშვილი, მეტად მაღალ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერების მკურნალობის ძესახებ<sup>2</sup>. აი რას წერდა იოანე ჯეტრიშვილი თავის განმარტებები პროფესიასა და პლატონური ფილოსოფიისათვის. ვწერ დღევანდველი ქართველი ენით: „სხეულის უძლურებანი, რომელნიც დაბაჟებიდან სიბერემდე ადამიანის თანამშეკრია, და დევილის არანორმული ძღვიარებია მოითხოვ-

<sup>1</sup> የጊዜ ስራ ተስፋዎች, ምርመራ ፭, ዓ. II, ዓ. 222, 1937.

<sup>3</sup> ს. ყალბჩიშვილი, გელათის აკადემიკა, თბილისი, 1948.

ნენ ზრუნვას აკადმეოფობათა მიმართ და ამიტომ შეურნალობა საჭირო გასდა. ეს იქ თეორიულად ფილოსოფოსების მონაცემარი, ხოლო პრაქტიკულად ცნობის მოუკარეობის ანუ კვლევა-მიების ძეგლი". აქ პეტრიწის გამოთქმა ცოტა გაშებარია: „რომელიცა (მეურნალობა) სიტყვიერებით ვიდრემე მოიპოვა ფილოსოფოსიობამან, ხოლო საქმიერობით ტკივილთ-მოუკარებამან“. ტკივილთ-მოუკარება ნათარგმნია ბერძნული სიტყვიდან ფასიონა. ისიც, ს. ეუხენიშვილის ცნობით, აღნიშნავს როგორც ტკივილს, ანუ მრომას. ამიტომ მოუკანილი ფრაზა ანუ უნდა იქნას ბაბუ-ბელი: მეურნალობა სიტყვიერით (თეორიულად) მოიპოვა ფილოსოფოსიობამან, ხოლო საქმიერობით (პრაქტიკით) მრომის-მოუკარეობამ (ე. ი. კვლევა-მიებამ). შემდეგ პეტრიწი განაცრობს:

„განა მცირედ დირსია (საგონებელი), რომ ვაჭროთ პლა-ტონის ფილოსოფია დაუძლეურებულ სხეულითა და სენთა მეურ-ნალობისათვის. ვინც მიიღო თავის თავზე ეზრუნა აკადმეოფო-ბაზე, მანვე ძექმნა მეურნალობის სელოუნება. იგი არ აწარმოებ-და უმარ კვლევას ცნობილი და ჩვეულებრივი (კელთა ძინა ქო-ნებულისა) აკადმეოფობისას, მსგავსად მდაბით და გაუსათლებელ მეურნალთა, არამედ იგი იძლეოდა ამას მეცნიერებულად და ფი-ლოსოფიურად: თუ როგორ ფილოსოფოსიობს მედიცინა ბუნებისა. და მისი მემადგენლობის მესახებ და სხეულებათა დასაბამის ძე-სახებ, რომ აქედან მეცნიერებულად გამოიყანოს თითოეული სენის თეორიული მიზეზი“<sup>1</sup>.

ჩემთვის ცხადია, რომ ამის დაწერი იოანე პეტრიწი, გელათის აკადემიის ორგანიზატორი და პირველი რექტორი, არ გამოსტოვებდა მედიცინას აკადემიის სწავლების გებმიდან. მით უფრო ეს მისაღებია. რომ დავით აღმაშენებელმა იქმე, გელათის მონასტრის გვერდით, ქსენონი—სააგადმეოფო—ააძენა, „ადგილს მემსგავსებულსა და მეენიერსა“, მეკრიბნა მასმი სხვადასხვა სენით

<sup>1</sup> იოანე პეტრიწი, შრომები, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამო-ცემა, ტ. II, გვ. 225—226, 1937.

დაუგებულნი, და დავრდომილნი, მიუენა მათ მომღვეღნი და  
ზედამდგომელნი, კ. ი. ექიმთა პერსონალი, და გაუჩინა მას უხ-  
ვად ძექავალი ავადტეოფთა ძექანახად და მსახურთა კმასაეოფად<sup>1</sup>.  
საგელისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დავითის  
მიერ ქსენონის აგებაზე ლაპარაკობს იქვე, უშეალოდ გელათისა  
და აკადემიის ძემდებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ აკადემიის და-  
არსება და ქსენონის აგება, ერთსა და იმავე გეგმაში შედიოდა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სწორებ იმ ღროს სომხეთ-შიც არსებობდა აკადემიები, სადაც მედიცინასაც ასწავლიდნენ. მა-დალი ტიპის სკოლები სომხეთის ზოგიერთ მონასტერშიც იქო, სადაც, პროფ. ოპანესიანის აზრით, მედიცინასაც ასწავლიდ-ნენ. მეთერთმეტე სუკუნის პირველ ნახევარში დაარსებული იქო ასეთი აკადემია, სხვათა მორის, ტარონში და ჩვენს მეზობლად სა-ნაინში. ამ აკადემიებს გამოჩენილი სომები მეცნიერი გრიგოლ მაგისტრთა სი სელმმდგანელობდა. ღლებაც არსებობს სანაინში ქვიტებირის მენობა, რომელსაც ეხლაც ბინადარი მცხოვრები აკადემიას უწოდებენ. იგი წარმოადგენს სწორებ ისეთივე ტიპის აუდიტორიას, როგორიც მელათში მემონასულა?

ბრიბოლ მაგისტროსი ბერძნული ფილოსოფიის ხა-  
უკეთესო მცოდნე და მრავალი ბერძნული თხზულების მთარგმ-  
ნელი, მათ ძორის, პლატონის „ტიმეის“ და „ფედონის“,  
აგვლიდის „გეომეტრიის“ და სხვ., ანტიკულიდა ამ აკადემიები.  
სხვათა ძორის, სანაინის აკადემიაში იგი ანტიკულიდა აგრეთვე მე-  
დიცინას. ლ. ოპანესიანი ფიქრობს, რომ იგი სარგებლობდა სას-  
წავლო მიზნით ამ აკადემიურობებით, რომელიც სანაინის საგად-  
მეოფოძი იწვენ. მემონახულია მისი მრავალი (87) წერილი  
თავისი მოწაფებისადმი, ამ წერილებს მეტწილად დატერის ხა-

<sup>2</sup> Ա. Կառ Են Ցուլս, Ցըլատօն էպօլումօ, տօնութօնս, 1948, դա Լ. Օգանեսյան. Իстория медицины в Армении, т. II, стр. 17, 1946.

სიათი აქვს. ექვსი ამათგანი მედიცინის საკითხებს განიხილავს. ერთ-ერთი წერილი საჭმლის მონელებას ეხება და წარმოადგენს ტრანსფუზიას ამ თემაზე. წერილები სამედიცინო ოექტბუ ძინარსიანია და მასში ავტორი იჩენს ჰიპოკრატის, გალენის, ასკლეპიონის, რუფის, სესილიის, ნემესიონის, გრიფიონის, ნოსენტოს და სხვათა მრომების ცოდნას<sup>1</sup>.

ამას გარდა მე კფიქრობ, რომ თვითონ ჰეტრიწის შეირნების ეფექტურობაზე მეტად მიუღია. ამას გარდა მე კფიქრობ, რომ თვითონ ჰეტრიწის შეირნების ეფექტურობაზე მეტად მიუღია.

მოვიუგან ნეშტენისის წიგნის სარჩევის მის ნათელსაუთფად, თუ იგი რა ძინაარსისაა და რამდენად გამოსადება იქთ როგორც ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო.

**სარჩევი ახეთია:** 1. ბუნებისათვეს კაცისა (შესავალი); 2. სულისათვეს; 3. ძერტოვისათვეს სულისა და სწერელითადსა; 4. სხეულთათვეს; 5. ასოთათვეს (კ. ი. მსოფლიო ელემენტების შესახებ); 6. ოცნებისათვეს (კ. ი. წარმოდგენის შესახებ); 7. მხედვარეობისათვეს (მხედველობის შესახებ); 8. გეოდეს-ხილვისათვეს (გეოდენზის შესახებ); 9. მეცნიერებისათვეს; 10. სასმენელთათვეს; 11. საკონსელითათვეს; 12. მიმღობებისათვეს; 13. მოქსენებლობისათვეს (მექსიერების შესახებ); 14. მორისმდებარებისა და გარემოსილისა სიტუაციათვეს (ახორციელებისა და მეტეველების შესახებ); 15. სხუა განწყვალება სულისა და სულის სხვა დაუთვა); 16. სულისა უტევსათვეს (ცხოველური სულის შესახებ); 17. ძელის - მოქმედლობითისაუკის (ემოციების შესახებ);

<sup>3</sup> Л. Оганесян, История медиц. в Армении, т. II, стр. 18, 38, 1946.

18. გემოთათვს; (სიამომ ნების შესახებ); 19. მწუხარებისათვს; 20. გულის-წერომისათვს; (აფექტების შესახებ); 21. მიძისათვს; 22. უტევსათვს, რომელი არმორჩილ არს სიტევსა (ფუნქციები, რომ-ლებიც გონიერა არ ემორჩილება); 23. მოხარდობითისა მაღი-სათვს (საჭმლის მოხელეების შესახებ); 24. მარღვთათვს; 25. მმო-ბელობითისა გინათუ თესლოვნობითისათვს; 26. სსუად განწვ-ლებად მაღისად, რომელნი პმართებენ ცხოველსა (დაუოფა იმ მაღ-თა, რომელნიც ორგანიზმს განაცემენ); 27. წინააღმრჩევითისა მიღრევისათვს (ნებისმიერი მოძრაობის შესახებ); 28. სელის-კუთისათვს (სუნთქვის შესახებ); 29. ნებისითისა და უნებლივით-სათვს; 30. უნებლივითისათვს; 31. უმეცრებით უნებლივითისათვს; 32. ნებისითისათვს; 33. წინაგანრჩევისათვს; 34. თუ რათათვს გართ განმჩრას (განმჩრახვის შესახებ); 35. სკათვს (ბედის შესახებ); 36. ვარსკვლავთა-მიერისა სკათვს (ბედისწერა ვარსკვლავების მიხედვით); 37. სსუა სახედ სკათვს; 38. თუ ვითარ პლატონ იტევს სკათვს; 39. თვთ-კელმწითებისათვს (ნების თავისეფ-ლების შესახებ); 40. თუ რომელნი არიან ჩუქნმიერნი (რანაი-რი მოქმედება არის ჩემ მეზე დამოკიდებული); 41. თუ რომელთა მიხედვთათვს თვთ-კელმწითე ვიქმნენით (რანაირ პირობებში ვი-ქმნეთ თავისუფალი ნების მიერ); 42. განგებისათვს; 43. თუ რადგე არს განგებად; 44. თუ რად-მე არს განგებად (რისთვის არის განგება).

ამ სარჩევის წაკითხვითა და გააზრებით მკითხველი ადვილად მისვევდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის თხზულება იყო პე-ტირიტის მიერ თარგმნილი ნემესითს ის წიგნი. საგულისხ-მოა კიდევ ის გარემოება, რომ ამ წიგნი მოხსენებული და სა-თანადო ციტატები მოევანილა სოცკეტ სიტევა-სიტევით ცნო-ბილი ბერძნი ფილოსოფოსებისა და ქამების თხზულებებიდან. მათ მორის არიან: პლატონი, არისტოტელე, პითონიატე, გალი-ნოსი (გალენი), დემოკრიტი, ეპიკერონი, ანაქსაგორი, ირაკლი-ტოსი (ჰერაკლიტი), პითადორონი; ნეოპლატონიკოსები: ამმონიო-სი, პლოტიონისი და იამბლიხოსი; სტოვლი (ფილოსოფოსთა სკოლა) და მრავალი სსუა.

ამ ადწევრილობდანაც ცხადია, რომ ნებესი თექით თხექულება მართლაც ნამდვილი სახელმძღვანელოს ტიპის წიგნია. იგი ჟეიფას ადამიანის ფიზიოლოგიური ბუნების ძებასებ მეცნიერებლ ცნობებს საუკეთესო ექიმ-ფილოსოფონის გადანის მრომათ მიხედვით და, მაშასადამე, მედიცინის საფუძვლების ძესახებ საუკეთესო მასალის შემცველია. ეს წიგნი უსაუკუდ გადმოთარგმნილი უნდა კოფილიყო პეტრიწის მიერ, პირველ რიგში, ქართულ აკადემიებში მოსახმარებლად. ამავე მიზნით უნდა კოფილიყო გამოწეველი პროკლენი და დოსოსის მრომის „ეკვირნი“-ს გადმოთარგმნა და ამ მრომისათვის კრცელი კომენტარიების გაკეთება. ამ მრომასაც სახელმძღვანელოს სახე უქს, როგორც ამას ნ. მარიც აღნიშნავს<sup>1</sup>.

რომ ეს ორივე ფილოსოფიური თხზულება გადმოთარებული იქთ ითანე ჰერიტინს შეირ სპეციალურად ტელათის აკადემიაში მოსახმარებლად, როგორც სახელმძღვანელოს, სხვათ მორის, იქიდანაც ჩანს, რომ ამ თხზულებათა თარგმნა შესრულებულია მაძინ, როდესაც იგი უკვე გელათის აკადემიის სათა-  
გეში იდგა.

არსენ იქალთოვლი მის მიერ ორგანიზებულ იქალ-  
თოს აკადემიაში უსათუოდ ასწავლიდა აპრეტვე მოძღვრებას ადა-  
მინის ბენების ძესახებ. ამის მაჩვენებელია, პირველად კოვლისა,  
ის გარემოება, რომ არსენ იქალთოვლის, რომელმაც განათ-  
ლება მიიღო კონსტანტინეპოლის აკადემიაში და დიდ ხანს მო-  
დგაწეობდა აქვე, კარგად უნდა ცოდნოდა ბიზანტიური რენესანსის  
ეპოქაში არის ტოტელეს თხზულებანი, ისე როგორც ნემე-  
სიონის, გრიგოლ ნოსევლისა და სხვათა ძროშები ადამია-  
ნის ბენების ძესახებ. ამაზე მიუთითებს ქათოლიკოსი ანტონი I  
თავის „წეობილსიტეულიანია“-ში, რომლის სიტყვით არსენს უქე-

<sup>1</sup> Н. Марр, Иоанн Петрицци фа სხვა, СПБ, 1909.

<sup>2</sup> 6. ခုံရွှေဂျာင်း၊ နိုင်ငံပြည်သူတော် ဦးမြို့သောင်း၏ ဖွံ့ဖြိုးဝါယာ၊ „ပြည်ပိုင်စာတွေပါက္ခိုင်း“၊ စုတေပုဒ်၊ 1914.

ღნენ ღვთისმეტველებას, ფიზიკას, ანატომიასა და სხდას. და და, თუ არ ს ე ნ მა სახელი გაითქვა, სხვათა მორის, როგორც ანატომოსმა, ამას იგი მიაღწევდა ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობების სწავლებით ამ აკადემიაში ანდა სათანადო მომების დაწერით.

იქალთოს აკადემიის დაარსების 1114—1120 წ. მიაკუთვნებენ. იგი იქო ხელთუჭმნელი ხატის მონასტერთან სოფ. იქალთოში, არსენის სამშობლოში. არის ცნობა, რომ ეს „დიდი სასწავლებელი სკოლა“ არსენის ძემდეგაც დიდხანს არსებოდა. ხალხში გარცელებულია აჩრი, რომ ძოთა რესთაველი ამ სკოლაშიც სწავლობდათ. ამას იმეორებს ა. სახანაშვილი და სხვებიც.

არ ს ე ნ იქალთოელი დიდად განათლებულ, მცოდნე პიროვნებად ითვლებოდა. იგი მონასტილებიდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვევლ სომეს-ქართველთა პაექტობაში, სადაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტევით, დავითმა მოუწოდა „არსენის იქალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა კოველსა გვლესიათასა“<sup>2</sup>.

სწავლის დამთავრებისას კონსტანტინებოლის აკადემიაში არ ს ე ნ ს მოღვაწეობა დაუწეია შავი მთის მონასტერში ეფრემ-მცირის იქ უოფნისას. იქ მთარგმნელობა დაუწეია. თავისი მომღვრის ეფრემის სიკვდილის ძემდეგ იგი დაბრუნებულა კონსტანტინებოლის და იქ უმოღვაწნია შანგანის მონასტერში, სადაც აკადემია იქო. დავით აღმაშენებლის მოწვევით დაბრუნებულა სამშობლოში 1114 წ. რამდენიმე ხანს დარჩენილა გმლათში. მერმე მალე წასელა კხეთს, თავის სამშობლოში, და იქ უმაღლესი სკოლა დაუარსებდა<sup>3</sup>.

<sup>2</sup> წყობილსიტუატობა, ქმნილი ანტონისაგან პირველისა, პლ. ოსელიანის გამოცემა, გვ. 261, თბილისი, 1853.

<sup>3</sup> პ. კ ვ ა ვ ლ ი ძ ე, გვ. ქართ. მწერლ. ისტ., II, გვ. 253—254, 1951.

<sup>3</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტიქსტი დადგენილი ს. ყაუბიშვილის შიერ, გვ. 356, თბილისი, 1955.

როგორც არ ს ე ნ ი ყ ა ლ თ თ ე ლ ი ს მწერლობიდან, სახელ-კარგი დობრ, თარგმნილი მრომების კრებულიდან („დოგმატიკონი-დან“) და მისი მინაწერებიდან ჩანს, იგი იყო საკელესით ღობმა-ტიკერი აზროვნების წარმომადგენელი. როგორც პ. ხიდამე-ლი გამოთქვას, ეკვლაფერი ეს მეთხველი იყო არ ს ე ნ ი ს მი-ერ ორთოდოქსალური ქრისტიანობის დასაცავდ, როგორც სა-ხელმძღვანელო წიგნი „ჰემმარიტების“ მტკიცე სახომად და ერე-ტიკელ „მწეცოა ბესლიანია სიბოროტესა“ გასარჩევად. ამ წიგნ-ში თავმოურილია 31 პოლემიკური სასიათის თხზელება, რომ-ლებიც მიმართელი იყო სხვადასხვა მწვალებლობის წინააღმდეგ, 16 თხზელება ღოგმატიკურ-ფილოსოფიური სასიათისა და 5—მორალურისა.

ეს წიგნი, წერს არ ს ე ნ ი, „ნამდვლევე... წინამძღვანი არ ს წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისამ და თუალი, რომელთა პეტრე, და პირი, რომელთა წრახავე (ლაპარაკობი), და სასმენელი, რომლითა ესმიან ღმერთმემოსილთა მამათა უც-თომელნი მოძღვრებანი, და საენოსელი, რომელთა იქნოს სენ-ნელობასა დათივ სულიერთა წერილთა ეკავილისასა, და მარ-კუტნე მკლავი, რომლითა ესრვის და სდევნის სამწვალებლობათა მკეთრა ბესლიანია სიბოროტესა“. ცხადია აქედან, რომ არ ს ე ნ ი ყ ა ლ თ თ ე ლ ი ს მსოფლმხელელობა იყო ოფიციალური, საეპ-ლესით მართლმადიდებელი ქრისტიანობისა, მთლიანად იდეა-ლისტური, გაბატონებული კლასის ფეოდალთა იდეოლოგიის გა-მომხატველი. ეს მსოფლმხელელობა, რასაკირეცველია, არ ჰქონა-ტევის მისი თანამედროვე ითანე პეტრიწისას, რომლის აზროვნება საეროს უახლოვდებოდა, რის გამოც იგი იყო დევნი-ლი საკელესით ოფიციალური წრეების მიერ<sup>1</sup>.

რადგან ითანე პეტრიწისა და არ ს ე ნ ი ყ ა ლ თ თ ე -ლი ს მსოფლმხელელობა. უპირისისპირდება ერთიმეთოვეს, რო-გორც საერო-სასულიერო-საეკლესიოს, ამიტომ შეიძლება ითქვას,

<sup>1</sup> მ. ჩიდაშვილი, სახოვადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძარი-თადი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 69—72.

რომ არ ს ე ნ ი ე ა ლ თ თ ე ლ ი ვ ე რ შევბუ გ ე ლ ა თ ი ს ა კ ა ღ ე მ ჩ ი ა ძ ი ა ბ ა ბ ა ტ ი ნ ე ბ უ ლ ი თ ა ნ ე პ ე რ ი წ ი ს ს ა ე რ თ ფ ი ლ ი ს ი მ ფ ი რ ი ს ი რ ი ს მ ა მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს დ ა ა მ ი ტ ი მ ი მ ე ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ა მ თ მ რ ე ბ ო რ დ ა შ ლ ა თ ი ს დ ა კ ა ხ ე თ მ ი , თ ა ვ ი ს ს ა მ მ ი ბ ლ ო მ ი , დ ა ვ ა რ ს ე ბ ი ნ ა ც ა ლ კ ე ი თ ა ვ ი ს ი ს ა ხ ე წ ა ვ ლ ე ბ უ ლ ი .

### X—XIII ს ა უ კ უ ნ ე ბ ი ს ს ა რ ა გ რ ვ ა ლ ი ს ს ა ვ ი მ ი მ ი ნ ი გ რ ე ბ ი ს

დ ღ ვ ა ნ დ ლ ა მ დ ე მ ე მ ი ნ ა ს უ ლ ი მ კ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი თ ხ ს უ ლ ე ბ ე ბ ი ს ა უ კ ი მ ი ს ხ ა ს ი ა თ ი ს ა თ ა გ უ ფ ა დ ი უ რ ფ ა . ე რ თ კ ა გ უ ფ მ ი მ ე დ ი ა ნ ს ა უ კ ი მ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი , რ თ მ ლ ე ბ ი ც მ ე ი ც ა ვ ე ნ დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ც ნ ი ბ ე ბ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ბ ე ნ ე ბ ი ს მ ე ს ა ხ ე ბ დ ა მ ე დ ი ც ი ნ ი ს ს ა ფ ე მ ვ ლ ე ბ ი , რ თ გ რ ი რ ი ც ა ა ა ტ მ დ ა , ფ ი ზ ი რ ი ლ ო გ ი ა , პ ი გ ი ე ნ ა , დ ი ე ტ ე ტ ი კ ა ; მ ე მ დ ე ბ ი მ ა ს მ ო ს ი დ ე ბ ი ს ზ ო გ ა დ ი პ ა თ მ ლ ო გ ი ა დ ა ბ ო ლ ი ს ა გ ა დ მ ე რ ფ ო ბ ა თ ა ა ღ წ ე რ ა , მ ე რ ი ნ ა ლ ი მ ა დ ა წ ა მ ლ ე ბ ი ს დ ა მ ხ ა დ ე ბ ი ა ვ ა დ მ ე რ ფ ო ბ ა თ ა გ ა ს ა ს დ ვ რ უ ლ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ . ა ხ ე თ თ ხ ს უ ლ ე ბ ე ბ ი ს ა უ კ ი მ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი ე წ რ დ ე ბ ა . მ ე თ რ ე კ ა გ უ ფ ი ს ზ ო გ ა დ ი ს ხ ა ს ი ა თ ი ს ც ნ ი ბ ე ბ ი ს მ ე დ ი ც ი ნ ი ს ს ა ფ ე მ ვ ლ ე ბ ი ს მ ე ს ა ხ ე ბ ი ს ე ლ მ ც ი რ ე დ მ ე ი ც ა ვ ს ; ა ხ ე თ ი წ ი გ ნ ი ი ძ ლ ე ბ ა მ ხ ო ლ ი დ ა ვ ა დ მ ე რ ფ ო ბ ა თ ა მ ე რ ი ნ ა ლ ი მ ა ს დ ვ რ ა ს დ ა კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ე ბ ა დ ი წ რ დ ე ბ ა .

ჩ ე ნ კ ი მ ს კ ა ე ლ ე ბ ი თ X—XIII ს ა უ კ უ ნ ე ბ ი ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ც ნ ი ბ ე ბ ს ე ა ღ მ ი ა ნ ი ს ბ ე ნ ე ბ ი ს მ ე ს ა ხ ე ბ ი რ ი ი გ ა მ ი ქ ე ვ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ე ბ ლ ი ს ს ა მ ე ა ლ ე ბ ი თ ; ე რ თ ა „ უ ს წ ი რ ი კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი “ დ ა მ ე თ რ ე „ წ ი გ ნ ი ს ა ქ ი მ თ “ . რ ი ვ ე ქ ა ლ ტ ე ტ ი მ ვ ი ლ ი ს მ ი ე რ ა ა გ ა მ ი ც ე მ ე ლ ი . მ ე მ დ ე ბ ი ჩ ე ნ კ ი მ ს კ ა ე ლ ე ბ ი თ ა გ რ ე თ ვ ე ე რ თ ი გ ა მ ი ქ ე ვ ე ნ ე ბ უ ლ ი კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ , რ თ მ ე ლ ი ც ფ რ ი ნ ვ ე ლ ი თ ა მ კ უ რ ი ნ ა ლ ი მ ა ს დ ვ რ ა ს ე ხ ე ბ ი თ .

„ უ ს წ ი რ ი კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი “ , გ ა მ ი მ ც ე მ ლ ი ს ა ზ რ ი თ , თ ი თ ქ ი ს მ ე დ ე ნ ი ლ ი ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე ქ ი მ ი ს მ ი ე რ უ მ ე ტ ე ს წ ი ლ ა დ ა რ ა ბ უ ლ ი ს ა მ კ უ რ ი ნ ა ლ ი მ რ ი მ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ , მ ა გ რ ა მ მ ე ი ც ა ვ ს ა ბ რ ე თ ვ ე უ მ უ ა ლ ი დ ბ ე რ მ ნ უ ლ ი ს ა უ კ ი მ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი დ ა ნ გ ა დ მ ი ლ ე ბ უ ლ ც ნ ი ბ ე ბ ი ს , ი ს ე რ თ გ რ ი რ ც თ ა ვ ი ს ს ა კ უ თ ა რ დ ა კ უ ი რ ვ ე ბ ე ბ ი ს ა დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ე პ რ ე ბ ი ლ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა მ კ უ რ ი ნ ა ლ ი ც ნ ი ბ ა ს ა ც . ა მ წ ი გ ნ მ ი მ ო ც ე -

მული სამკურნალო ცნობები ზოგჯერ ფანტასტიკურია, ანდა ცრუ-  
მორწმუნეობის სასაბათისა.

ვინ არის „უსწორო კარაბადინის“ ავტორი, დანამდვილებით  
ცნობილი არაა, ვინაიდან ჩვენამდე შემონახულ ტექსტი ავტო-  
რის სახელი არაა მოხსენებული. ამ წიგნს დასაწეინი ფურცლები  
აქვთ, საღაც ძეიძლება უთფილიერ ავტორის დასახელება. მაგ-  
რამ ამ წიგნის ერთ-ერთი გვერდის არძახე უთფილა მონაწერი  
უძველესი მხედრული ხელით: „ვინც ესე წაიკითხოთ ცოდვილსა  
ქანან ელსა (მენდობას) უბრძანებდეთო“. თანახმად ამ მონაწე-  
რისა გამომცემელთან ერთად ძეიძლება ვითიქროთ, რომ დასახე-  
ლებული ვინმე ქანან ელი ან ავტორია, ანდა გადამწერი ამ ძეგ-  
ლისა. ლ. კოტეტი მკილა მოჰკავს სხვადასხვა მოსაზრება იმის  
საჩვენებლად, რომ ეს ქანან ელი ავტორი უნდა იყოს და არა  
გადამწერი. ვინმე მკითხველს სცოდნა ამ ძეგლის ავტორის სა-  
ხელით და სიტოვს სხვა მკითხველებს ძენდობა უბრძანონ ქანა-  
ნ ელს იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც ძან დასდო მედიცინას  
ამ წიგნის ძეგლებით.

ეს „უსწორო კარაბადინი“, ე. ი. უმაგალითოდ სწორი ან  
სრული სამკურნალო წიგნი, ძეგლებილი უნდა იყოს ძეათე-მე-  
თერომეტე საუკუნები, ვინაიდან მასში მოხსენებულია მრავალი  
ცნობილი ექიმი, რომლებიც მერგე-ძეათე საუკუნეებში მოღა-  
წეობდნენ, ხოლო უკლახე განთქმული ექიმი ავიცენა, რო-  
მელიც მეთერომეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა,  
სხენებული არაა. თვითონ წიგნის გებმის თავისებურება და ტერ-  
მინოლოგია იმას გვიმტკიცებს, რომ მისი ძეგლენა უნდა მომ-  
ხდარიელ არაბული კულტურის განმტკიცებამდე ქართველთა მერ-  
ნალობის საქმები. ციტირებულ ექიმთა საკუთარ სახელთა ტრანს-  
კრიპტია ამას მშვენიერად ამტკიცებს: ზოგ ძემთხვევაში ეს ტრანს-  
კრიპტია ბერმძულ წაკითხვას ძეეფარდება. მაგ., დიმოკრატი, გა-  
ლიანე (Galen), უფრო მეტი ილად კი ამავე სახელების ტრანს-  
კრიპტია არაბულად არის მოცემული: ბაგრატი, კალენოზი. თვი-  
თონ წამლეულობისა და ავაღმეოფობათა აღწერილობა ზოგ ძე-  
მთხვევაში გადმოღებულია უმუალოდ ბერმძული ტექსტიდან, ბე-

რძნული ტერმინებით, მეტწილად კი არაბული ტექსტიდან არის გადმოღებული არაბული საკუთარი სახელებით. ამიტომ ლ. კო-ტეტი მკილი ფიქრობს, რომ „უსწორო კარაბადინი“ იმ ეპო-ქის საექიმო წერილობითი მეტლია, რომელიც გარდამავალ ეპო-ქად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ისტობა მცელი ბერმძული გავ-ლენა და მტკიცდება ასალი — არაბული“ (ის. გვ. XVIII). სწო-რედ ამით უნდა აიხსნას, რომ ამ „უსწორო კარაბადინი“ ჯერ კადგე შემონახულია სსკადასხვა უძველესი ღროვას ცრუ რწმენანი საექიმო სამუალებათა შესახებ. ექიმ აკიცენას მიმდევარნი უპ-ჰე კარგად არჩევენ ექიმ-ფილოსოფოსების მეცნიერებლ მონაცე-შებს ამ ცრუმორწმუნეობისაგან.

მეორე დაბეჭდილი საექიმო ნაწარმოები: „წიგნი საქიმოდ“ (ლ. კოტეტი მკვილის გამოცემა, ტფილისი, 1936) მთლიანად გა-დმოკეთებულია არაბულიდან ქართულად. ეს მომხდარა XIII სა-უკენის დასაწეისში, უკვე იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს მკურნალობის ხელოვნებაში სრულიად გაბატონდა არაბული მე-დიცინა და მასთან ის არაბული მედიცინა, რომელიც ბერძენ ქიმია და ფილოსოფოსთა თხზულებათა საფუძველზე მეტებავდა დადი მეცნიერი ფილოსოფოსის აკიცენას მიერ. ამის მაჩვე-ნებელია, პირველ კოვლისა, ის გარემოება, რომ ამ საექიმო წიგნში ჩვენ უპიშ პერ კევდებით ბერძენ ექიმთა საკუთარი სახე-ლების ბერმძულ გამოთქმას ანდა ბერმძულ ანატომიურ ტერმი-ნების. ამ წიგნში უკვე გაბატონებულია არაბული ტერმინები. ეს წიგნი მედიცინილია აკიცენას მიერ მემოღებული ბებჭით. მათში წინასწარ მოცემულია ფილოსოფიური ქესავალი ადამიანის ბუნების შესახებ, უბელვებელუოფილია მაგიური სამუალებანი და ცრუ რწმენანი, რომელთაც უსრანი თუ ბიძლია, ანდა უშუალოდ მდაბიო საღხი იძლეოდა.

არაბული მედიცინა წარმოიშვა უმთავრესად ბერძენ ფილო-სოფოს-ქიმია მრომების საფუძველზე. როდესაც მემკვდე საუკუ-ნები არაბები დაეჭირნენ ბიზანტიის პროვინციებს, სირია-პა-ლესტინას, ისინი დაწაფნენ აგრეთვე აქ არსებულ ბიზანტიურ კულტურას. გადათარგმნეს (მეტ წილად სირიულიდან) არის ტო-

ტელეს, ჰიპოკრატის, გალენისა და სხვათა მრომები, ამ მრომათა საფუძველზე არაბმა ექიმებმა და სახოგადოდ არაბული პულტურის მიმდევარმა ექიმებმა დიდად განავითარეს მკურნალობის ხელოვნება და შექმნეს საუკეთესო სამკურნალო წიგნები. ამ ქიმია ძორის უვლანე უფრო ღირსებენანიშნავი იქო მეათე-მეოთმეტე საუკუნის ტაჯიკი ექიმი და ფილოსოფოსი ავიცენა (იბნი-სინა, მკელი ქართულით სინაისმე, 980—1037 წ.). მას დაწერა განთქმული ხეთტომიანი საქიმო წიგნი, „სააქიმო ხელოვნების კანონად“ წოდებული. იგი ემარტოდა ანატომია-ფიზიოლოგიაში უმთავრესად არის ტოტელეს იქო. იგი ღებულობს სამეცაროს, მატერიის მარადისობას და მის თანდათანობით გარდაქმნას სინამდვილის არსებათა შესაძლებლობის ჩასახვით, ხოლო ძესამლო არსებათა აუცილებელ გამოვლინებას ღმერთს მაწერს. მისი აზრით, ღმერთია აუცილებელი მიზეზი ეკვლა გამოვლინებული არსებისა. ამასთან ადამიანის ხელს იგი მიაწერდა სინამდვილის კონკრეტულ არსებათა ცოდნას, რომელსაც იგი იძენს გრძნობათა ორგანოების ძემწერიბით. ხელის სათანადო ფუნქციების მეოხებით წარმოებს სინამდვილის ძეგრძნებებიდან ცნებების ჩამოყალიბება და მასხოვრობა.

ფიზიოლოგიურ მოვლენათა ბუნების არსის გასაგებად ავიცენაში წამოაუკანა ოთხი ეხენაები მიზეზი ანუ მაღი, როგორც ეს სხვერდათ არის ტოტელეს მიმდევარი: მატერიალური, სიადანაც ეოვლი არსი წარმოიძობა, მოქმედი, რომელიც მატერიის მამოძრავებელია, ფორმის მიმცემი, რომლის გამო არსი კონკრეტულ სახეს ღებულობს და საბოლოო მიზანი, რისთვისაც არსება წარმოიძობა, მაგრამ ავიცენაში ამას დაუმატა კიდევ სხვა სახის მიზეზებიც, მაღვებიც. ავიცენა თავის ხეთტომიან „განონები“ აქვთავნებს მეცნიერებისადმი აღფრთოვანებულ სიუკარულს და მასთან დიდ უნარს მოვლენათა სისტემატიზაციისადმი. ამ მხრივ იძი გალენზე გაცილებით მაღლა იძგა და ამიტომ

ავიცენას ეს წიგნი მრავალი საუკუნის განმავლობაში საუკუნესო, სამაგალითო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა როგორც აღმოსავლეთ ქვეუნების, ისე დასავლეთ ეკროპაში.

ავიცენას ძემდეგ უელაზე უფრო გამოჩენილ არაბ ფილოსოფოს ექიმად ავეროესი (იბნ-რომდი, 1120—1198) ითვლებოდა. ამას მივაკუთვნებოთ ქართულ ენაზე არსებული „წიგნი სააქიმოს“ ავტორობას. ეს ექიმი უმთავრესად ესპანეთში, ქ. კორდოვაში მოღწეობდა მეთორმეტე საუკუნეში. იგი არის ტოტელეს თაუცინისმცემელი და მისი მრომების თრიგინალური კომენტარი იყო. მან გამოთქვა ქვეუნის წარმომობის, მატერიასა და სულის შესახებ ისეთი აზრები, რომლებიც ბიბლიისა და უკრანის სირულიდ საწინააღმდეგო იყო. იგი, მაგ., გამოთქვამდა, რომ ქვემის მექმნა არაფრიდან შეუძლებელია. მექმნა არის მომრაობა, მომრაობა კი შეუძლებელია გარეშე იმისა, რაც მომრაობა, ე. ი. გარეშე პირველეოფილი ნივთისა, მატერიას. მატერია უკვდავია, იგი არც აღმოცენდება და არც ისპობა. იგი განიცდის სჩვადასხვა, ხშირად საწინააღმდეგო ცვლილებებს. მომრაობაც სამარადისოა და განუწვევებელი. უოველივე მომრაობა არის შედები წინასწარი მომრაობისა; არავითარ მოსკენებას ადგილი არა აქვს არც მომრაობის წინ და არც მის შემდეგ. უმომრაოდ შეუძლებელია რაიმეს განვითარება. მომრაობა არის ის, რასაც მატერიას პოტენციალური მდგომარეობა აქტუალურში გადაჰვავს. არსებობს პირვანდელი მამომრავებელი მაღა, როგორც ამას არ ის ტოტელე ამტკიცებდა, მაგრამ მისი მოქმედება თავისუფალი არაა, არამედ აუცილებელია და განისაზღვრება მატერიაში ჩანერგილი პოტენციებით. ინდივიდუალური გონება ჩნდება დაბადებისას და ამიტომ იდეა ინდივიდუალური სულის მარადისობის შესახებ ისეთივე ზღაპარია, როგორც დოგმა ქვეშის შექმნისა არარაობიდნ. ამიტომ უკეთ თეოლოგის რელიგიაშ ადგილი უნდა დაუთმოს ფილოსოფოსთა რელიგიას, რომელიც შეისწავლის

მსოდოდ იმას, რაც არსებობს. აი რამდენად პროგრესული იყო ავეროინის მსოფლმხედველობა<sup>1</sup>.

ლ. კოტეტი მკილის მიერ გამოცემული „წიგნი საქი- მოდ“-ში არ არის დასახელებული მისი აკტორი. ლ. კოტეტი- მკილის აზრით, იგი უნდა იყოს სწორედ ეს ავეროების კართული ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს ავეროე- სის ცნობილი თხზულების Kitâb el Culliyât (მედიცინის სრუ- ლი კურსის) თავისუფლად გადმოჰქონდეს მრომას.

რამდენად მეიძლება ვიმჯელოთ კოვნერისა და ოვნა- ნის მრომებით ავეროების ფილოსოფიური მსოფლმხედვე- ლობისა და მისი მიმართულების შესახებ მედიცინის დარგი, ერ- თი მხრით, და ქართული „წიგნი საქიმოდ“-ს მინარსის სა- ფუძველზე, მეორე მხრით, მართლაც ეს მრომა მეიძლება ავეროეს ეპუთუნოდეს.

ორიგე დასახელებული მრომა: Kitâb el Culliyât და „წიგნი საქიმოდ“-ც მედიცინის მთლიან კურსს წარმოადგენს, რომელიც ფილოსოფიური თვალსაზრისით ადამიანის ბუნების შესახებ უმ- თავრესად არ ისტორებეს ემპარება, ხოლო კონკრეტული ანა- ტომიური და ფიზიოლოგიური ცნობების მხრით უმთავრესად არ ისტორებესა და გალენის მონაცემების. საგულისხმოა, რომ „წიგნი საქიმოდ“ მაღიან იმკიათად ისენიებს ღმერთს ფი- ზიოლოგიური მოვლენების განმარტებისას და თითქმის არ მეიცავს მის ხენებას ავადმეტოფობათა დახასიათებისა და მკურნალობის აღწე- რისას. ამით იგი არსებითად განსხვავდება „უსწორო კარაბაზინისა- გან“ და სხვა მისებრი ნაწარმოებისაგან. მასთან „წიგნი საქიმოდ“- ში ღვთის ხენებას ჩვეულებრივ დეკლარაციული ხასიათი აქვს: ხან- დისხან აკტორი იტევის „ღვთის ბრძანებით“, „ღვთის განგებით“, „მეწვნითა ღვთისათა“-ს და ამის შემდეგ აღწერს რომელიმე ორგანოს ატებულებასა და დანიმუშლებას. ზოგჯერ კი იძლევა რომელიმე ორგანოს შესახებ არსებულ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ

<sup>1</sup> С. Ковнер, Очерки истории медицины, вып. 3. 1888. Э. Ренан, Собр. сочинений, т. VIII, Аввероз и авверонизм, стр. 59, 1902, Киев.

ცნობებს და მერძე დაურთავს „და სხვა სავსება ღმერთმან იცის“-თ, ე. ი. უფრო სრულად ამ ორგანოს შესახებ ღმერთმა იცისო. სელ ერთ-ორ ალაპსა მოვანილი ღმერთი როგორც დამშვადებელი დ. ერგლის შემქმნელი. აი ასეთი მიზგომა ღვთისადმი აგრეთვე გვიმტკიცებს, რომ „წიგნი საქიმოა“-ს ავტორი შეიძლება აგერ თე გვარის იუოს.

ავერთესის „წიგნი საქიმო“ მოხვდა საქართველოში მაღიან მაღვ მისი დაწერის შემდეგ, თამარ მეფის დროს 1206 წ., როდესაც ქართველთა მხედრობამ ქ. კარნუ (ერთერუში) გაათავისუფლა თურქ დაბპერობებელთაგან და აგარებელ დოვლათან ერთად ეს წიგნიც ხელში ჩაიგდო. თამარ მეფის მწიგნობარუხეცემა ჰქონდიდებომა მაღალი მეფისება მისცა ამ წიგნს და მაძინვე 1208—10 წელს გადათარგმნინა ხოჯა აუთფილს, როგორც ეს ჩანს წიგნში არსებული ჩანაწერიდან.

ორიგვე ზემოხსენებული წერილობითი მეტყველი „უსწორო კარაბადინი“ და „წიგნი საქიმო“ ამედავნებს არაბული კულტურის უადრეს გავლენას საქართველოშე. პირველად ერგლისა ამის მაჩვენებელია აქ ხმარებული არაბული სამკურნალო ტერმინოლოგია, ციტირებულ ექიმთა მეტწილად არაბული ქვეწენბიდან წარმოშობა. მერვე საუკუნემდის საქართველო, — როგორც კოლხეთი-ლაზიკა, ისე იბერია-ქართლი, — უსათვოდ ბიზანტიის კულტურისა და ბერძნებული ანტიკური მედიცინის უმუალო გავლენას განიცდიდა. ამ გავლენას ადგილი უნდა ჰქონდა კერ კიდევ საქართველოს გაქრისტიანებამდე. ქრისტეს სარწმუნოების გავრცელების შემდეგ ეს გავლენა კიდევ უფრო უნდა განმტკიციებულიერ და, თუ მეათე საუკუნის ქართულ მეტყველი უკვე არაბული მედიცინაა გაბატონებული, ამას თავის ისტორიული მიზეზი უნდა ჰქონდა. ამიტომ მოკლედ მეცნერდები ამ მიხეზხედაც.

საქართველო არაბული კულტურის გავლენას განიცდიდა უმუალოდ სამი საუკუნის განმავლობაში, მეტვიდე საუკუნის მეორე სახევრიდან მეთერთმეტე საუკუნემდე. არაბთა შემოსევა საქართველოს სახელვრებში მეტვიდე საუკუნეში დაიწეო, მაგრამ არაბული საბოლოოდ მერვე საუკუნეში გაბატონდნენ. მეტადრე სანგრძლივი

იუთ მათი გაბატონება საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში არაბთა განვევნა საქართველოს ტერიტორიიდან დაიწეო მეცხრე საუკუნეში, ბარატ I კერაპალატის დროს და დასრულდა მეთვრთ-მეტე საუკუნეში დავით აღმაშენებლის საომარი მოღვაწეობის შედება. ამ უკანასკნელმა მოსპოტ მათი ბატონობა საქართველოს ფარგლებში თერქთა და სპარსთა ბატონობასთან ერთად. ხელ უკანასკნელად ქ. თბილისი იუთ განთავისუფლებული არაბები-საგან.

ცხადია, ასეთი დიდი ხნით პოლიტიკური და ეპონომიკური ურთიერთობა ქართველთა და არაბთა მორის გავლენას იქონიებ-და ქართველთა პულტერაზე.

უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ არაბებმა დედა ქალაქი თბილისი „შეიქმნეს სახლად საუფლებლად თვისად“. აქ დაბინავდა მთელი იბერიის გამგებელი თავისი უხენავის დაწესებულებებით. ცხადია, ამის გამო არაბთა და, სახოგადოდ, მაკმადიანთა მოსახლეობა თბილისში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ დროს აქვე თბილისში იუთ ქართლის ერისთავის მუდმივი ბინაც. ქართველობაც აქ ბლომად იუთ მრავალი გვლესით. მაშასადამე, ქართველთა მოსახლეობა მერეული უნდა ეოფილიყო არაბებთან. ნაწილი თბილისელი ქართველებისა კიდევაც გამამადიანდა. პირიქითაც ხდებოდა, ქრისტიანებოდა არაბი მაკმადიანი; მათ მორის იუთ აბი ტფილელი, რომელიც არაბებმა როგორც სჯელის მოღალატე აწამეს. ითანე საბანი ის მე მწერალებით აღნიშვნავდა: „აღვერიენით ერსა უცხოსა (არაბებსა)… ნათესავსა საწუთოობას ამის მოუქარესა… სარწმუნოებისა ჩუქნისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავეთ საქმენი მათნი და გმონებდით გელის-თქმებსა გელთა ჩექნთასა მიბაძვებდით მათთა“-თ<sup>1</sup>.

ამ სიტევებიდან ნათლად ჩანს, რომ თბილისელ ქართველებს ჭიდრო პულტერული ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ არაბებთან და ამ ურთიერთობას არსებითი გავლენა მოუხდენდა

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 86—87,  
1948.

თბილისელ ქართველთა ზნე-ჩვეულებაზე. ასე იურ მერვე საუკუნეები. ეს კულტურული ურთიერთობა კიდევ უნდა გაზრდილივო მეცნიერებათე საუკუნეები.

დავით აღმაშენებლის დროსა და მანამდისაც სამეფო ქარჩე არაბული ენის ცოდნა საგადაღებულო იყო. მეფე დავით აღმაშენებელმა კიდევაც მოჰკრა ქართული ფელი ქართულთა და არაბული წარწერით, რაც საუკეთესო მაჩვენებელია საქართველოსა და არაბული ქვეყნების შეიძრო ეკონომიკურისა და პოლიტიკური ურთიერთობისა.

მიუხედავად არაბთა ხანგრძლივი ბატონობისა, წირვა-ლოცვისა და სადვოთო წერილის ენა საქართველოში ქართული ენა იყო, როდესაც სირია-პალესტინაში მე-9-10 საუკუნეებში საეკლესიო ენა ზოგან არაბული იყო. მაგრამ ამ დროს სირიის ქართულ მონასტრებში საბას ლავრაში და სინას მთაზე არაბული ენა მე-10-11 საუკლებოდა. აქ იურ აღმოჩენილი 6. მარის მიერ არაბული ანბანი ქართველთათვის. აქვე ითარგმნებოდა არაბულიდან ქართულად საღმრთო წიგნები<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ VIII — XII საუკუნეებში არაბთა მეცნიერება აღმავლობას განიცდიდა. არაბული მეცნიერების გავლენის ქვემ იმეოფებოდა მთელი მცირე აზია, სხვათა მორის, სპარსთა სამეფოები და თურქთა სასულტნოები, რომელთაც, თავის მხრივ, შეიძრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. მაშასადამე, არაბული მეცნიერების გავლენა საქართველოზე ამათი სამუალებითაც უნდა მომხდარიეო. ცნობილია, არაბებმა მრავალი უმაღლესი სკოლა დაარსეს სხვადასხვა ხალითატში. თავისი სკოლები მათ საქართველოშიც უნდა ჰქონდათ. დ. ჯანაშვილის სიტუაცია, მათ თბილისმი დაუარსებდათ სკოლები ჩენი ხალხის განათლებისა და თავისკენ, ე. ი. ისლამისაკენ მიზიდვისათვის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> პ. კიკელიძე, რელი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 48—50, 1950.

<sup>2</sup> დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, გვ. 26, 1914.

ქართველთა და არაბთა მორის კულტურული ურთიერთობა უშედგეოდ არ დარჩებოდა. არაბული ენა, არაბული მეცნიერება, არაბული პოეზია ქართველებისაც უნდა შეეთვისებინათ. ამის მშენიერ მაგალითს წარმოადგენს ძემდები ისტორიული ფაქტი. დავით აღმაშენებელი იყო საუკეთესოდ განსწავლული და განათლებული ადამიანი. მან არაბული და სპარსული ენაც იცოდა. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი თავის მფარველობის არ აკლებდა მაპმადიანთა კულტურის წარმომადგენლებს — პოეტებსა და მეცნიერთ. არაბი ისტორიკოსის ალიჯაუ ზე ის მოწმობით, დავით აღმაშენებელს სუფიებისა და პოეტებისათვისაც თავშესაფარი აუგია, ხმირად მათ იგი ქონებრივადაც ეხმარებოდა და სადღესასწავლო მეჯლისებსაც უმართავდა. დავით აღმაშენებელს საუცხოვოდ ჰქონდა ძესწავლილი არა მარტო ქართული მწერლობა, არამედ მაპმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც. იგი აგრეთვე ისლამის დიდი მცოდნე იყო და, თურმე, მაპმადიანთაც კი კამათყობოდა, კურანი როგორ და საიდან წარმოდგაო<sup>1</sup>.

აქვთან ნათლად ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის ღროს და, ცხადია, მის ძემდებაც, ქრისტიან ქართველთა და მაპმადიან არაბთა და სპარსთა მორის ჭიდრო კულტურული ურთიერთობა დიდ გავლენას მოახდენდა ქართველთა აზროვნებაზე, მწერლობაზე, მინაურ კოფა-ცხოვრებაზე.

ამ კულტურული ურთიერთობის გავლენა ქართველთა მკურნალობის სელოფენებასაც უნდა განეცადა, ვინაიდან სწორედ არაბების ბატონობის ხანაში არაბულმა მედიცინამ მაღალ განვითარებას მიაღწია და ამიტომ ქართულ საექიმო მწერლობაში არაბული მიმართულება, სტილი და ტერმინოლოგია უსათუოდ თავს იჩინდა.

ჩვენს საექიმო ტერმინოლოგიაში მემონახულა მრავალი იძროინდელი არაბული და სპარსული ტერმინები. მათ მორის

ივ-ჯავახი შვილი, ქართვ. ერის ისტორია, წიგნი მეორე, 211, 217, 1948.

არის: ზაფრა, ბალდამი, სევდა, ბურანი, მაღა-მაღათი, ნაცაფი, აბი, მაღამო, ვარამი, ნიძაღერი, ნიკრისი (ნერვების ავადმყრფობა), თია-თიაქარი, ხუნაგი და მრავალი სხვა.

### „უსწორო კარაბადინის“ ცნობები აღაშვილის განახის შასახებ

„უსწორო კარაბადინი“ მეღვენილია მეთერთმეტე საუკუნები, როგორც აღვნიშნეთ, უმეტესად არაბული წერლობის წეროების საფუძველზე, მასთან ისეთ წეაროებზე, რომლებიც ავიცენას წინა პერიოდს ექვთვნის. ამიტომ როგორც აღაშვილის ბუნების საკითხების, ისე ავადმუოფობათა წარმომობის განხილვისას, აგრეთვე მეტად დანიშვნისას მოხმარებულია ცრუ რწმენანი, მაგიური სამუალებანი, ხალხური სამუალებანი უკრიტიკოდ. ამის გამო „უსწორო-კარაბადინი“-ში მოძღვრება აღაშვილის ბუნების მესახებ და, სახოგადოდ, მეღიცინის საფუძვლები ხელ მცირედ და მეტისმეტად პრიმიტიულად არის მოცემული, როგორც ეს მეფეორებოდა ავიცენამდე არსებულ არაბულ სამკურნალო წიგნებს, კარაბადინებს.

„უსწორო კარაბადინი“ ამედავნებს არაბული მეჯიცინის დიდ გავლენას ქართველ მედიცინაზე, პირველად ეოვლისა, არაბული ტერმინოლოგიის ფართოდ მოხმარებით“. „უსწორო კარაბადინი“-ში, როგორც აღვნიშნეთ, იძებათად ტკვერდება ბერძნ ექიმთა სახელი ბერძნებული გამოთქმით, როგორიცაა პიპოკრატე, გალიანე და სხვა. აյ ეს სახელებიც უმეტეს წილად არაბული გამოთქმით იხმარება: ბაგრატი, კალენოზი. აგრეთვე მრავალი ანატომიური და ფიზიოლოგიური ტერმინია არაბულ ან სპარსულ ენაზე მოცემული, როგორიც არაბულ სამკურნალო წიგნებში იხმარება. მაგ., კვითელი ნაღველი — ზაფრა, შავი ნაღველი — სევდა, ღორწო — ბალდამი, ტვინი — მაღში, თვალის გარსი არაბული სახელით არის მოცემული, სტომაქის მიერ საჭმლის მიმღებლობას არაბულად არიჩეს უწოდებს და სხვა. არაბულ ენაზე მოცემული სხვა ებრალო სიტუკებიც, მაგ., აბი — მარცვალი, აბლაკი — გა-

ფლეგნილი ნაეოფი, რასება — თხლე, ნალექი, აარაჯი — კოჭლი, აავარი — მრედე და სხვა უამრავი.

ახლა ვნახოთ ოოგორია „ესწორო კარაბადინი“-ს ანატომია და ფიზიოლოგია. ორგანოთა დაწერილებით ანატომიურ აღწერას ადგილი სულ არა აქვს. მეტწილად დასახელებულია ორგანო და აღნიშნულია მათი ოცხე. მაგ., მვლების შესახებ ნათქვამია, რომ კაცს ტანძი სულ 280 მვალი აქვს, აქედან 45 მვალი თაქს, სელსა და პირისახეს ეკუთვნისო. გაუგებარია, რატომ თავის მვლებთან ერთად დასახელებულია ხელის მვლები და მასთან სწორადაც არ არის მოცემული ეს ოცხე; სამი მვალი ჰყავს ეკუთვნისო, ორი პირი, 38 გულისპირსა და მკერდს — ესეც სწორი არაა. ასე ჩამოთვლილია ტანძის სხვადასხვა ნაწილის მვლების რაოდენობა.

სისხლის მარღვების რაოდენობა უდრის 210-სო, და აქედან 150 მცემარეაო, ე. ი. სულსაციას განიცდისო. გაუგებარია, რატომ გამოვიდა მფეთქავი მარღვი (ე. ი. არტერია) უფრო მეტი, ვიღრე უმოძრაო მარღვი. მემდებ მოცემულია მათი განაწილება სხვადასხვა ორგანოში.

ოთხი ასო ტანს გარედან აქვს: თვალი, ური, ცხვირი და ენა. ოთხი კიდევ ძიგნითო: სტომაქი, გული, ნაღველი (ნაღვ-ლის ბუმტი) და ღვიძლი. გაუგებარია, რატომ არა დასახელებული კანი, ოოგორც გარეგანი ორგანო, რატომ ფილტვი, ელფნთა, თირკმლები არა დასახელებული მინავან თორგანოთა ძორის.

ფიზიოლოგიური მონაცემები მეტისმეტად სპეციალურია და ტელეოლოგიური, ე. ი. მხოლოდ მათი მიზან-დანიშნულება აღნიშნება. გრძნობითი ორგანოს შესახებ, თვალისა და ურის შესახებ, მემდები ცნობებია მოცემული. თვალი, ოოგორც სინათლის ასო, გარემოცულია შეიძი ფარდაგით (გარსით). ჩამოთვლილია მათი არაბული სახელწოდება. თვალი გარემოცულია ამ ფარდაგებით იმიტომ, რომ მავნე რაიმემ თვალს არ ავნოს. თვალის წამწამი ცრემლისა სწორებს, მზის სინათლიდან მორს

დაიჭერს, ქარისაგან დაიცავს. მარჯვენა თვალის ძალი და სინათლე სჯობს მარცხენისასო. ამასთან „როდეს მთვარე სავსედ იყოს, მაძინ მარჯვენა კავალი დაწესებს ტკივილს“ („უსწორო კარაბადინი“, გვ. 351). მოეგანილი ცნობებიდან ჩანს, რომ თუ რამე განხმარტებას იძლევა თვალის, როგორც ასოს დანიძნულების ძესხები ან მთლიანად ტელეოლოგიურია ანდა ფანტასტიკურია.

ეურის შესახებაც აგრეთვე მეტისმეტად ფანტასტიკურ ცნობებს იძლევა: ეური უპავმირდება ტვინს ორი მარღვით, რომელთა ბული ცარიელია. ამ მარღვების სამუალებით ხმა მაღწევს ტვინს. თუ კაცი დაბადებით ერუა, ეს სიერუე გამოწევულია იმით, რომ მარღვის შეა ბული გამოტენილია. თუ კაცი მოწიფელობაში დაურუდა, ეს უკვე ტვინის ქარისაგან მოხდება, რომელიც ტვინმა დაიბადება და მერე მარღვებით ეურამდის ჩავა და დაურუდებს. ეურის ბული მწარება. აქ ის იმიტომ არსებობს, რომ მისმა სიმწარემ მოკლას ჭიები, თუ ისინი ღია კარებით ეურმი შევიდნენ. ამით ტვინი ჭიებისაგან დაიცვებათ.

ასეთი ფანტასტიკური ცნობები მეტწილად იძროინდელ ექიმთა სპეციალისტი მსჯელობის შედება ანდა ხალხში შეკრებილ ცრუ რწმენას წარმოადგენს.

მინაგანი ორგანოებიდან უსწორო კარაბადინის ავტორი ენე-ას სტომაქს, ღვიძლს, ტუირბას (ელენთასა) და ბულს.

სტომაქს (ჰებბ) ოთხი ბუნება აქვთ (ბუნების მაგიერ ხმა-რობს „ბუნებას“). ერთი ბუნება — საჭამადის მიმღებლობა არის: საჭმლის მიღება და გაცივება. ეს ბუნება რბილი და გრილია, როგორც წელისა. მეორე ბუნება — საჭმლის დედილია. ამ დუღილის მაღალი ზაფრაზე, ე. ი. ევითელ ნაღველზეა დამოკიდებული. მესამე ბუნება საჭმლის დაწინება და მისი ღვიძლისადმი გადაცემაა. მეოთხე ბუნება ნარჩენი საჭმლის დაწინება და ნაწლავები შევანაა. ეს ბუნება რბილი და მხურვალეა. მემდებ კარაბადინის ავტორი აგვიწერს იმ დაავადებებს, რომლებიც ზემოადნიძნელ ბუნებათა დასწელებებს მოხდევთ.

ღვიძლი ღებულობს სტომაქის მაღალის და მერმე მას აწვდის ტანის ეველა ასოსო. ღვიძლი სტომაქის ცეცხლია, რომლის გამო

სტომაქი საჭმელი აღედგება და შერმე ღვიძლისაკენ მიიჩიდება. მხერვალე და სმელი საჭმელი მივა ღვიძლთან და ნალექლთან (ალბათ აქ იგულისხმება ნაღვლის ბუმტი). ის საჭმელი კი, რომლიდანაც მხადვება წმინდა სისხლი, ბულმი გადადის, ხოლო მოგრილთ და რბილი წმინდა საჭმელი ტყინძი მიდის. მხერვალე და რბილი საჭმელი თირკმლები გადადის. ისეთი საჭმელი, რომელიც უგარესი და უძალოა ღვიძლიდან მარდის ბუმტი გადადის და იქიდან წელის მაგზარად გამოდის.

მემდებ ამისა ავტორი იძლევა ღავადების ფორმებს, თუ ღვიძლის ქა თუ ის ფუნქცია დასხეულდა. რახაკვირველია, ქს ცნობებიც მეტისმეტად სპეციალურია.

ღვიძლი სისხლის ბუდეა. ღვიძლისაკან შვიდი მარღვი გამოდის, რომლებიც ეველა ასოძი იფანტება. ქს მარღვები არ მომრაობენ. ქს დამტება ისე მოტემული. რომ არ ჩანს ამ მარღვების როლი საჭმლის იმ განაწილებაში, რომელზედაც ზემოთ იურ ნათქვამი.

ტეირბი განკუთვნილია ერველი გამოუსაზღვრის, ღამწვრისა და უდინობი სისხლისათვის. მისი ბუნება გრილი და სმელია. როდესაც ღამწვრი სისხლი და ბალდამი გამრავლდება, ტეირბი იხრდება. ამით ბული გრილდება, ბულმი სისხლი არ მოგროვდება, გული არ ზიანდებათ.

მემდებ მოსილებს ქანის ავადმუოფობათა დასახელება ტეირბის დასხეულების მემთხვევაში, როგორიცაა მუნი, უვაილი, ქავილი, ქეთე (ქანის მუწესები), ქეცი და სხვა.

მთავარი ცნობები ღვიძლის, სტომაქის, ტეირბის ფუნქციების შესახებ უსათუოდ გამომდინარეობენ ჰიპოკრატესა და ბალენის ძრობებიდან. ისინიც აღნიშნავენ სტომაქის ოთხ დანიშნულებას, ღვიძლის როლს სისხლის დაშადებამი და საკვებ ნიჟ-თიერებათა უველა ასოსადმი გადაცემაში, მემდებ ტეირბის როლს სისხლის გაწმენდაში, მაგრამ ექიმი ავტორი არ უოფილა სათანა-დოდ განსწავლული, არ უოფილა ჰემმარიტი მეცნიერი და აღ-ვილად ამასინჯებს ცნობილ მეცნიერულ მონაცემებს სხვადასხვა ტელეოლოგიური და უსაფუძვლო სპეციალური განმარტებით.

გელისა და თირკმლების მესახებ „უსწორო კარაბადინის“ მემდები ცნობებია მოცემული. გელი ტანის მეფე; ტანის ძალი და მემლება გელშია ჩადებული. სიმსურვალე მის ბუნებას ეპთვნის, იგი მთელ ტანს ანათებს. გელიდან ოთხი მარდვი გამოდის, ორი მათგანი ქვედა ტანს; ემსახურება, ორიც ზედა ტანს. მერმე ეს მარდვები იუოფა 32 მტოდ და ეგველა ასომდის მიდის. ეს მარდვები მომრავი არიან. როდესაც გელი მჭირვებითა იუოს, ეოველი მარდვი მჭირვებითა იუოს“ ამიტომ „აქიმშან მაჯა დაიკიროს და მითა მეიტეოს კაცისა სიმრთელე და აფად ეოფნა“ (პგ. 38). ერთი მარდვი გელიდან ტვინში ადის, რომ გელის სიმსურვალე ტვინს გადასცეს; ერთი მარდვი კარდვ ტვინიდან გელთან მიდის, რომ ტვინის სიგრალემან გელის ეგველოს. ეს მცდარი აზრი ტვინის გამაგრილებელი როლის მესახებ არ ის ტოტელე ეს ექვთვნის.

თირკმელი სამირკველია ტანისა. თესლი აქვდან გამოდისთ. თირკმლები ტანის მეუ იმიტომ მდებარეობს, რომ იგი არც ძალიან გახურდეს და არც მეტად გაგრილდეს. თუ თირკმელი სიმსურვალე ან სიხმელე მოერისა, თესლი გახმება. ეს აზრი თირკმელი თესლის არსებობის შესახებ მოლიანად მცდარია.

ტვინი ხელმწიფება სრულიად ტანისა. მის ხაქმეს მეაღბებს; ცნობა, ჰერა, გაგონება, თვალთახედება. თუ კაცის ტვინი სრულიად მოელია, მამინ კაციც მართებული და ჰერიანი იქნება. თუ კაცის ტვინი ნაკლელია, მამინ კაციც ნაკლელი იქმნება. კაცის კარგად და ავად ეოფნა ტვინზეა დამოკიდებული: „ახრე იცოდით, თუ კაცის ტვინი სტეიგის, ეოველი ასო და ტანი სტეიგის“ (პგ. 47), ეს ხწორი დებულებაა. თავის ტვინს მიაწერს აგრეთვე თესლის წარმომობას, რომელიც მერმე თირკმლის სამუალებით გარეთ გამოიყოფა. მაგრამ ეს ხწორი არაა.

ტვინისაგან უსისხლო მარდვები (ე. ი. ნერვები) გამოდიან, რომელიც მოელი ტანისა და ეგველა ასოს მომრაობას იწვევს. ეს მარდვები ხმელი და ღრუა. ამ მარდვების სიღრუე ხწორი არაა. ამ მარდვებზეა დამოკიდებული თვითეული ასოს მიერ თავისი დანიშნულების მქრალება. აქვე ემატებს, რომ ტვინის სისრულე

თავის მოქმედებაში უკავშირდება მთვარეს; როცა მთვარე სრულად-ტვინის მოქმედება სრულდა, როცა მთვარე იკლებს, ტვინის მოქმედებაც კლებულობს. ეს ცრუ რწმენა ალბათ ბაბილონურ სპეციულაციას უნდა წარმოადგენდეს.

„უსწორო კარაბადინის“ ზოგადი ფილოსოფიური მოსახრებანიც მეტისმეტად პრიმიტიულია. როგორც ავტორი აცხადებს, ქვემის „წერბასა და დაბადებას იგი განიხილავს „ბაბილონელ ბრძენთა და ფილოსოფოსთა“ მოძღვრების თანახმად (გვ. 48). ალბათ ფილოსოფოსთა ქვემ ტულისხმობს ბერძენ ანტიკურ ფილოსოფოსების. ავტორი ამბობს, რომ ბუნებრივი თვისება თოხნაირია: მხერვალი, ხმელი, გრილი და ნედლი. უოველი არსება, რაც კი იბადება, კაცი თუ პირუტევი, ხე თუ ბალახი, ან ნერგი—უკელა ოთხი ბუნებისაგან იჩრდება: ქარი (ხმარებულია ჰაერის მაგიერ, ი. ბ.), სიცხე (ცეცხლის მაგიერ, ი. ბ.), მიწა და წევალი. „ქარი მხერვალეა და სიცხე ხმელი და მიწა გრილი და წევალი ნედლი. ამათგან ისრდებან ოთხნივე კუთხები ქვეუანისანი“, ე. ი. უოველი ქვენიერი არსება. მემდებ უმატებს „აწესისხლისა კოქებათ, ბალდამისა და ზაფრისა და მავის ბალდამისა (ნაღველის მაგიერ არის ნათქვმი), იმათთა გარევითა და გასწორებითა გაიზარდოს ტანი კაცისა უოვლისა დაბადებულისა. აწესე მოგახსენოთ, ქარი (ე. ი. ჰაერი) მხერვალი და ნედლი და სიცხლი მისგან იქნების და სული მისგან იმურის. და ცეცხლი მხერვალი და ხმელი არის და ზაფრი [მისგან] არის (ე. ი. უოველი ნაღველი). მიწა გრილი და ხმელი და მავი ბალდამი [მისგან არის]. წევალი გრილი და ნედლი და ბალდამი მისგან არის“ (გვ. 46). ავტორის მოელი მსოფლმხედველობა სამეაროს ბუნების თაობაზე ამით ამოიწურება.

უოველი აქ თქმელი აძკარავებს, რომ წიგნის ავტორის ჰქონდა ბაბილონელ და კლის ბრძენთა აზრი ქვემის მემადგენელ ელემენტებზე, სტიქიონებზე, აპრეოვე მათ თვისებებზე, მაგრამ უკელაფერი ეს ისეთი შემცეცითა და ცელილებებით არის მოცემული, რომ მაძინდელი მკითხველისათვის, ისე

როგორც დღეგანდელი ქაითხველისათვის ავტორის მსოფლიმსუდურობა ნათელი არ უნდა ერთიანდეთ.

ბოლოს უნდა აღნიშნოთ, რომ უოგელი ორგანოს დანიმნებულების აღწერა დგთით იწყება. „ღმერთმა დაბადა თვალი და სინათლედ ჩადგა ძეიდსა ფარდა გმიგან“; „ღმერთმან დაბადა სტომაქი ოთხ გუნებათ“; „ღმერთმან ღვიძლი დაბადა, ტანისა ძალი ჰელა ღვიძლშიგან გაუო“... და ამნარადევ უოგელივე ასოს ატაბულება და დანიმნებულება გამოცხადებულია როგორც დგთის მიერ ქმნილი. ეს, რასაკირველია, სრულიად გასაგები უნდა იქნას როგორც იმდროინდელი ქრისტიანთათვის, ისე მაშმადიანთათვის. ასევე იუო დაწერილი ნემესიოთს ემეს ეჭდის ნამდგილი მეცნიერული თხზულება: „ბუნებისათვს კაცისა“. ამიტომ ეს გარემოება დიდ ნაკლად არ ჩაითვლება. იგი გამოხატავს გაბატონებული კონსერვატორული საზოგადოებრივი ფენების ღობმატურ მსოფლიმებელობას. ძეიძლება ითქვას, რომ „უსწორო კარაბადინი“ გატარებული მოძღვრება ადამიანის სოციალური ბუნების ძესახებ მთლიანად მონათმებულობელური ანდა ბატონებური საზოგადოების წესწეობილებას მექატევისება. ამ საზოგადოებრივი წესწეობილების ღროს ადამიანის უოგელივე მოქმედება დგთის განცემას უკავშირდება. ამის გამო საზოგადოების წევრ ადამიანთა უოგელივე უთანასწორობა — გონებრივი, უფლებირივი და კეონმიური — მონათა და უმათა ტანჯვა-გაებითი ცხოვრება და მათი პრომის ნაერთია. ძეთვისების ძეგლებად გაბატონებული ფენების ფუფუნებაში ცხოვრება დგთის მიერ დაწესებულ სამართლიან მოვლენად ითვლებოდა.

მაგრამ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს სალხური ცრუ რწმუნებით სარგებლობა. მართალია, ავადმეოფობათა გენეზისი და მეურნალობის წესები მეტწილად ცნობილი ექიმების სახელით არის გამოცემული, მაგრამ ზოგაც ავადმეოფობის მიზეზი გეგთვის მდაბიო სალხში გავრცელებულ ცრუ რწმენას. მაგ., ცხროს (ციებ-ცხელების) გენეზისძი ავის თვალიც ძედის (გვ. 117), ანდა მთვარიან დამეს გარეთ წოლა (გვ. 118) და სხვა.



დაგნოსტიკურ ნიმანთა ძორის არის უმჯელესი შაგრუი სამუალება, როგორც „ხელთა ბანის ნიმანი“. ავადმუოფე ხელს დაბაზნენ და ხელნაბანით ექიმი მსჯელობდა, მორჩება ავადმუოფი თუ არა. დ. პოტეტი მკილი ის აზრით, ეს ნიმანი უმჯელესი ბაბილონის მედიცინიდან უნდა მომდინარეობდეს.

დიუტისა და ჰიგიენის მხრივც არის ცრუ რწმენის ხასიათის რჩევა-დარიგება. მაგ., იანვარსა დილექციად წეალს ნე სკამო, მარტსა ტკბილსა საჭმელსა ნე სკამო, თქმობერს შევნილს ნე სკამო, ნოემბერს თავსა და ტანსა ნე დაიბაზო და სხვა (31, 27).

წამლობაშიც მრავალი ცრუ რწმენის ხასიათის სამუალებაა დასახელებული. მაგ., ერთ-ერთი ციებ-ცხელების (ცხროს) ხაწინააღმდეგო წამლთა ძორის დასახელებულია მთელი რიგი ცრუ რწმენის ხასიათის სამუალებანი: ღორის ძვალი მწვარმი გამოკარ და უელხე დაკიდეთ, ცხროანსა ერგების; ვაცი-თხის წერის; თმა, რომელიც ჯერ სამოგარსე არ გახელა, ჩვარმი გა-მოქარით და მერმე სათავეება (მკლავის ვენაა) მეაბითო, ცხრო-იანსა ერგებისო; ცხროანის ტანისამოსი მძობრარე დედაკაცს ჩაც-ვითო და მერმე, რა კაშს მობოს, ისევ ცხროიანს ჩაცვით და ერ-გებისო. მერმე ამ ცრუ წამლთა შესახებაც ნათქვამია, რომ იგი ერგების ბრძანებითა დაგთინათა (გვ. 137).

„ესწორო ქარაბადინი“, მიუხედვად მისი მრავალმხრივი ნაკლიას, უმხევლად ემსახურებოდა აღამიანის ბენების შესახებ მეცნიერეული ცოდნის გაგრცელებას საქართველოში. უნდა ვითიქ-როთ, რომ იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ სახელმძღვანელო წიგნს: მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში ქართველ ექიმთა მოსამსადებლად. მაგრამ, უსათვოდ ამ წიგნის დიდი ნაკლი, დაბალი მეცნიერეული ღონე უკვე მეთორქეტე საუკუნის ქართველ ექიმთა და მწიგნო-ბართა მიერ ქარგად იქო შეტებული და მის გამო იქო, რომ ავერთესის საჯიმო წიგნის თარგმნას მეუღლენ მამინვე, რა წაშს ეს წიგნი მათ ხელში ჩაუვარდათ.

## მოძღვრება ადამიანის განვითარების შესახებ „წიგნი საქამო“-ს მიხედვით

„წიგნი საქამო“-ს მთარგმნელი, უფრო სწორედ გადმომკეთებელი, ხოცაუ თუ ილი ა უკველია განსწავლული ქიმი იურ. მას უნდა კარგად სცოდნოდა არა მარტო არაბული და ქართული ენა, არამედ აგრეთვე არაბული სამკურნალო ლიტერატურა და იმდროინდელი ქართული მწერლობაც. მართალია, იგი მოხმარს აუარებელ არაბულსა და სპარსულ სიტევებს ტერმინების სახით, მაგრამ მთარგმნელს კარგად ესმის ამ სიტევების მნიშვნელობა და უმეტეს წილად მათ ზუსტ განმარტებასაც იძლევა შეგნიერი ქართული სიტევებით. მესამელებელია, ნაწილობრივ არაბული და სპარსული სიტევების მოხმარება იმითაც აიხსნება, რომ იმ ღროს ქართველთა მორის ეს არაბული და სპარსული სიტევები ხმარებაში იყო და ამიტომ გასაგებიც.

ცხადია, ითან ე ჰეტრიწის რომ ეთარგმნა ეს საქამო წიგნი, სულ სხვანაირად მოიქცეოდა, ისე როგორც იგი მოქალა პროგლე დიადოსთასია და ნემესიოს ემესიელის მომახას. იგი უკველა არაბულ სახელწოდებას მოუნასავდა ქართულ შესატევებს, ვინაიდან ითან ე ჰეტრიწი, როგორც თავდადებული ქართული კულტურის პატრიოტი, მიხნად ისახავდა თარი გმნის ღროსაც ქართული ტერმინოლოგიის საუკეთესოდ დამუშავებას, ქართული ენის გამდიდრებას, ბერძნელი ენის თანასწორად გახდომას.

„წიგნი საქამო“, როგორც უპვე აღვნიმეთ, საგნებით მეცნიერებლი ნაწარმოებია, არავითარ ფანტასტიკურ, მაგრამ რამეს არ ძეიცავს. არავითარი ტერმინების აღრევას და მათ უადგილო მოხმარებას ადგილი არა აქვს, რაც ბლომად მოიპოვება „უწიწორო კარაბადინძი“.

ცნობები აღამიანის ბუნების ძესახებ მოცემულია ზუსტად იალენის მიხედვით, გაცილებით უფრო ვრცლად, ვიდრე „უწიწორო კარაბადინძი“, მაგრამ ფიზიოლოგიური მოვლენების განსილებისას იგი ჩამოუგარდება ნემესიოს ემესიელის თხელების: „ბუნებისათვის კაცისა“. რადგან ეს ცნობები ზოგჯერ



მეტად დაწვრილებითაა მოცემული, ჩვენ აქ მოვიკვახთ მხრიდან მნიშვნელოვან ცნობებს. ეს ცნობები მეტწილად დადგენილი იყო ბერძენ ფილოსოფოს ექიმთა მიერ და მთელი სამუალო საუბრების განმავლობაში მიჩნეული იყო ადამიანის ბუნებისა და სამკურნალო მეცნიერების თიდ მიღწევად.

ადამიანის ბუნების გაცემისათვის და მკურნალობისათვის საჭიროა ორი რამის ცოდნა, ამბობს ავტორი. პირველი: „რომელ ბუნებანი იცოდეს სიმრთელისანი“, ე. ი. ჯანმრთელობის ბუნების ცოდნა ანუ ფიზიოლოგიის ცოდნა, და მეორე: „რამის მიზეზისაგან დასწეულდა“, ე. ი. პათოლოგიის საფუძვლები. სიმრთელის ბუნებას განსაზღვრავენ ძემდევი მთავარი მიზეზები — ძალები, არაბულად უსთუესები: დამაშადებელი, სახის მიმღემი და გამასრულებელი ძალი. ეს ძალები წარმომადენ ერველ არსებ სულიერსა და უსულოს და, პირობადებენ ცოცხალი სხეულის სიმრთელეს.

ადამიანის ბუნების პირობადებულ მიზეზად აგრეთვე გამოცხადებულია ძვირი დამხმარე ძალი: 1. სტიქიონები: ცეცლი, ჰაერი, მიწა და წელი; 2. სხეულის მთავარი ელემენტები: სისხლი, ზაფრა (კვითელი ნაღველი), ბალდამი (ლორწო), სევდა (ძავი ნაღველი); 3. სხეულის ტემპერატური, ხასიათი, რომელიც ამ ელემენტთა ძერევით წარმოიძობა; 4. ასითა ძალი, რომელსაც უღველი ასო ძეიცავს; 5. ძვალთა ძალი; 6. ამ ელემენტთა წონასწორობაში მოქანად ძალი და 7. გამწმენდელი ძალი. აი, ამ ძვირი ძალის წონასწორობის მოძლა ამა თუ იმ დავადებას იწვევს.

უსთუესების, ე. ი. მთავარი ძალების, გარევა-ძეზავებით წარმოიძოა. სხეულის ესა თუ ის ბუნება: მსურვალე, გრილი, ნედლი და ხმელი. სხვანაირი გარევა-ძეზავებით წარმოიძობა მსურვალი და ნედლი, მსურვალი და ხმელი, გრილი და ნედლი, გრილი და ხმელი. გარევა-ძეზავება სწორია, როდესაც ძემაღებელი ნაწილები თანაბარია. ამ ძემთხვევაში ჯანმრთელობა გვაძეს. როდესაც ნაწილთა თანაბრობას ადგილი არა აქვს, გარევა-ძეზავება ფერად-ფერადია, სხვადასხვა, მაშინ ასეთ ძედების კლებულობთ: თუ

სხეულში ცეცხლის ნაწილი მეტია, ბუნება მისი მხერვალებზე მიწა მეტია, ბუნება ხმელია; თუ ცეცხლი და ჰაერი მეტია, ბუნება მხერვალე და ხმელია, ხოლო თუ ჰაერი და წეალი მეტია, ბუნება გრილი და ნედლია.

ამასთან ავტორი შეხიძნავს, რომ ნამდვილად „სწორი ბუნებად“ ადამიანის ტანძი არ არის, ე. ი. სრულეოფილი კან-მრთელობა ადამიანის სხეულს არ აქვს, არის მხოლოდ ის, რომ „ბუნება კაცისა სისწორისაკენ იქნა“, ე. ი. სრული კანმრთელობისაკენ ისწრაფოს.

ამასთან აღინიშნება, რომ სოფლისა და ეოველიკე მის ძირი მდებარე არის ძირითად ძალთა ფერად-ფერადი გარევით წარმოიმობა და ძასთან ეს წარმოებს შეწევნითა და ძალითა ღვთი-სათა, ვინაიდან თითო ფერი, ე. ი. ფორმა ანუ ხასიათი, თითო ანსისა ღმერთის ღუბაღებია. ამას იმიტომ ვისტენიებთ, დასქნეს ავტორი, რომ არგინ თქვას „თუ ძველთა ექიმთა ეტლი (მიზე-ზი) და მეცნიერება არ ცოდნია“ (პ. 172). აქ მოცემულია ავი-ცენას მსოფლმხედველობა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გმირნდა ლაპარაკი, ე. ი. ფორმისანი არსის გამოვლინება მარადიულად ცვალებადი მატერიასაგან ღვთაებრივი ძალის ანუ ღვთაებრივი მინეზის ჩარევით წარმოებით.

ტანძი, ე. ი. კაცის სხეულის ელემენტარულ შემაღენლობაზე დაწვრილებითი ცნობებია მოცემული ზემოთ მოუგანილ ბუნებრივ ძალთა თვალიაზრისით.

როგორც საზოგადოდ ცნობილათ, კაცი ოთხი ბუნებრივი არსისაგან დაიბადა: წელის, ცეცხლის, ჰაერისა და მიწისაგან. ეს ოთხივე ბუნება ერთმანეთის ურჩინი არიან, მაგრამ დამბადველმა „ესე ოთხი ურჩინი ერთმანეთისანი დამორჩილნა კაცისა ტანძა ძიგან“ (პ. 15). მემდებ ამისა ჯერ ადამიანის ემბრიო-ნალურ განვითარებას ეხება, რომელზედაც ჩვენ არ მეგზერდებით, და მერმე გადადის. ორგანოთა ანატომია-ფიზიოლოგიაზე. პირ-ელად ეხება კაცის სხეულის შემაღენელი ელემენტარული სი-თხების ბუნებას. სისხლის ბუნება მხერვალე და ნედლია და მისი

ადგილი ჭაცის ტანძა, ე. ი. სისულის კველა ნაწილში. ბალდების ბუნება გრილი და ნედლია და მისი ადგილი ტეირიშძა; ზაფრის (წითელი ნაღველის) ბუნება მხერვალე და ხმელია, მასი ადგილი ნაღველშია (ე. ი. ნაღვლის ბუმტბი); სევდის (მავი ნაღვლის) ბუნება გრილი და ხმელია, მისი ადგილი კლენთაში არის. დღეგანდელი ბაგებით, ტეირბი იგივე ელენთა, მხოლოდ ნორმაზე დიდი ოდენობისა, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთი აგადმეოფობისას. მემდებ ამას მისდევს განმარტება, თუ რომელიმე ელემენტის არასწორი მეფარდებისას აღამიანის ბუნებაში რანაირი ცელილება გამოიწვევა. მაგრამ კველა ეს ცნობა საკულტოებიდა და მას არავითარი ფაქტოირი საფუძველი სინაბეჭილები არა აქვს. ეს ფილოსოფიური მოძღვრება ცოცხალი სხეულის ელემენტარული თვისებების მესახებ პიროვნული ძირი გამოთქმული კონცენტიის საკულაციური განვითარების ძეგლის უნდა წარმოადგენდეს.

ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნობები მეტილად გალენის მრომებს შექსალებისება. ასოების ანუ ორგანოების დანიმუშლება დაწვრილებითა მოცემული ტელეოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ეს გალენის ახასიათებს. თავდაპირებულად აღნიმნულია აღამიანის ჩასახვა და ჩანასახის ემბრიონული განვითარება. ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობებია მოცემული უმთავრესად არის ტომელეს გამოყლევის მიხედვით.

მემდებ მცლების აღწერილობა მოსდევს; არა მარტო მათი რიცხვი და სახელწოდება არის მოცემული, არამედ აგრეთვე მათი მდებარეობისა და ფორმის მოკლე აღწერილობა და ტელეოლოგიური დანიმუშლება. სხვათა მორის, ნათქვამია, რომ ზერგის მცალი (ე. ი. სერხემალი) 24 მმივისაგან (მალისაგან) მეღვება. ეს მძივები კველა ერთმანეთზეა მოკიდებული მაგრად. თითოს მეტ სინერგე გაივლის, რომ საქციელი (ჩასარი) არ გახმეს, არ გამაცრდეს. თუ გახმება, კაცი მეტისაგრ უმომრაო გახდება. თითო მძივს ბეჭრდებიდან თრი ხვრელი აქვს. ამ ხვრელით თითო საქციელიდან—სახსრიდან—ცოტა ტეირისა გამოსული მარღვის სახით. აქ იგულისმება მაღთა-შეს ნერვული გვანძი.

წიბონი მკალი (ე. ი. ნეკნები) ოცდაოთხია თრივე ქრისტიანი ამათგან 14 მოკიდებულია (მიმაგრებულია) ზურგის მმივებზე და თავით მოკიდებულია მკერდის მკალზე. 10 კიდევ მოკიდებულია ზურგის მმივებზე და მეორე თავი მეა მკალზე (ე. ი. ძევრდის ძალზე) დაკიდებული. ეს მკალი მუცლის მცველი არიან. მათი სიმრგვლის გამო მუცელი მეტს ჩაიტეს (გვ. 17—19). ამნაირივე ცნობები იძლევა სხვა ძვლებზე. ეს ცნობები ზედმიწევნით სწორია.

კაცის ტანძი სამი ასოა მთავარით: გული, ტვინი და ღვიძლი. მეორდება „უსწორო კარაბაზინის“ ცნობა.

ტვინის ადგილი თავშია. ტვინი უმთავრესად თვალისათვის არის, თვალი კი ბეჭაბა ტანძია. თვალთა სინათლე თრიანირა: ერთი — დანასხა, მეორე — გაგება დანასხლის მნიშვნელობისა. ტვინის ბუნება გრილი და ნედლია. იგი ძეგს ორ ფარდაგთა მეა ჰეთას ჭავშ. ამ ფარდაგების მდებარეობაზე გაურკვევლად არის ნათქვამი. ერთ მათგანს, გარეგანს, ცხვირის ხვრელს უკავშირებს. თვითონ ტვინის აღნაპობაზე სულ ცოტა რამ არის ნათქვამი: თავის ტვინი სამ ბუტენისაგან, ე. ი. ტვინის ნაწილისაგან შედება. პირველი ბუტენი, ნაწილი, შებლისაკენ არის და მისი დიდი ნაწილი ორმხრივია. აქ იგულისხმება მთელი თავის ტვინის წინა ნაწილი ჰემისფეროებით. მათ მეა წითელი მარლვებიათ, ზოგი მფეთქელი, ზოგი წენარით. აქედან იწევბა ორი ღრუ მარლვი თვალის ტეტისაკენ და სინათლეს ამ მარლვებით ღებულობით; იგულისხმება სამხედველო ხერვები.

ტვინის მეორე ნაწილი „ცნობის და შენების ადგილი არის“. არ არის ნათქვამი, სად არის ეს ნაწილი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი თავის ტვინის უკანა ნაწილია; მეიძლება მსედველობაში ჰქონდათ ნათებები. მესამე ნაწილი „ნწავლისა მოგონების აზიალი არის“. ეს ბუტენი „უკველთა ფარათა (ნერვთა) მეა არის“ და ჰველაზე ჟატარა; აქ უნდა ვიგულისხმოთ მოგრძო და მეა ტვინი (გვ. 19—20).

ბული მურვალე და სმელია. იგი ძევრდის ჭვეშ არის მარცხენა მსარეზე. ბულის ტეავი (ჰედელი) მაგარი სორცისაგან არის და მაგარ ბუღეში ზის. ბული ცხოველური სულის ადგილია და სიცოცხლის სათავო. გულის ბუნებრივ სიმხერვალეზე

დამოკიდებულია ტანის არსებობა. გულს ორი უკრო და თრი უკრო მუცელი აქვს. მარჯვენა მუცელი ერთი მარღვით სისხლის იზიდავს დვიმლიდან, მეორე მარღვით გული ამ საზრდოს გასცემს. მარცხენა მუცელსაც ორი მარღვი აქვს, ერთი ჰაერისათვის, რომელიც ფირტვისაგან (ფილტვისაგან) მოდის და გულს აკრილებს, მეორე დიდი მფეთქელი მარღვია, რომელიც უკელა მფეთქელ მარღვთა სათავნოა და რომლის საშალებით გული სიმსურვალეს უკელა ასოს მიაწვდის. თუ რომელიმე ასოს მფეთქელი მარღვი დაზიანდეს, ასოს სიმსურვალე მოესპოს, „იგი ასო უხმარად გახდესო“ (გვ. 20).

უკელა ასოს სიმსურვალე და აგრეთვე ნივთიერებაც იმ, სისხლისაგან იქმნება, რომელიც გულშია. თუ ეს სისხლი „გაიცინოს, კაცი მოკვდების“. ეს ცნობები გულის შესახებ არ ას ტოტელეს მიხედვით არის მოცემული და ბევრ რაშემი სინამდვილეს შეფერება.

დვიმლი ბუნებით მუცელად და ნედლია. იგი მკერდის ქვეშ ცოტა ქვემიდან მარჯვენა მხარეზე მდებარეობს. მისი სახე ერთი პეირის მთვარესა ჰგავს და სტომაქს ფარავს. ზემოდან დვიმლი ნაღვლით, ე. ი. სანაღვლო ბეჭრით, არის მოფენილი. სტომაქი საჭამალს ნაღვლისა და დვიმლის სიმსურვალე შეპბოლავს; (მოხარძეს), აქედან სინედლესა და ნამს დვიმლი თავისაეკნ იზიდავს, როგორც ხე ნამს მიწისაგან, და სისხლად აქცევს. შემდეგ ამ სისხლს „საზომისაებრ“ ეოველთა ასოთა გაუკოფს და აპიტომ ღვიძლის ტანისა ელეფის მიმცემული ჰქვიანო; თუ რომ რომელიმე ასოს მარღვი შეიკრა, მაშინ „ახო გაუკითლდების და დასწენების-ო“ (გვ. 21).

ღვიძლის ფენცია ისეა მოცემული, როგორც ეს არ ას ტოტელესა და გაღენს ახასიათებს.

**მლენთა** (პირველად ბეჭედება ეს სახელწოდება ქართულ მელ მწერლობაში, მელად ტუირბი ეწოდებოდა) გრილი და ხმელია. იგი მავი ნაღვლის (სევდის) სახლია. იგი მდებარეობს მარცხენა ბეჭედში. გრილი და ბრტყელია, როგორც მროხის ენა. ერთი დიდი მარღვით კლენთა სტომაქს უკავშირდება. ამით

კუჭიდან სევდა ელენთაში გადადის. მეორე მარდვით სისხლის ნარჩენს სტომაქიდან მიმდებლობს. ამამი მდგომარეობს ელენთის სარგებლობათ. ელენთა ფედუროა, ამიტომ რომ „მით მსხვილთა და დიდთა მანკთა სევდისასა მოსწოვს“ (გვ. 21).

მის წარმავლობაზე, რომ იგი დმერთის მიერ არაა წარმოებული  
(იხ. ხტრ. 1492):

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს (ე. ი. დიონისე) გააცადებს:  
ღმერთი კარგსა მოაცელინებს და ბოროტსა არ დაბადებს,  
ავსა წამ-ერთ შეამოყლებს, კარგსა ხან-გრძლად გააცელადებს,  
თავსა მისა უკეთესსა უხადო-ჰყოფს, აო აზადებს\*.

მრავალ ადგილას ეს აზრი არის გამართლებული უკვე მისი  
კრძირების მიერ, როდენაც ტარიელ-ავთანდილის თავგადასავალი  
ბეჭნიერად დამთავრდა, ძაგ., ავთანდილი ამბობს (ხტრ. 1361):

„შე მოცვეაზლა, უკუნი ჩევნოვის აღარა ბრელია,  
ბოროტსა ძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

აგრეთვე ფატმანი (ხტრ. 1435) იტევის:

„ღმერთო, რა გმისაშურო, განმინათლდა რაოგან ბეჭლი!  
ვკან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელია!“

„ვეფხისტეაოსანმი“ აგრეთვე მოცემულია დიონისე-  
პეტრე იბერიელის იდეა სამეაროს იერარქიულ წევბაზე.  
ავთანდილი წერს თავის ანდერმძი (ხტრ. 790):

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფისთა ბრძნობასა,  
მით ვისწავლებით, მოცემულ შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. ნუციუბიძე რუსულად ასე გადმოგვცემს ამ აფგილს:

Если действовать не будешь, ни к чему ума палата.

Цель познания в том, чтобы влиться в стройность

высшего уклада.

ამ სტროფში ნათლად არის გამოუგანილი, კერ ურთიერთი მეტად ადამიანი თავის განსწავლისას, ცოდნის სრულებოფისას შეერთვის სამეაროს უზენაეს საფეხურს, ე. ი. იმ „ერთს“, იმ მიზენს, რომელმაც საზოგადოდ ადამიანი წარმომვა; კიდევ ის, რომ ადამიანს ასეთი განსწავლა-ცოდნა არას არ გვის, თუ იგი არ მოქმედებს.

იგივე აზრია გატარებული მემდებ სტროფში (სტრ. 902):

„არას გარებებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულას:

მა იხმარებ, რა ხელსა მხდა საუნჯესა დაუარულსაც“

აზრი ნათელია: ცოდნაშ, თეორიაშ ადამიანის ცხოვრება რომ გაუშვობესოს, იგი გააბეჭდიეროს, საჭიროა საქმიანობა, პრაქტიკა ამ ცოდნის მიხედვით.

ბოროტება და უბედურება „კეფის სტუათისანშია“ ადამიანს ემართება ადამიანების განვე პირველ რიგში და საზოგადოდ ამ სოფელში ცხოვრების პირობები იწვევენ ადამიანის ტანჯვა-ვაებას, თუმცა საბოლოო გამარჯვება და დამარცხება განვებისა და დკონის თანახმად სდება. რესთაველი ამბობს (სტრ. 951):

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას ვეაბრუნვებ, რა წერ გვირსა!

ყოვლი შენი მონაცობილი ნიადაგმუა ჩემები ტირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღვეზებო სადიოთ ძირსა?!

მაგრა ღმერთი არ გაწირავს კაცას, ზენგან გამაშირსა“.

ეს სტროფი გვეუძნება, რომ ღმერთი კეთილია, ადამიანში მეიძლება მრავალი ტანჯვა განიცადოს ამ სოფელში, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს; მასით.

ვინაიდან წინასწარ არ შეიძლება ვიგარაუდოთ, როგორი ბედი მოგვევის, როგორია განვების ნება, ადამიანი უნდა განუწვევებლივ იძრმოდეს ეთველნაირ უბედობაზე გამარჯვებისათვის. ავთანდილი ასე არცენებს უბედობის შეგნებით სასოწარკვეთილებაძი ჩავარდნილ ტარიელს (სტრ. 875):

„აამს მამაცი მამაცური, სკობს, რასომცა ნელად ტირსა.

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ჭირტკორსა,

თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“.

შემდგომ ამისა ავთანდილი გამოიქვამს (სტრ. 877):

„ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ საბმილი (ც. ი. დეცლი) სდებიან?

ვის არ უნახვან პატივინ, ვისუფეს ვინ არა ბრდებიან?

მითხარ, უსახო რა ქმნილა, სული რად ამოგზდებიან?

არ იცი, ვარდი უკულოდ არავის მოუკრებიან!“

ასეთი შერცხვენის შემდეგ ავთანდილი ტარიელს მოუწოდებს აქტივობას, ცხენებე მევადომას, იმის გაკეთებას, რაც არა სწადიან.

### მერმე ავთანდილი (სტრ. 887)

ერცვის: „თუ მოქავე, არას რგებ ქცევითა მავ თხერითა?

წუ იქმ, არა სჯობს საჭმითა, წუ ხარ თავისა მტერითა.“

ავთანდილისა და ტარიელის შელაპარაკებიდან და შემდგომი მათი საქციელიდან (ქვაბისკენ წასკლა, სადაც ასმათი ბინადრობდა) და მთელი შემდგომი ისტორიიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ სოფლად ანუ დედმიწაზე საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ მაჟენებულმა მწესარებამ არ უნდა მიიღვანოს ადამიანი სასოწარკვეთილებამდის, გამტერებამდის, ბრძოლის შეწევეტამდის. გაორკეცებული საქმიანობა, ხელახლად შებრძოლება, რწმენა კეთილის გამარჯვებისა თავდება იმისა, რომ ბედი შემოტრიალდება, კეთილი საბოლოოდ გაიმარჯვებს ბოროტებაზე, ე. ი. კონკრეტულად რომ ვთქვათ, გაიმარჯვებს საზოგადოებრივი ბედნიერი ცხოვრების მთავარი საფუძველი: საზოგადოების წევრთა სიუვარული ერთმანეთისადმი და მათი თავდაღებული მეგობრობა.

„კეფხისტეაოსანში“ ღმერთი, განგება, ბედი ერთნაირი სახით გაძოვლინდება ადამიანის ქცევაში. უზენაესი მაღა, რომლის მიხეხით მთელი სამეარო და კერძოდ ადამიანი წარმოიშა, უძულოდ არ ერევა ადამიანის დაბადებაში, მის ზრდა-განვითარებაში, ბოლოს მის სიკედილში, და არც შეუძლია ჩაერიოს. უზენაესი მაღა გაძოვლინდება უკლაფერში: სამეაროს მომრაობაში, ადამიანის უოფაქცევაში, მაგრამ როგორც სამეაროს მომრაობა, ისე ადამიანის სიცოცხლე, მისი ბედნიერი თუ უბედური ცხოვ-

რეგბა დამოკიდებულია მათ შინაგან თავისებურებასა და გარემონტაჲ პირობებზე, რომელიც ისინი იმეოფებიან. კველაფერი ეს ნათლად გამომდინარებს იმ დებულებიდან, რომ უოველივე სელი-დგმული თავისი მსგავსისაგან იძაღება (სტრ. 1323): „მსგავსი უკელაი მსგავსისა ძობს, ესე ბრენთაგან თქმულია“. ადამიანი იძაღება განსახლევრული სახით, კ. ი. დამახასიათებელი ნიშნებით. „მითხარ, უსახო რა ქმნილა, სელი რად ამოგხდებან?“ (სტრ. 877). მემდებ ადამიანი თავის სიცოცხლის მანძილზე განიცდის უამრავ გაჭირებას: „ვის არ უნახებ პატივნი, ვისთვის ვინ არა ბნელიან?“ (სტრ. 877). მაგრამ ამ სოფელს არ შეიძლება გაექცე თავისი ნებით: „ვისთვის ჰყვდები. ვერ მიჰევდები, თუ სოფელსა მოიმულებ“ (სტრ. 876). ადამიანი დაიბადა სოფელში, სახოგადოებაში, მთელ სიცოცხლეს გაარარებს აქ, სოფლად, მიუხედავ იმისა, რომ „ეოვლი მენი (სოფლის) მონდობილი ნიაღაგმა ჩემებრ ტირსა“ (სტრ. 951). თუმცა უკელა განიცდის ტანჯვა-გაებას ამ სოფელში, მაგრამ სხვადასხვანაირად: „პაცი არ კველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ (სტრ. 952). საბოლოოდ კი უკელაფერი კეთილია. ადამიანი იბრძვის თავისა და თავისი სახოგადოების ცხოვრების საკუთილდღეოდ. რაგინდ რანაირად არ დამთავრდეს დღეს ეს ბრძოლა, საბოლოოდ სასარტყებლო ძედეგი უცილებელია:

„მაგრა ღმერთი არ გასწირაჲს კაცსა, შენგან განაწირსა“ (სტრ. 95).

სხირად, როდესაც ღმერთი ისხენიება, როგორც ადამიანის ბედის დამწერი, იქვე საზღასმით არის აღნიშნული, რომ მის ბედსა და უბედობას მიწიური გარეგანი მაღები განსახლევრავენ. როდესაც მეფე როსტევნანი წუხილს მიეცა და ღმერთის ემდურებოდა, რომ უცნობი მოტირალი რაინდის ძესახებ კერაფერი ცნობა ვერ მიიღო, თინათინმა მას ასეთი სიტყვებით მიმართა (სტრ. 113):

„ჲე, მეფეო! რად ემდურევი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?  
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მსედსა?  
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!!“



ეს სტროფი გვეუბნება, რომ ღმერთი მსოლოდ მაგეთის კა  
მომცემია, რომ უძედური ძემთხვევა სოფლის საქმეა, რომ ამამი  
ღმერთი და ბედი არაფერ ძეამია. ამ ხიტების გაგრძელებიდან  
ჩანს, რომ როსტევანის წადილი დაქმაუოფილებული იქნება, თუ  
რომ იგი იმ უცნობი რაინდის ძებნას განაგრძობს.

ითან პეტრიწისა და პროკლე ღიაღოსთხის  
ფილოსოფიური გაგება „ერთი“ საწევისია და უკელა არსის ამ  
საწევისში მონაწილეობისა აგრეთვე მოცემულია „ვეფხისტეათხან-  
ში“. ფრიდონის მეომართა დახოცვის ძესახებ ქავეთში მეფე  
ეტევის ფრიდონს (სტრ. 1455):

მეფე იტევის: „ძმათა თქვენთა თავნი ჩენოფვის დაიხოცნეს,  
იგი შეგება საუკუნის ცადად პოვეს, არ იოცნეს,  
ერთსა მიმხდეს სახიაროდ, დიდებანი იასოცნეს“<sup>1</sup>.

ამ სტროფი ფრაზა „ერთსა მიმხდეს სახიაროდ“ (сочу-  
частвовать в едином) ნეობლატონიური წარმომბისაა  
და პეტრიწის მოძღვრებისთვისაც დამახასიათებელი. იგი  
ბელისმობს, რომ უოველი არსი თუ მოვლენა წარმოიმობა ერ-  
თის საწევისიდან, როგორც ქვეუნიერების მიზეზისაგან, და მასშე  
უბრუნდება.

იგივე აზრია გამოხატული სტრ. 792-ში. ავთანდილი მო-  
ისხენიებს ღმერთს როგორც უოველის ძემმდეს, უოვლის მიწიე-  
რის ძემწე უხილავ მალას, რომელიც უველავერს სახლვარს უდებს.  
ამ სტროფს რესთაველი პატლავებს ასე:

„იგი გამდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასა ერთად“.

ეს აზრი პირდაპირ გადმოდებულია პეტრიწის მრომი-  
დან, რომელმაც ანტიკური ბერმძული ფილოსოფიის გამოთქმა  
„ერთი და მრავალი“ გადაჭითა „ერთი და ასიხ“. ფორმულად-

<sup>1</sup> შ. ნუცუბიძე ამ სტროფს ოუსულად ასე თარგმნის:

Молвил царь: За наше дело не один погиб ваш брат,  
Вечной славой озаряясь, к небесам они летят  
Соучаствовать в едином. Мы прославим их стократ.

სულისა და სორცის ღაუცილებელი ერთიანობა არ იყენდა  
ადამიანში, მათ მორის მიზეზობრივი კავშირი და სხეულის პირ-  
ველადობა ადამიანის უოფაქცევაში, მშვენივრად არის გამოსატუ-  
ლი 789-ე სტროფი. ავთანდილი ამბობს:

„მე სიტყვასა ერთსა გადატბდ, პლატონისგან სწავლა თქმულა:  
„სიცრულ და ორპირობა აკრებს ხორცა, მერმე სულსა.“

როგორც მ. ნ უც უბიძე სამართლიანად ფიქრობს, პლა-  
ტონს არ უნდა ჰქონდეს გამოთქმული ასეთი აზრი, იგი პირ-  
იქითს ამტკიცებდა. ეს წმინდა მატერიალისტური აზრი უმუალოდ  
რესთაველს უნდა ეკუთვნოდეს.

თვით სიყვარულიც კი, რომელიც ადამიანის ფიქტიური  
განცდის უძალლები ფორმა, სხეულში ბინადრობს, მასშია დათვ-  
სილი. ავთანდილი ღმერთს მიმართავს (სტრ. 810).

„ღმერთო, ღმერთო, გვაჯები, რომელი ჰულო ქვეყნ-დ ზესა,  
შენ დაბადე მიუჩერობა, შენ აწესებ მისა წესა,  
მე სოფლელმან მოამზორვა უკეთესა ჩემსა მხესა,  
ნუ აღმოსტხური სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანაწესა!“

სიყვარულის გრძნობის არსი აქ მოცემულია როგორც სორც-  
მესხმელი თქველი, რომელიც ორგანიზმია დათვესილი. უკანასკა-  
ნელ სტრიქონს მ. ნ უც უბიძე თარგმნის ასე: „Не ис-  
торгни семя страсти, мне посейшное в кровь“. აღსა-  
ნინნავია, რომ სტროედ ამ სორცმესხმელ სიყვარულს რესთავე-  
ლი თვლის თვისი სიმდერის საგნად, როგორც ამას მე-21  
სტროფი იძლევა:

„ოუკვენ ბელობანი ქუნანი, რომელნი ხორცია პშვდებიან;  
მართ მასვე ჰბაძენ, თუ იდეს ამ სიქენ, შორით ბნდებიან“.¹

რესთაველ ს გერ წარმოუდგენია ადამიანი უსორცოდ, უს-  
ხელოდ, როგორც ამას ქაჯებზე ფიქრობდნენ. ფატმანი განუ-  
მარტავს ავთანდილს, რომ ქაჯებს უწოდებენ იმიტომ, რომ ისინი

¹ მ. ნ უც უბიძე ამას რუსულად ასე გადმოვცემს:  
„И воспел лишь плоть земную, красоту ее влечений,  
Не распутных, а томящих жаждой высших наслаждений“.

არაჩვეულებრივი წესებით ომობენ, რის გამოც მათი დამსრტებას მეტად მნიშვნელია.

„თვალი ფიცა კაცია ჩვეობროვ ზორიელანი“ (სტრ. 1249)<sup>1</sup>.

რუსთაველის ეს შეხედულება ხორცისა და სულის აუცილებელ ერთიანობაზე და ხორცის პირველადობაზე ამ ერთიანობაში ეწინააღმდეგება ნეოპლატონიკურ ფილოსოფიას. თანახმად ამ ფილოსოფიის მთავარი იდეისა, ქვეყნის სიკეთე და სიმშვენიერება გავმირებულია ღმერთთან, „ერთთან“. ერთგვარი იერარქიდათ „ერთიდან“ გამომდინარე სინათლე, მიაღწიეს რა მიწიერს, აპირობებს მის სიკეთეს, სიმშვენიერეს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, რუსთაველი მრავალჯერ იძლევა ამ ფილოსოფიის დამახასიათებელ ნიმუშებს, მაგრამ ამასთან ერთად რუსთაველის პერნიდა აგრეთვე რეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც მან თვითონ შეიძუმავა იმდროინდელი სოციალური ცხოვრების ზეგავლენით, იგი უნდა წარმოიქმნა „ქვეყნიერი ცხოვრების დარებულებისა და მშვენიერების შეგნებას“, რაც დამახასიათებელი უნდა ეოფილიერ მაპინდელი გამარჯვებული მმართველი წრებისათვის. ეს უნდა ეოფილიერ მისი ფილოსოფიური აზროვნების გამოხატვი, მაგრამ მრავალ ფილოსოფიურ საკითხში იგი მისდევდა იმავე მმართველ წრებში გაბარინებულ ჟერრიტის ნეოპლატონიკურ ფილოსოფიას.

რუსთაველის „ვეფხისტუარსანში“ მოცემული შეხედულება ადამიანის ბუნების შესახებ გხება თანაბრად როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს. იგი ამ საკითხზე არა ერთ მხატვრულ მაგალითს იძლევა. მისი აფორიზმი: „ლეგვი ლომისა სწორია, მე იქნო თუნდა ხეადია“ საუკეთესოდ გამოხატავს იმ დებულებას, რომ მამაკაცი და დედაკაცი როგორც ბიოლოგიურად, ისე სოციალურად თანასწორი სრულეოფილი ადამიანები არიან, რომ ქალი დაბაზებილანვე არაა უსრულო არსება, მხოლოდ წარილის

<sup>1</sup> დაწვრილებით რუსთაველის მოფლმხედველობას იმ. შ. წუცუბიძის შრომა: Руставели и восточный ренессанс, 1942.

ამჟოლი, როგორი აზრიც იმ დროს მესულმანთა ქვეუნებში იქმნა გაბატონებული. ქალი „ვეფხისტეაოსანში“ არც მორალურად და არც ინტელექტუალურად არ ჩამოუგარდება მამაკაცს. ამის მტკიცებისათვის რესთავების პერნდა მშვენიერი ისტორიული მაგალითი, თამარის ბრძნული მეფობა. ქალის იდეალური ტიპის განსახიერებას რესთავები იძლევა ნესტან-დარეჯანში. ქალი ნესტანი მოერთა საკუთარ წადილს და აძლევს მამაკაცს — ტარიელს — არა ერთ ბრძნულ დარიგებას სამშობლოს საკუთარ დღეოდ<sup>1</sup>.

საბოლოოდ ჩვენ ასე გვესახება რესისაველის შეოფლმენედევულობა ადამიანის სოფიალური ბუნების მექანები. — ადამიანი სორცისა და სელის ერთიანობის მატარებელია; სორციელი მასში პირებელადია; მის ცვალებადობაზე დამკიდებულებით იცვლება სელიც. ეოგველივე ძანცდა, კერძოდ სიუგარული, სორცის განსაზღვრული მოქმედების მედებია.

ადამიანის ეოგველივე ქცევა მეტირობებულია გარემოს სოციალური პირობებით. როდესაც ეს პირობები სელი არ უწეობენ ადამიანის პირად კმართვას, ბეჭნიერებას, ადამიანი უნდა იბრძოდეს, რომ ეს პირობები შეცვალოს თავის სასარგებლოდ.

ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მატარებელს, მრავალი ვალდებულება აქვს ამ საზოგადოების წინაშე. მაგრამ არის ისეთი პირადი მდგომარეობა-კანცლ, როგორც ურთიერთის სიუგარული და მეგობრობა, რომლის საფუძველზე ადამიანმა მეიძლება დროებით მიატოვოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი.

ადამიანის ბედ-იღბალი საზოგადოებრივი ცხოვრები და მოკიდებულია მასზე და იმ საზოგადოებაზე, რომელშიც იგი ცხოვრობს. რაგინდ ცუდ მდგომარეობამა არ იმეოფებოდეს, ადამიანმა არ უნდა მეწევიტოს ბრძოლა უკეთესი მომავლისაკენ, არ უნდა მიეცეს სასოწარევეთილებას.

<sup>1</sup> ალ. ბარაშიძე, ნარკევები, ტ. I, გვ. 217—220, 1945.

დმერთი, ანუ ის უზენაესი მაღა, რომლის მიზეზით მთელი მოძღვრული და კერძოდ ადამიანი და სხვა ცოცხალი არსებანი წარმოიძგნენ, უსილავია და უცნობია. მაგრამ იგი გამოიკლინება მთელი საშეაროსა და კერძოდ ცოცხალ არსებათა მომრაობაში.

უზენაესი მაღა—სიკუთხ და სინათლე—გაფანტულია მთელ ქვეყნიერებაზე. ადამიანში იგი მოცემულია სულის სახით, რომელიც გამოიკლინება, როდენაც მთავარი სტიქიური ელემენტები — ცეცხლი, წელი, მიწა და ჰაერი — განსაზღვრულ ჭიდრო პატიორში იმუოფებიან. თუ ეს კავშირი იძლება, სულიერი შდგომარეობა ისპობა, ადამიანი კვდება. ამ კავშირის დამღა კი შეპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გარეგანი და შინაგანი პირობებით და არ არის დამოკიდებული რაღაც ზეციერზე, რაღაც უსორცო მაღაზე.

განგება იგივე ბედა. თუ ადამიანის ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, მაშინ იტევიან კარგი ბედი ჰქონდათ, თუ ადამიანი დამარცხედა, მაშინ იტევიან ბედი არ უგარებათ. სხვანაირად, გამარჯვებას და დამარცხებასაც განგებას, ღვთის ნებას შიაწერენ. მაგრამ რუსთაველი არ ბელისხმობს, რომ დმერთი, როგორც ეოვლისძემდე და ძემოქმედი, ერეოდეს ადამიანის საქმიანობაში და თავის სურვილისამებრ წარმართვდეს მას. თვით ადამიანის ძობაც კი არაა მასზე დამოკიდებული.

ადამიანი თავის განსწავლისას შეერთვის საშეაროს უმაღლეს საფეხურს, იმ „ერთს“, იმ მიზესს, რომლითაც იგი წარმოიძგა. მაგრამ სწავლა, ცოდნა თავისთვის არაა საკმარისი ადამიანის ცხოვრების სურველოფისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის. ამისათვის საჭიროა საქმიანობა, პრაქტიკა ამ ცოდნის მიხედვით.

ასეთია შოთა რუსთაველისა და, მაძასადამე, ასეთი იუთ თამარის დროის განათლებული სახოგადოების ფილოსოფიური ძეხედულება ადამიანის სოციალურ ბუნებაზე.

მართალია, უკელაფერი ეს სახოგადოდ ადამიანის სოციალურ ბუნებას, მის სახოგადოებრივ მოქმედებას ძეგება, მაგრამ აქ

“გულისხმება არა სახოგადოების კველა ფენა, არამედ მხრლოდ გაბატონებული კლასისა. როდესაც მას მხედველობაში ჰქავს შემა, ბლახაქნი, არამეტონენი, მონები, იგი სხვანაირად მსჯელობს. ესენი უნდა სამედამოდ კმაუთფილნი იუვნენო თავისი სოციალური მდგრმარეობით. ეს ბედის მიერ არის დაკანონებული და მისი ძევფლა ძევძლებელიათ. რუსთაველი აცხადებს (სტრ. II):

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბრობდეს:  
მურა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვობდეს“.

პატრიონთა ძინამოსაშეახურე და მოლაშქრე მონებს ეკუთვნოდენ. „გეფხისტეათისნის“ მიხედვით მონა მოკლებულია ერველივე უფლებების. მონის მორჩილება, ერთგულება, სამსახური პატრიონებისადმი გარდაუვალ კანონს წარმოადგენდა<sup>1</sup>.

მაგრამ რუსთაველი, როგორც რენესანსის, ჟუმანიზმის საუკუთხოს წარმომადგენელი, სავალდებულოდ მიიჩნევს პატრიონთა მიერ სიუგარელის, ლმობიერების, ქველმოქმედების გამოკლინებას მუშებისა და გლახაკებისადმი, მონებისა და უმებისადმი. მაგ., ავთანდილი წერს თავისი ანდერმძი (სტრ. 803):

„მიეც გლახაკთა საჭრებლე, ათავისუფლე მონები,  
შენ დააძლიდრე ყოველი, ობოლი არასმეონები“.

საზოგადოდ რუსთაველის იდეალი იქო, რომ ბატონ-პატრიონთა და მონა-ქმათა მორის არსებობდეს სიუგარელი:

„სჯობან ყოველთა მოყვარულთა პატრიონ-ქმანი მოყვარული“ (სტრ. 1453).

საგულისხმოა, რომ დარიბ-დატაკთა და ქვრივ-ობოლობა დახმარება — ეს არ უთფილა მხოლოდ კერძო საქმე ზოგიერთი გულმემატებელი პიროვნებისათვის. თამარ მეფის დროს და კიდევ უფრო ადრე არსებობდა სასელმწიფო ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველეოთის ინსტიტუტი. თამარ მეფის დროს ამ მიზნისათვის იქო განკუთვნილი სპეციალური თანხა — მთელი

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. I, გვ. 171, 1945.

სამეფოს შემოსავლის ერთი შეათედი, რომელიც უკლებლივ „გლასაკთა ნაწილს“ შეადგენდა<sup>1</sup>.

როგორც გარეპეტელი პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელი, როგორც ფეოდალური მონარქიის აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების მომხრე, რუსთაველი მეფის პიროვნებას სპეციალურად მიიჩნევს: „მისგან არს (ღმრთისაგან) ეოვლი ხელმწიფე სახითა მის შეირითა“ (სტრ. 1), და ამასთან გამოთქამს, რომ ეოვლი მსხვერპლი მეფისათვის ღვთისნიერი მოვლენაა: „ვინც მოუკდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.“ ამ იდეოლოგიიდან გამომდინარეობს აგრეთვე დაუძვებლობა მონების უკმაყოფილებისა და შებრძოლებისა პატრონთა წინააღმდეგ: „ვით მოიხმაროს მონაშან პატრონსა ზედა ხრმალია?“ — გვიკითხება პოეტი.

საზოგადოდ, ემის გახარება-ბეჭნიერება წარმოუდგენელიათ, თუ რომ იგი პატრონს არა ჰქონდას. რუსთაველი გვირვებით ამბობს:

„აატრონისა ვრა მცენრებმან ყმაშან რამცა გაიხარნა!“ (სტრ. 812).

რუსთაველი ს ეს მსოფლმხედველობა საზოგადოების სიკადასხვა ფუნქცის ადამიანთა სიკადასხვა სოციალურ ბუნებაზე, ცხადია, გამომდინარეობდა საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგრმარეობიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმ დროს წარმოებდა ქართველთა თემების გაერთიანების პროცესი, როდესაც ცენტრალურ ხელისუფლების უხდებოდა გააფთრებული ბრძოლა უამრავ გარემე შტრებთან და აგრეთვე ფეოდალების გაუთავებელ თვითხებობასთან, რუსთაველი იდეები პატრონთა და მოქმეთა სოციალური ბუნების შესახებ მოწინავენ და პროგრესულად უნდა ჩაითვალოს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ბასილი ესოსმონძვარი, ცხოვრება მეცენ-მეცნისა თამარისით. ი. ჯავახიშვილის გამოცემა, 1944.

<sup>2</sup> დავით დავით გარე, მეცნის ქართ. მშერლ. ისტორია, ტ. II, გვ. 126.

**19. მოძღვანება აღმარისის განვითარების შესახებ XI—XIII საუკუნეების  
ეპოქაზე პროგნოსტიკულ ლიტერატურაში**

XI—XIII საუკუნეებიდან ცნობილია ორი ქართული სა-  
კრო პროზაული თხზულება: „ამირან-დარეჯანიანი“ და „ვისრა-  
მიანი“.

„ამირან-დარეჯანიანი“ (ს. ქავაბაძის მიერ გამოცემული  
1939), პ. კეკელიძისა და სხვათა ასრით, უნდა იყოს ორი-  
გინაღური თხზულება დაწერილი მე-12 საუკუნეში<sup>1</sup>. თხზულების  
სასელოზოდება წარმოდგება იქიდან, რომ მისი მთავარი გმირი  
ამირანი—დარეჯანის მეა. თხზულების ავტორად ითვლება მთხე  
სთხელი ა. მ. ნუცელიძე ფიქრობს, რომ ეს თხზულება არ  
უნდა იქის სწორების, რომელსაც რუსთაველი გულისხმობს,  
რომელზედაც იგი წერდა „ამირან დარეჯანის მე მოსეს უქია  
ხონელსა“<sup>2</sup>. ჩვენამდის მოღწეული თხზულება ძალიან სადა  
ენით დაწერილი მოთხოვთაა და მასთან მახმი არ მოიპოვება  
არც ერთი მმღავრი ფიქიცური მოქმედების ან ამა თუ ის სა-  
ხოგადოებრივი ან ბენებრივი მოვლენის მსატვრული აღწერი-  
ლობა; ამის გამო მემღელება ვითქმიროთ, რომ რუსთაველი  
გულისხმობდა სხვა უფრო მეტად მსატვრულ პოემას იმავე ამი-  
რან-დარეჯანიანსაჲ, თორებ ბეჲ არ მოიხსენიებდა მოსე ხონელს  
თვის წინამორბედ პოეტთა შორის<sup>2</sup>.

„ამირან-დარეჯანიანი“ წარმოადგენს რაინდულსა და სადევ-  
გმირო მოთხოვთას, ე. ი. მიზნად ისახავს ჭაბუკთა ანუ რაინდთა  
თავგადასავლის აღწერას. ჭაბუკის მთავარ საქმიანობას შეადგენდა  
მასი ჭაბუკობის, ე. ი. მაღლონის, სიმარდის, მამაცობის, გამო-  
ვლინება. ჭაბუკი მსადაა დაეხმაროს ეკვლას ძალმოშრეობის წი-  
ნააღმდეგ, თუ რომ მას მიმართეს საძველად. თუ ამ გზით  
ამნაირ საჭაბუკო საქმეში არაა ჩაბმული, მაძინ თვითონ იგონებს  
ასეთისავე საქმეს: გაიგებს თუ არა რომელიმე განთქმული ჭაბუ-  
კის არსებობას, მაშინვე იწევებს მის მებნას, მასთან შეხვედრას

<sup>1</sup> ქ. გმარელიძე, ქართ. მწერლობის ისტორია. ტ. II, გვ. 56—82, 1952.

<sup>2</sup> III. ჩუ ც უ ბ ი დ ა ე, Руставели и восточная ренессанс, стр. 148—  
152, 1947.



და პირველივე შესკვდრისას იწვევს მას ბრძოლაში. სტირად ეს ეს საქმიანობა გამოიხატება საცოლე ქალის მომოვებაში ან თავის-თვის, ან თავისი შეგობრისათვის. ამასთან ქალის შოვნა საცოლედ მივნერობის, შევვარების გარეშე წარმოების და ოვითონ ქალიც ქმრად ირჩევს ის ფალავანს, რომელიც ბრძოლაში გაიმარჯვებს. პირადეულ სიმშათის, შევვარებას ადგილი არა აქვს. ამ რაინდობის ღროს იგი ხოცავს უაშრავ მოღამქრეთ მრავალი ათასობით, მხოლოდ იმიტომ, რომ წადილს მიაღწიოს, — ქალი იძოვოს, შეწინააღმდეგე ჭაბუკი დამარცხის. იძგიათ შემთხვევაში ჭაბუკის სიმამაცე შიმართელია თავისი სამკვდრებლისა ან მეტყობართა და მაად ნაფიცია სამკვდრებლის დაცვაში, ან რამე სხვა სახოგადოებრივი მდგრამარეობის გაუმჯობესებაში. მაგ., არის შემთხვევები მკერძოებთან ბრძოლისა სახოგადოებრივი ცხოვრების დაცვისათვის. არის შემთხვევაც აჯანელებულ მონათა დამარცხებისა. უკელა ასეთი საქმიანობით ჭაბუკები ემსახურებიან ქვენის განთვავისუფლებას „ბოროტი“ მაღლებისაგან.

საგულისხმოა, რომ ჭაბუკია მაღლონე და სიმამაცე გამოვლინდება აგრეთვე შეეცებთან ბრძოლაში. ეომებიან ლომების, სპილოების, მარტოქას, გველების, აგრეთვე ზღაპრულ არსებების: რაღაც თილისმების, ღვევების, კემაჟების; გველებით მოსილ ჭაცების, სამინელ ფრინველების. მათ ემსახურება ორპირი ჭაცი სხვადასხვა ენაზე მოღაპარავს. გამოუგანილია რაღაც მნათობთა ქვეუანა.


არაფერია სათქმაში იმ ბრძოლებსაც ფეოდალები წესწეობილების გაბატონებისას ქართველები და სპარსელები აწარმოებდნენ სარწმუნოების საკითხების ირგვლივ. ურანის ან სახარების სხენებაც არსად არის, აგრეთვე ქრისტიანობისა თუ მაპმდიანობის წესებისა ან ღოგმების გამოვლინებას ადგილი არა აქვს.

ევლაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ „ამირან-დარეკანიანში“ მოთხრობილი გმირული ამბები არ უნდა ეკუთხნოდეს იმ სრულუოფილ ფეოდალურ ხანას, როდესაც ეს მოთხრობა იწერებოდა. აგრეთვე იგი არ უნდა ასახავდეს სახოგადოდ სა-

ქართველოს საზოგადოებრივ მოვლენების მე-10—12 საუკუნეებში. ამდროინდელ ფეოდალურ საქართველოს ახასიათებდა განუწვევ-ტელი ბრძოლა არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის და ქართული სამთავროების გაურთიანებისათვის ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს სახით, დამსახურებული პროგრესული პოლიტიკური და კულტურული რეფორმებით, რომელთაც უაღრესად თავი იჩინებ დავით აღმაშენებლის დროს, რაზედაც ჩვენ შპშ ბჟეზნიდა ზემოთ საუბარი.

აგრეთვე „ამირან-დარეჯანიანში“ არ აღინიშნება ის, რაც მე-7—9 საუკუნისათვის არის დამსახიათებული: გაუთავებული ბრძოლა მეზობელ სამთავროებსა და სამეფოებს მორის. მთავარი ებრძების მთავარის, მთავრები მეფეს, მეფეები ერთმანეთს, რომ თავისი სამფლობელო გაათაროთოს, გაავრცელოს სხვა მეზობელ ტერიტორიას. ასე, მაგ., ჩივის ერთი ჩვენი მემატიანე VIII—IX საუკუნის ფეოდალურ ხანაშე: „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისა და შეერთა ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთა“.

ესელა ზემოსხენებულის საფუძველზე შეიძლება დაგასკვნათ, რომ „ამირან-დარეჯანიანში“ მოცემული ამბები გამოჰქაცავენ პრეტრიანულ საზოგადოებრივ მოვლენებს, ერთი მხრით, უშველესი თემური საზოგადოების თავისადასავალს, როდესაც ადამიანთა საზოგადოებას უსდებოდა ბრძოლა უმთავრესად მხეცებთან და სტიქიურ მოვლენებთან, შეორუ მხრით, შემდგომი მონათმფლობელური და პატრონუმური საზოგადოების ეპოქას (ადრეულ ფეოდალიზმს), როდესაც ადამიანის მთავარი გასართობი და მაცოვრებელი საქმიანობა გამოიხატებოდა ნადიმობასა და ნადირობაში, როდესაც ადამიანთა თემები ერთმანეთს ერმებოდნენ დაპერიობის მიხნით კი არა, არაქედ ნადავლისათვის, მათი აკლადიდების და ქალების გასატაცებლად, აგრეთვე ტეპეების წასაკვანად და დასამონებლად. ამ საზოგადოებრივი წესწეობილების დროს თემის ანდა სამთავროს უფროსია პირად სიმამაცეს, გამოცდილებას, ხიმარჯვეს, უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა და ზოგ-



ჯერ გადაწევები თემის უცელა მტკრთან ბრძოლაში, როგორც  
ეს „აშირან-დარეკანიანში“ არის მოცემული.

„აშირან-დარეკანიანში“ მოთხოვობილი ამბები, ცხადია, ქარ-  
თველთა წინაპრებისაც უნდა განეცადათ ისე, როგორც სპარსთა  
და სხვა აღმოსავლეთის ხალხების წინაპრებს, რამდენადაც უკე-  
ლამ გაიარა აღნიმნული თემური წესწეობილება, საზოგადოე-  
ბრივი საკუთრებით, და მემდგომი მონათმეთლობელური და პატ-  
რონებური წესწეობილება (აღრევლი ფეოდალიზმი) კერძო სა-  
კუთრებით. უკელის უნდა ერთიანეთ შექმნილი მითოლოგიუ-  
რი თქმულებები დევ-გმირული ხასიათისა პირველეოთილი ადა-  
მიანის გაბატონების ძესახებ დედამიწაზე თემური წესწეობილე-  
ბის სამუალებით და მემდგომ რაინდული ხასიათის ბატონ-ქმური  
წესწეობილების დამეარებით. ცნობილია, რომ იბერია-კოლხეთში  
გვაროვნულ-საზოგადოებრივი წესწეობილება უმუალოდ გადადის  
უკოდალური, მიუხედავად მონების არსებობისა. მაგრამ ამ სალ-  
ხეურ თქმულებათა შესრულობითი დაშუმავება პირველად სპარსეთში-  
მოხდა და ეს მწერლობითი ძეგლი გახდა ნიმუშად მსგავსი თხზუ-  
ლების დაწერისა ქართულ ენაზე. ძეიმლება ითქვას, რომ ქართ-  
ველმა მწერალმა ისარგებლა სპარსელი სდაპრული მოსხრო-  
ბებითაც, გაქართულა ისინი და იმპგარივე ქართულ თქმულე-  
ბებთან შეერთებით შექმნა ერთგვარად ორიგინალური თხზულება  
„აშირან-დარეკანიანის“ სახით<sup>1</sup>.

ამ თხზულებაში თითქმის არ მოიპოვება არავითარი ცნო-  
ბები ადამიანის ბიოლოგიური ბუნების ძესახებ. ეს სრულიად  
გასაკები უნდა იქნას, თუ მავიღება მსედველობაში, რომ „აში-  
რან-დარეკანიანში“ მოთხოვობილი ამბები უმთავრესად შირველ-  
ეოფილი საზოგადოების ცხოვრებას ეკუთვნის, როდესაც არავი-  
თარი ინტერესი ადამიანის ბუნების ძესახლისადმი არ უნდა  
უოფილიერ, ე. ი. ადგილი არ უნდა ჰქონდა გარესამეარისა  
და, მეტადრე, ადამიანის ბუნების ფილოსოფიური გაპების ცდები-  
არის მხოლოდ ნახინები ერთი ფიზიოლოგიური ცნება სელის

<sup>1</sup> ქ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, ტ. II, გვ. 71, 1952.

გახსნისა, ე. ი. სისხლის გამოძვებისა: „დღესა ერთსა ამირანდა ხელი გაიხსნა, არცა ნადირობასა გაიდა, არც სერი ნადიმი გარდაისადა. დიდებულნი ისმნა და ნადიმი საწოლს გარდაისადა“ (გვ. 98).

ადამიანის სოციალური ბუნების გაგება ამ თხზულების მიხედვით მეტისმეტად პრიმიტიულია. ღმერთი ხმირად იხსენიება, რომელიც „მლექეს“ მისცემს შეფერა და ჭაბუქს. ღმერთი გამოუვანილია როგორც მადიდებელი ადამიანთა და მასთა მარცხვენელი და სხვა, მაგრამ ღმერთი წარმოდგენილია როგორც დამხმარე მაღალა და არა ადამიანის მოელი ბედიდბლის გამტებელი. მაგ., აშბრი არაბი ამბობს: „ღმერთი არის; და ჭაბუქობა ჩვენი დამარსხენელი“ (გვ. 38). ღმერთი არა აღნიშნული ხაზჯაშით, როგორც ადამიანის უოველივე საქციელის წამომწევები მიზეზი და მისი გამარჯვების აუცილებელი მიზეზი: „დასაბამითგან არავის გამარჯვებია, რომელ მენ პირველად მოგრა ღმერთმან ჭვეულა ესე და მერმე ჭაბუქობამან მენმან“ (გვ. 83). ღვთის განგება არსად მოიხსენება.

ადამიანის კოფა-ქცევა უმთავრესად მასთა და მის გარემონან უძეალო ურთიერთობით განისაზღვრება. ადამიანი სკამს, ჭამს, ნადირობს, ცოლს ირთავს მეუეგარებლივ, უწელოდ ხოცავს ადამიანებს ისევე როგორც მხეცებს, თუ რამენაირად ისინი მას გზაზე გადაედობნენ.

სულისა და ხორცის საკითხი ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული. არც იუ აპრეოვე რწმენა სამოთხესა და კოკონების შესახებ, არც სასაიკიონო განკითხვის შესახებ.

ცხადია, „ამირან-დარევანიანის „მემდგენელს, მეთორმეტე საუკუნის შეწრალს, არ შეემლო არ ესარგებლა უძველესი ეპოქის მითოლოგიური ამბების დაწერისას ზოგიერთი თანამედროვე ისტორიული ამბებითაც, როგორც მაგ., თურქთა თარემბის ეპიზოდი, არ მოეხმარა თანამედროვე, თამარ მეფის დროინდელი ტერმინები, როგორც სახელისეფლო ტერმინები: სპასალარი, ვაზირი, მევაინიბეთუხუცესი, მეცურჭლეთუხუცესი, ერისთავი და სხვა, ანდა არ ესარგებლა ზოგიერთი იმდროინდელი სახოგა-



ღოვბრივი ვითარებით, როგორიცაა ქალისადმი პატივისცემა, ქალის მეფობა, უმის მიერ მეფისადმი უანგარო სამსახური, მის-თვის თავდადება და სსვ. თანამედროვე განათლებული საზოგა-დოების გავლენას უნდა მიეწეროს აგრეთვე ამირანის მიერ ხე-ლის გასწინით მქერნალობაც.

ამნაირად, „ამირან-დარეჯანიანი“, როგორც უმეელესი ეპო-ნის ანარეკლი, წარმოადგენს ისეთ ისტულებას, რომელიც სრუ-ლებით არ ასახავს მე-11—12 საუკუნეში განვითარებული ფეო-დალური საზოგადოების მსოფლმხედველობას ადამიანის ბუნების ჟესახებ. იგი იძლევა იმ პრიმიტიული სახის ცნებებს ადამია-ნის ბუნების მესახებ, რაც ასასიათებდა ადამიანთა პირველერ-ფილ საზოგადოებას თემური წესწეობილების პერიოდი და შემ-ღომს მონათმფლობელურსა და პატრონ-ემურ წესწეობილებას წარმომობის ხანაში.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვან პროზაულ თხზულებას გეუთვნის „ვისრამიანი“, რომელიც წარმოადგენს გორგან ელ ის ხეპარსული პოემის თავისუფალ მხატვრულ თარგმანს. ამ თარგმანის ჟესრულებას მე-12 საუკუნეს მაკვთვენებენ, ვინაიდან იგი ენო-ბრივად „გეფხისტეფათხნის“ ენას უმსგაჭებება და იხსენიება მავთე-ლის, ჩახრესამის, მოთა რესითაველისა და თამარ შეფის ისტო-რიკოსის თხზულებაში. მთარგმნელის ვინაობა ცნობილი არაა. ზოგი ფიქრობს, რომ ხარგის თმობეჭელი უნდა უოფილიერ ამ თარგმანის ავტორი (იხ. მესავალი ალ. ბარამიშვილი, პ. ინგო-როვებას და პ. პიპლიძის „ვისრამიანი“ 1938 წ. გამოცე-მისა).

ალ. ბარამიშვილი მეაღარა ქართული „ვისრამიანი“ სპარ-სელ ენაზე გამოცემულებს და აღნიშნა, რომ ქართველი მთა-რგმნელი თავისუფალი თარგმანის პრინციპს ადგას. მას ზოგჯერ დენის გაახრებაში მნიშვნელოვანი პრინციპები კორექტივიც კი მეაქვთ, მაგრამ აუცილებლად დედანთან ზედმიწევნით სიახ-დოვეს ამეღავნებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ალ. ბარამიშვილი, ნარკვევები, ტ. I, გვ. 81, 1945.

რამდენადაც „გისრამიანი“ თარგმანს წარმოადგენს. ამას შემდეგ არ გაგვიჩნია ქს თხზულება ჩვენი მიზნის დასაქმარეოდ დაგენერირებულად, — თუ როგორ ასახა ქართულმა მწერლობამ იმდროინდელი მოწინავე იდეები ადამიანის ბუნების შესახებ. მაგრამ ჩვენ საჭიროდ საკუთალეთ მისი გარჩევა სხვა მიზნით, — ესმარებოდა თუ არა ქს თხზულება საქართველომი პროცენტული აზროვნების ჩამოყალიბებას ადამიანის ბუნების შესახებ.

ადამიანის ბითლოგიური ბუნების შესახებ არსებითად არაფერდა „გისრამიანი“. ამ თხზულებაშიც არ არის იმის ნიშანი, რომ მისმა ავტორმა ბერძნები ფილოსოფია იცოდა. სახოგძლიდოდ მასმი არ ისხენიება არც ერთი ფილოსოფობა. საგულისმოა ამ მსრივ, რომ გონიერება და არა ბეჭის, როგორც ამას ბერძნები ფილოსოფიის მამათავარი არ ისტორიულება ჩადის, ანდარეს თაველი. მაგ., „გისრამიანი“ სწერია: „გისის გონიერა (ე. ი. ფიქრი ვისხე) ტუინსა გასჯდომია [რამინს]“ (გვ. 77); „ნიბერისაგან ტუინი წაგსვლად“ (გვ. 17); „ნიუგარულინა ცეცხლიდ ფერწოთათ ტუინამდინ გაუკდა“ (გვ. 59); „მოედვა მიკნურობისა ცეცხლიდ ბეჭისა, ღაუწეა ტუინი და გონიერა წაუდო“ (გვ. 39); „ხოგსა თავსა აფთი (ე. ი. ცელი) ქვეიდის ვათა ტუინი“ (იგულისმება ომის დროს (გვ. 24).).

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ადამიანის ფიქრი, აზროვნება, ცნობიერება და ნიუგარულიც თავის ტუინის ფუნქციას შეადგენს.

„გისრამიანი“ ბაზოთქმულია ისეთივე აზრი ცნობიერებისა და მძღავრი ემოციური განცდის ურთიერთობის შესახებ, როგორც ეს „კვეთსისტუაციასამდინარეო“ მოცემული. როდესაც რამინმა ბირველად გისი ნახა, მამინვე მას მიკნურობისა ცეცხლი მოედვა, ტუინი ღაუწეა და გონიერა წაართვა, მამინვე „დაბნდა და დიდხან ჟაჟურდ იდგა“, „რა დიდხან აბრე უსულო-ქნილი იდგა, არც ეფილი მექსმოდა, არცა სურნელთა ქუმეგა და ვარდის წელის სხმა ერგებოდა. მერმე... ცოტად ცნობად მოვიდა, და ენისა კმა-

რებისა მაღი არა ჰქონდა და ცრემლნი სიღიღების” (პ. 39); ეს კვეთავის დაფერი ტარიღებაც დაემართა, როდებაც მან პირველად წესტან-დარევანი დაინახა.

სხვა ძემთხვევებიც არის მოცემული ცნობიერების დაკარგვისა ქმოციური განცდის გამო. მაგ., როდებაც ვირომ გაიპოთავისი საუცარელი დის ვისის გატაცება მოახადის მიერ, კერ „საუცარელონი გარდაიღლივნა, თავსა კელნა იქრნა და უცნობი იქმნა. რა ბუნებად მოვიდა, მასკე წამსა ძემოქეცა თერამით [სასახლეში]” (პ. 37), მაგრამ უნდა ითქვას, რომ რესთაველმა არა მარტო ფაქტი უცნობოდ გახდომისა აღნიმნა, მან კიდევაც გაუკეთა საუკეთესო დამაჯერებელი ანალიზი ამ მოვლენას, მეტადრე უგონო მდგომარეობიდან თანდათან გამოსვლისა და ამ გამოსვლის ობიექტური და სუბიექტური პირობები დეტალურად აღწერა.

სხვა რამ დირსექსანიმნავი ადამიანის ფიზიოლოგიდან „გისრამიანში“ არ არის.

უფრო მეტის თქმა ძემდევბა „ვისრამიანში“ მოცემულ ცნობებს უ ადამიანის სიციალური ბუნების ძენასებ. „ვისრამიანში“ მოთხოვობილი ამბები წარმართული დროის ცეცხლოავანის მცემელთ ეხებოდა, მაგრამ სარწმუნოების მხრივ „ვისრამიანის“ გმირები უკანის მიმღევრებს ეუსთხიან. „ვისრამიანში“ მოხსენებულია ერთიანი ღმერთი, ანგელოზები, განგება, სამოთხე სიამოგნებისათვის, კოჯორები, საუკუნოს განკითხვა, სული მაცოცხლებელი, რომელსაც თავისი ადგილი აქვს სხეულში. თვითონ ღმერთი იხსენიება როგორც ადამიანისა და უოვლისა დამბადებელი და იგი აგრეთვე აღიარებულია ადამიანის უოფა-ქცევისა და მთელი სამეაროს გამგებლად. ამასთან დათან დასახელებელია შეს, მთვარე და სხვა ცირი მნათობები.

მთავარი იდეა ადამიანის უოფა-ქცევის ძენასებ მთლიანად ისლამურია. იგი მდგომარეობს ძემდევში: ადამიანის უოფა-ქცევა მთლიანად, მისი საბოლოო ბეჭ-ილბლით, განგებაზეა დამოკიდებული და თითქმის უმუალოდ წარიმართება დაბადებიდანვე ამ

განგების მიერ. ადამიანს არ შეუძლია თავისი გონებით, გამოიყენოთ, მეცნიერებით დასწოროს თავი წინასწარ ნავარაუდევ ბეჭები. ამიტომ ადამიანი არ უნდა წესდეს და ისახდეს, რა გინდ საძინელი საქციელი არ ჩაიდინოს, და არც არავისგან მოელოდეს სათანადო გაკიცხვას. მაგ., ვისი ამბობს: „ღმრთისაგან ეუელა ჩუქნსა თავსა ზედა განგებაა ღაწერილი და სიცოცლესა ძირა კერ ავჭელებით ღმრთისა განგებასა და ჩუქნგან არ იქცვის წერილი, თუ ვტირო და თუ ვიცინით“ (გვ. 66). რამინი ამბობს თავის სიუგარულზე ვისისადმი წერილმა: „ღმრთისა განგებისა საქმე ჩუქნ ზედა გრძელია. ნუ მავევროებ! თუ ჩემი საქმე საუგო იურ, ეტლშან ჩემშან ქმნა ჩემ ზედა“ (გვ. 185). ამას ამბობდა რამინი თავის გასამართლებლად ვისის შემდეგ ბულის შეუგარების გამო. რაფედი თავის ასულს — ბულს ეუბნება, რომელსაც აგრეთვე რამინმა უდალატა: „მაგრა რათვან განგება ღმრთისა შენ ზედა ესრუ იურ, აწ ბედითი საუბარი და სინაწელი უსარგებლოა ჩუქნოუისო“ (გვ. 237). რამინი ამბობს თავის ცედ საქციელზე: „არცა მეცნიერობა შეაჩევს ღმრთისა განგებასა და არცა ჭაბუკობა მოერევის ფათურავას, არცა ცნობილობა და არცა სისელე ქ. ი. სიგიშე“ (გვ. 259).

ადამიანი ასეთი ბრძა რწმენა ბედისწერისა, ღვთის განგებისა, ადამიანის უოფა-ქცევის სრული დამოკიდებულებისა ამაზე, შემდეგ ეველა საქციელის გამართლება, სინაწელის უსარგებლობა ამა თუ იმ საქციელის გამო დამახასიათებელია „ვისრამიანის“. გმირთა მსოფლმხედველობისათვის ადამიანის ბუნების მესახებ, რაც მაპშადიანური სკელის დამახასიათებელ, ნიშანს წარმოადგენს.

რესტავრაციუ ისიარებს ადამიანის „ქცევის დამოკიდებულების ღვთის განგებაზე. მაგრამ ადამიანის ცედი საქციელის გამართლება ამ გარემოებით „ევფესისტეათსანში“ არ გვხვდება. პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიმეთ, ადამიანი იძრმვის და თუ როგორ გადაუწევება ბრძოლა, ისევ ადამიანსა დამოკიდებული. მაგ., ავთანდილი დაბნედილ ტარიელს მოეწოდებს

ბრძოლის განახლებისაკენ შემდეგი სიტყვებით: „ბედი ცდა და კამარჯვება, ღმერთისა უნდეს, მო-ცა-გხედების“. ჩვენი ხალხი დღესაც ასე იტყვის: „ცდა ბედის მონახვერეა“—თ ე. ი. რაგინდ ცედი რამ არ იქნა წინასწარ მოსალოდნელი, წინასწარ განსახლვრული განგების მიერ, ადამიანის ცდას—საქმიანობას შეუძლია შესცვალოს ეს ბედი.

აქაც „გისრამიანში“, როგორც „გვთხისტყაოსანში“ დათის საქმიანობა მუდამ მართალია: ღმერთმა—„ცა და ქუეანა დაბადა სიმართლედ, ერთისა თმისოდენიცა სიმრუდე არა დაგუატანა. გითა ქუეანა სიმართლითა შეაძო, კაცთაგან ეგრევე მართლისა ქმნა და ოქემა ითხოვა“ (ბპ. 15). მაგრამ „საწუთოიანია საქმე, და მუხტოლობა დაუთვალავია“. ვინც მოისმენს საწუთოოს ამბებს, „ცნეს სოფლისა ამის აუგნი, უხანობა და შეხთლობა, რომელ არც ჭირეს, არც ლისისა არავის გაუსრულებს“ (ბპ. 8).

მაგრამ „გისრამიანი“ მოკლებულია „გვთხისტყაოსნის“ პროგრესულ იდეას, რომ უბედობა, სიღუბებირე, ბოროტება ხანმოქლეა, სასწრაფოდ გაივლის, ზოგჯერ მოჩვენებითია; სოფლის სიკეთე კი გრძელია, საბოლოო, რეალური.

„დასანიმნავია აგრეა ვე, რომ თვით მიჯნურობა, სიუგარული „გისრამიანის“ გმირებისა—გისისა და რამინისა—არსებითად განსხვავდება „ვეთხისტყაოსნის“ გმირების მიჯნურობისაგან. „გისრამიანის“ გმირების სიუგარული მხოლოდ ამქვეუნიურია, მიწიერი, უბრალოდ რომ ვთქვათ, მიმართულია ფიზიოლოგიური სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. როგორც ალ. ბარაში მე აღნიშნავს, „გისრამიანის სიუგარულისათვის უცხოა ზნეობრივი ამაღლებებული და გამაფაქისხებული სელიერი ერთიანობის იდეა. „გისრამიანის“ მიჯნურნი მარტოდენ ფიზიკურ სიახლოებების ცნობენ, მათ სელიერ ტეგილის იწვევს უპირატესად სორციელი და ტოლეგა<sup>1</sup>. ამის გამოა, რომ „გისრამიანის“ გმირი რამინი სქესობრივ კავშირს ამჟარებს არა მარტო ვისთან, არამედ მის-

<sup>1</sup> ა. ლ. ბარაშიერი, ნარკვევები, ტ. I, გვ. 66—70, 1945.

მიმასთან და აგრეთვე სხვებთანაც, როდესაც ვისი არ ჰქავდა გვერდზე. „ვისეა და რამინს არ გააჩნიათ „ვეფხისტევოსნის“ გმირების მინაგანი მთლიანობა, სიღრმე, სიმტკიცე, სულიერი ჰარმონია, ჟეშმარიტი სულდიღობა“, დასკვნის ა და. ბარა-მიმე<sup>1</sup>.

მეტად განსხვავდება აგრეთვე „ვისრამიანძი“ და „ვეფხისტეაოსანძი“ მოცემული ქალის ბიოლოგიური და სოციალური არსების დახასიათება. „ვისრამიანძი“ მისედვით დედაქაცი უსრულო არსებაა დაბადებითვე, რომელიც საწუთოსა და საუკუნოსა გასწირავს ერთი წადილის შესრულებისათვის. მას, მაგალითთაღ, სახელის მოსკეპა, საზოგადოებრივი საქმიანობა არ იხიდავს. „ვეფხისტეაოსანძი“ კი, როგორც ზემოთ აღვნიმნეთ, აღიარებულია მამაქაცისა და დედაქაცის. სრული თანასწორობა როგორც მორალურს, ისე ინტელექტუალურ სფეროში.

ზემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ „ვისრამიანძი“ გმირების სულისკეთიება, მსოფლიმებრდეველობა ადამიანის ბუნების შესახებ შეესატევისება მაპმადიანთა მონათმელობელურისა და ფერდალური საზოგადოების წესწეობილებას, ამ საზოგადოების გაბატონებული კლასის ინტერესებს: ინინი სვამენ და ჭამენ, მიჯნურობენ დაუსრულებლად და მასთან მხოლოდ სქესობრივი ფისიოლოგიური მოთხოვნილების დასაქმაროფილებლად, უსაქმოდ ფუფუნებაში ატარებენ თავის სიცოცხლეს, ცხადია, მონების ექსპლოატაციის ხარჯზე, ხოცავენ უცხოსა და თავისიანს სულ უბრალოდ თავისი პირადი ინტერესების გამო. მაგ., მთავარი გმირი რამინი თავის მმას კლავს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჩააბარეს ვისის პატიონობა. ამასთან ეთველნაირ ცედ საქციელს ბედისწერას, ღვთის განვებას მიაწერენ და ამიტომ სინანული, წუხილი ჩადენილი ცედი საქმის გამო, საჭიროდ არ არის მიჩნეული. ცხადია, ასეთი მსოფლიმებრდეველობა ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედებაზე სრულიად განსხვავდება რესთაველი ს მსოფლიმებრდეველობისაგან, რომელიც გამოხატავდა საქართ-

<sup>1</sup> ა ლ. ბარამიმე, ნარცევები, ტ. I, გვ. 69—70, 1945.

კელოს განათლებული და გაერთიანებული ფეოდალური ეპოქის სულისკვეთებას და, სხვათამორის, იზარებდა დიონისიე-ჟეტე-რე იბერიელისა და ითანე პეტრიწის ფილოსოფიურ მესედელებას.

რესთაველის გმირები მოითხოვდნენ ადამიანისაგან მუდმივ ბრძოლას აქ, დედამიწაზე სიკეთის, მმკენიერების, ბეჭნიერი სასამოვნო ცხოვრების დამჯარებისათვის. „ვისრამიანის“ გმირები კი, პირიქით, დმერთხა სისოფნენ საიქიოს სამოთხეს მასში სიამოვნებისათვის.

ამიტომ მეიძღვება ითქვას, რომ „ვისრამიანის“ განათლებული ქართველი მკითხველი, რომელიც მე-12—13 საუკუნები ცხოვრობდა, კერ გამოიტანდა ამ რომანიდან სათანადო დანერების მისი პროტესტული მსოფლმხედველობის განმტკიცებისა და გადრმავებისათვის. პირიქით, „ვისრამიანის“ გმირთა ერთა-ქცევა მოუწოდებდა მკითხველებს ქედის მოხრას კოველნაირი განგების წინაშე, ფარს-ხმალის დაურას უბედობის ფეხქვემ, მონურ ქცევასა და შებუებას ამა სოფლის კოველნაირი სიმუხტლისადმი, რომელსაც ჩვეულებრივ იმავე საზოგადოების გაბატონებული ფეხები ეწვიან.

„ვისრამიანში“ მოუკანილი მსოფლმხედველობა ადამიანის საზოგადოებრივი ბუნების მესახებ მესატევისება ასლად განვითარებულ ფეოდალურ წესწეობილებას, როდესც ფეოდალთა შორის დაუცხრომელი ბრძოლა წარმოებდა, ერთმანეთის სოცეა, ერთის მეორეზე გამარჯვება ისე მოულოდნელად და სწრაფად ხდებოდა, რომ ფარალიზმისა და დმრთის განგების, ბედისწერის რწმენა აუცილებელ იდეოლოგიად იქო გადაქცეული.

## მოღვაწეობის მოღვაწეობის

ჩვენ შევაჩერეთ ისტორიული განხილვა ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში მეცამეტე საუკუნეზე, როდესაც შეღებად მონტო ლების ურდევის მრავალგზითი თავდასხმისა საქართველოს გაერთიანებული სამეფო დაცემა, მისი ეკონომიკური მდგრადი გაპარტახდა, ძალის უზრუნველყოფის განადგურდა, მოსახლეობის დიდი წილი ამოიგდიოდა. ამან გამოიწვია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაქვეითება, რაც გამოიხატებოდა გაერთიანებული საქართველოს ხელასლად დაუფაში ცალკე სამეფოებად და სამთავროებად, სოფლის მეურნეობისა და ქალაქების სელოსნობის მეტისმეტად შემცირებაში, საერონა და საკულტო მწერლობის მეტისმეტად შემცირებაში, ხწავლა-განათლების საშეაღებათა მეტისმეტად შესზღვდაში მონასტრებისა და წიგნებაცავის დაცარიელების გამო. ცხადია, ამსთან დაკავშირებით უნდა შეჩერებულიყო, უნდა განხლებულიყო შემდგომი განვითარება და ბაკრცელება მეცნიერელი ცნობებისა ადამიანის ბიოლოგიური ბუნების შესახებ და აგრეთვე უნდა სათანადოდ შეცვლილიყო ქართველი კრის წარმოზეცები ადამიანის სოციალური ბუნების შესახებ.

თუ რანაირი ცვლილებები მოჰდა ფაქტიუროდ ადამიანის ბუნების მეცნიერელ გაპებაში XIV—XVIII სს-ში საქართველოს ტერიტორიაზე რესერთან შეერთებამდე და მერმე შეერთების შემდეგ, ეს საკითხი სპეციალურ შეხსავლას მოითხოვს. მე ამისთვის დრო აღარ მქონდა და ამიტომ ძალაუნებურად დაგამთავრე კვლევა-ძიება XIII საუკუნით, რეს-თაველის ეპოქით.

მემნელება რაიმე რეზიუმეს გაკვეთება შესრულებული შრომისათვის. ერთი რამ კი უნდა აღინიშვნოს: საქართველოს კულტურული განვითარება XV საუკუნეში იმნაირად მიმდინარეობდა, რომ, გარეშე სტი-ქიურ მაღას რომ არ ემოქმედა, ჩვენ გაცილებით ადრე ვიდრე ეკრობაში მიგაღწევდით იმ მდგრადებისას, როდესაც ადამიანის ბენება მისი ანატომია-ფიზიოლოგიათ უშუალო კვლევის საგნად გადაიქცეოდა.

როგორც ჩვენებანსისა და ჟუმანისმის იდეები უფრო ადრე გამოვლინდა ჩვენები ვიდრე ეკრობაში, როგორც პოლიტიკური წეობის შეცდის ცდები პარლამენტური წევნებილების დაქარებისათვის უფრო ადრე გამოვლინდა ვიდრე ეკრობაში, ასევე სწორედ ამ რენებანსისა და პოლიტიკური წეობის შემდგომი განვითარების შეღებად ჩვენშიც დაიწევდოდა ექსპერიმენტულ მეცნიერებათა მძღავრი განვითარება და მათ

შორის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაც. ამ მოხაზრების ნაბუთად უნდა მივიჩნიოთ გელათისა და იქალთოს აკადემიების დაწყება, მათში ხმარებული მაღალსარისხოვანი სახელმძღვანელოები, იოანე პეტრი იწინ, შოთა რუსთაველისა და სხვა ძრავალ იმდროინდელ მოღვაწთა მსოფლიმხედველობა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საზოგადოებრივი წამოწევებანი, ბერძნულ-ლათინურისა და აკრეთვე ერანელი მეცნიერებული მიღწევების შეფიქ्चება და გამოეწება ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში ქართველ წავლეულთა მიერ.

ცნობილია, რომ მიუხედავათ ჯერ მონგოლთა და მემჩებ თურქთა და სპარსთა გამანადგურებელ თავდასხმებისა, საქართველომ შესძლო თავისი პოლიტიკური და კკონომიკური მდგრამარეობის წამომჯობინება შე-XVII—XVIII საუკუნეებში. ამ ისტორიული აღთრმინების პერიოდში მან კიდევ ერთხელ გაშალა თავის შემოქმედებითი შესაძლებლობანი კულტურის სხვადასხვა სფეროში (გახტანგი VI, გახუშტი, საბა და სხვა). ცნადია, ჩვენი საკითხისთვის წარმატებითი შედეგები ამ საუკუნეებშიც მოიპოვებოდა მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს ცალკე კვლევას შოითხოვს.

ივ. ბერიტაშვილი



କ୍ଷେତ୍ରାଜ୍ୟକୁଳରେ ପିଲ୍. ବାବୁଲୀଳାମ୍ବି  
କ୍ଷେତ୍ରାଜ୍ୟକୁଳରେ ଗ. କୁଶକୁଳାମ୍ବି  
କ୍ଷେତ୍ରାଜ୍ୟକୁଳରେ କ୍ଷେତ୍ରାଜ୍ୟକୁଳରେ ଗ. ନିଜାକୁଳାମ୍ବି

\*

20 00641.

ଓন্টারিও 2000

ପ୍ରକାଶନ 478.

კადაცელი ჭარბობას 19/V-56 წ. ჩელლოწერილია დასაბეჭდად 29/VII-57 წ. ანაწყობის ზომ 6×10. ქაღალდის ზომ 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდუენიობა 15,5. საარტილერიულ-საგამომცვლო ფორმათა რაოდუენიობა 12,17.

ՑԱԽՈ 9 ՑԱՅ. 60 ՀԱՅ.

Издательство ТГУ им. Степана Кирова, университетская, 1.



Иван Соломонович Бериташвили

*Учение  
о природе человека  
в древней Грузии  
(IV—XIV вв.)*

(На грузинском языке)

Издательство ТГУ им. Сталина

Тбилиси

1957



සංඛ්‍යාව ඡායාරූප මානව තීක්ෂණ ප්‍රමාණය

වැටුරුදෙන්	ස්ථානයෙහි	ආර්ථික	උම්දා ප්‍රමාණය
7	12—13 ජ්‍යෙෂ්ඨ දාන	ස්ථේෂුලු පිළිස	ප්‍රොප්‍රාලි ස්ථේෂුලු පිළිස
16	18 තීවුම් දාන	ස්ථේෂුලු පිළිස	තුළු පිළිස
115	8 තීවුම් දාන	මිනුලි පිළිස	මිනුලි පිළිස
135	5—6 තීවුම් දාන	ගුණාත්මක දා ආකාරු පිළිස	ගුණාත්මක දා ආකාරු පිළිස
219	7 තීවුම් දාන	මිශ්‍ර පිළිස පිළිවුරු පිළිස	මිශ්‍ර පිළිස පිළිවුරු පිළිස

363/268

